

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და  
კულტურის სამინისტრო**

Ministry of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia



**“კულტურული მემკვიდრეობა -  
საერთაშორისო კონფერენციის მასალები”**

**"Cultural Heritage - Threats and Challenges"**

(საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)  
(Materials of the international Conference)

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2019

Tbilisi  
Publication “Meridiani”, 2019

უაკ (UDC) 008(063)  
კა 897

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის ორგანიზებით 2019 წლის 27 ნოემბერს გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით: - „კულტურული მემკვიდრეობა-საფრთხეები და გამოწვევები“. გამოცემა წარმოადგენს ამ კონფერენციის ფარგლებში შემოსული შრომების კრებულს და განკუთვნილია დარგის სპეციალისტების, სტუდენტებისა და საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის, ის ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც დამსმარე ლიტერატურა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

მოხსენებებში გამოყენებული წყაროების მართებულებაზე, გამოთქმულ მოსაზრებებსა და დასკვნებზე პასუხისმგებელი არიან ავტორები.

International scientific conference titled: "Cultural heritage-threats and challenges" was held on November 27th , 2019 organized by the Division of Protection of Cultural Property of the Ministry of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia . The publication is represented by the collection of works received within the conference and is dedicated to specialists, students and readers interested by the subject, it is also used as supporting literature for higher educational institutions.

The authors are responsible for the correctness of the sources used in reports, expressed opinions and conclusions.

**რედაქტორები:** ირაკლი გელენავა, ნონა ქარაია, გიორგი პატაშური.  
**Editors:** Irakli Gelenava, Nona Karaia, Giorgi Patashuri.

**კრებულზე მუშაობდნენ:** ქეთევან გოგუა, ნინო დოლიძე, ნატო მარშანია, ნინო გულუა, ნინო ბერიძე.

**Persons worked on the publication:** Ketevan Gogua, Nino Dolidze, Nato Marshania, Nino Gulua, Nino Beridze.

© აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო  
Ministry of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia  
© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2019  
Publication "Meridiani", 2019

ISBN 978-9941-25-893-0

## sarCevi

<b>ჯემალ გამახარია</b>	
კულტურის ძეგლების განადგურება - აფხაზეთში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი .....	5
<b>Jemal Gamakharia</b>	
Destruction of cultural monuments - part of the policy of ethnic cleansing and genocide against the Georgian population in Abkhazia .....	6
<b>რუსლან აბაშიძე</b>	
კულტურის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში და საოკუპაციო რეჟიმის პოლიტიკა აფხაზეთში კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში .....	8
<b>Ruslan Abashidze</b>	
The role of culture in international relations and occupation policy concerning cultural heritage in Abkhazia 11	
<b>როლანდ ნიჟარაძე</b>	
კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად ქართულ-აფხაზური თანამშრომლობის აუცილებლობა ..	13
<b>Roland Nizharadze</b>	
Necessity of Georgian-Abkhazian cooperation for protection of cultural heritage .....	15
<b>გიორგი პატაშური</b>	
კულტურული მემკვიდრეობა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე .....	16
<b>Giorgi Patashuri</b>	
Cultural Heritage in the occupied territories of Abkhazia .....	20
<b>ლია ახალაძე</b>	
ეპიგრაფიკული ძეგლების დაცვის პრობლემები საქართველოში - საფრთხეები და გამოწვევები .....	21
<b>Lia Akhaladze</b>	
Problems of protection of epigraphic monuments in Georgia - threats and challenges .....	26
<b>ირაკლი გელენავა</b>	
ენობრივი პოლიტიკა სეპარატიზმის გასაღვივებლად .....	27
<b>Irakli Gelenava</b>	
Language policy to foster separatism .....	36
<b>რევაზ ხვისტანი</b>	
ჩხალთის ანტეფიქსი .....	37
<b>Revaz Khvistani</b>	
Antefix of Chkhalta .....	38
<b>ვერხვა ბაძაგუა</b>	
პირველი მსოფლიო ომი და „აფხაზური ასეული“ .....	39
<b>Verkhvia Badzagua</b>	
“Abkhazian Hundred” in World War I and its political transformation .....	43
<b>ნინო დოლიძე</b>	
ჩრდილო-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი, როგორც ერთიანი კოლხური კულტურის ნაწილი (სამაროვნების მასალების მიხედვით) .....	44
<b>Nino Dolidze</b>	
Kolkhian culture in the territory of modern Abkhazia.....	50
<b>ელიკ აქუბარძია</b>	
კულტურული მემკვიდრეობა და ტურისტული ინდუსტრია .....	54
<b>Elik Akubardia</b>	
Cultural heritage and tourism industry .....	56
<b>ცისკარა ფაჩულია</b>	
ეკონომიკისა და განათლების საკითხები რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში .....	57
<b>Tsiskara Pachulia</b>	
Economic and educational issues in Russian occupied region of Abkhazia.....	60
<b>Гурам Мархулия</b>	
Контурная геополитика в оккупированной Абхазии .....	61
<b>Guram Markhulia</b>	
Contour geopolitics in occupied Abkhazia .....	66
<b>ედიშერ გვენეტაძე</b>	
ვანის მიქელ-მთავარანგელოზის ეკლესიის ძეგლთა შესწავლის ზოგიერთი საკითხი .....	67
<b>Edisher Gvenetadze</b>	
Ekvtimé Takáshvili and Archangel Michael Church in ancient Vani Studies .....	73
<b>Марина Изория</b>	
Геополитические Коллизии Вокруг Ближнего Востока .....	74

<b>Marina Izoria</b>	
Geopolitical Collisions Around Middle East.....	78
<b>თამარ ფარჩუკიძე</b>	
უნივერსალური გზავნილები პეტრიწონისა და გელათის მემკვიდრეობიდან .....	79
<b>Tamar Parchukidze</b>	
Universal messages from the heritage of Petritsoni and Gelati .....	83
<b>Кушнirenko Владимир Александрович</b>	
Специфика этнорелигиозного и культурного фактора в формировании современной политической реальности в республиках западного региона Северного Кавказа.....	84
<b>Kushmirenko V.O.</b>	
Specific nature of ethno-religious factor in the formation of modern political reality in the republics of the western region of the North Caucasus .....	89
<b>ზურაბ კვეთენაძე</b>	
რუსეთის გეოპოლიტიკის რამდენიმე ასპექტი XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე.....	90
<b>Zurab Kvenetadze</b>	
Several aspects of Russia's geopolitics at the edge of the 20 th-21 st centuries.....	95
<b>ნინო კაკუბავა</b>	
აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის ენობრივი პოლიტიკა და საერთაშორისო თანამეგობრობა.....	96
<b>Nino Kakubava</b>	
Language Policy of the Occupation Regime of Abkhazia and the International Community.....	99
<b>ლილი ხარჩილავა</b>	
კავკასიის როლი და ადგილი რუსეთის ახლო აღმოსავლურ პოლიტიკაში .....	100
<b>Lili Kharchilava</b>	
The role and place of the Caucasus in Russia's Middle East policy .....	103
<b>რიმა გელენავა</b>	
კულტურული დიპლომატიის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში.....	104
<b>Rima Gelenava</b>	
The Role of Cultural Diplomacy in International Relations.....	108
<b>გურამ ლეგაშვილი</b>	
დოლისყანის ეკლესიის ქტიორთა გამორკვევისათვის .....	109
<b>Guram Legashvili</b>	
For identifying the ktetor of the Doliskana Church.....	117
<b>Андрис Тергатс (Andris Tertats)</b>	
Ромы (цыгане) Психологический обзор экспедиции в Грузии Тбилиси .....	118
<b>Andris Tertats</b>	
Psychological review of Roma (gypsies) expedition in Georgia, Tbilisi.....	120
<b>Джаби Бахрамов</b>	
Нефтедобыча - Индустриальное наследие Азербайджана .....	121
<b>Djabi Bakhrayev</b>	
Oil production-industrial heritage of Azerbaijan .....	128
<b>Талыбов А. Р., Талыбова Р. Р.</b>	
Об историографии Азербайджанской нефти во второй половине XIX и начала XX вв .....	129
<b>Talibov Akif-dissertator of the Institute of History (NANA)</b>	
Talibov Rugia –junior scientist of the Institute of History (NANA)	
Regarding historiography of Azerbaijan oil in the second half of the 19th and at the beginning of the 20 the centuries .....	133
<b>Гасанов Г.Н.</b>	
Из истории разделении Азербайджанских земель в начале XIX века .....	134
<b>Gasanov.G</b>	
<b>Gasanov J.</b>	
From the history of the division of lands of Azerbaijan at the beginning of the 19th century .....	137
<b>თრგანიზაცია „აფხაზეთის მოამბე“: გორგი კობახიძე, გორგი ქვაცაბაძა</b>	
დოკუმენტური ფილმი „ბედიას მონასტერი, წარსული და თანამედროვეობა“ .....	138
<b>Organisation “Abkhazetis Moambe” Giorgi Kobakhidze, Giorgi Kvatsabaia</b>	
Documental movie “ Bedia Cathedral, past and present” .....	138

## ჯემალ გამახარია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

### კულტურის ძეგლების განადგურება - აფხაზეთში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი

დღევანდელი კონფერენცია ეძღვნება უაღრესად აქტუალურ თემას, ჩვენთვის და მთლიანად ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მტკიცნეულ პრობლემას. საფრთხის ქვეშ არის უნიკალური კულტურის ძეგლები, რომლებიც განთავსებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე, ასევე ცხინვალის რეგიონში. თანაც ეს ტერიტორიები უპყრია ოკუპანტს, რომლისთვისაც არანაირი კანონი - საერთაშორისო, ეროვნული, მორალური, არც ადამიანური - სამწუხაროდ არ არსებობს და ეს კიდევ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის იქ არსებულ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას. მე მივაქციე ყურადღება ერთ-ერთი მოხსენების თემას, რომელიც ქ-ნ მა ლია ახალაძემ უნდა წარმოადგინოს - ეს არის „ეპიგრაფიკული ძეგლების დაცვის პრობლემები საქართველოში - საფრთხეები და გამოწვევები.“ არ ვიცი, რას იტყვის ქ-ნი ლია, მაგრამ მიახლოებით მაქვს წარმოდგენა, რა საფრთხეებზე არის საუბარი. საუბარი არის იმაზე, რომ ომამდე აფხაზეთის მუზეუმში დაცული კონკრეტული ძეგლების ნაწილი უკვე დაკარგულია ან განადგურებული. ჩვენ ვიცოდით მათი არსებობის შესახებ. ბევრი დაწერილა და გამოქვეყნებულა სხვადასხვა დროს აღნიშნული ძეგლების თაობაზე, მაგრამ დღეს ისინი არ არსებობენ და არ არსებობენ იმიტომ, რომ ქართული კულტურის ძეგლები არიან, ქართული წარწერებით და მხოლოდ ეს არის მათი „დანაშაული“.

რა თქმა უნდა, მეცნიერებს აქვთ თავიანთი ამოცანა და დღის წესრიგი. ყველაზე კარგად თქვენ იცით რა უნდა აკეთოს მეცნიერებამ, მაგრამ თქვენი რეკომენდაციებიდან გამომდინარე, ჩვენ, ხელისუფლებამ, შესაბამისი ღონისძიებები უნდა განვახორციელოთ. სამწუხაროდ, დღემდე ვერ ხერხდება საერთაშორისო საზოგადოების სრულად ინფორმირება ოკუპირებულ რეგიონებში კულტურის ძეგლების კუთხით არსებული ვითარების შესახებ. აქ უკვე იყო საუბარი და მე აბსოლუტურად ვეთანხმები, ჯერ-ჯერობით ნამდვილად ვერ ვფლობთ სრულყოფილ ინფორმაციას ოკუპირებული ტერიტორიებიდან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის თაობაზე. როგორც თქვენთვის ცნობილია, იქ არავის არ უშვებენ - არც ექსპერტებს, არც მესამე მხარეს, ამიტომ სრულყოფილი ინფორმაცია არ არსებობს, მაგრამ საკმარისად არის ინფორმაცია იმისათვის, რომ განგაშის ზარი შემოვკრათ.

პირველ რიგში, ჩვენ გვინდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში, რეზოლუციებში, რომლებსაც ღებულობენ ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, არა მხოლოდ ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხი აისახოს, რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია, არამედ სხვა პრობლემებიც, კერძოდ, კულტურული ძეგლების მდგომარეობა, ქართული კულტურული მემკვიდრეობის მიზანმიმართული განადგურების ფაქტები. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არსებობს კულტურის ძეგლების განადგურების, საუკეთესო შემთხვევაში მათი გადამალვის რამდენიმე ფაქტი.

არის სხვა მექანიზმებიც და სხვა ბერკეტებიც ოკუპანტებზე ზემოქმედებისთვის. როგორც უკვე ითქვა, ოკუპანტებისთვის კანონები არ არსებობს, მაგრამ, ცხადია, ჩვენ გვჭირდება უფრო მყარი სამართლებრივი ბაზა კულტურის ძეგლების დასაცავად. შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს ქართულ კანონმდებლობაში - სისხლის სამართლის კოდექსში. საჭიროა ასევე საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების ამოქმედება. რატომ არ უნდა გასაჩივრდეს კულტურის ძეგლების განადგურების ფაქტები? რაც ხდება, ეს ხომ კულტურუ-

ლი გენოციდია, ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ეთნიკური წმენდი-სა და გენოციდის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ჩვენი აზრით, აფხაზეთში ქართული კულტურული მემკვიდრეობის საკითხი საერთაშორისო სასამართლოების განსჯის საგანი შეიძლება გახდეს და გახდება კიდევაც. უმაღლესი საბჭო ამ მიმართულებით უკვე მუშაობს.

საქართველოს პარლამენტში, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის, განა-თლებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე ამა წლის 25 ნოემბერს მოხდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურის ძეგლების მდგომარეობის საკითხის განხილვა. წარმოდგენილი იყო საკმაოდ საფუძვლიანი მოხსენება. გამომსვლელებ-მა დახატეს საშინელი სურათი, თუ რა ხდება ოკუპირებულ ტრიტორიაზე. პარლამენტში ბ-6 რუსლან აბაშიძესთან და სხვა კოლეგებთან ერთად ვიყავით, გამოვთქვით მზადყოფნა გავაკეთოთ ყველაფერი თქვენთან-მეცნიერებთან ერთად, რისი გაკეთებაც ამ ეტაპზე და ამ ვითარებაში არის შესაძლებელი. ბ-ნი რუსლანი, მოგეხსენებათ, უნევის მოლაპარაკების მონაწილეა და იქ შეიძლება ამ საკითხის წამოჭრა. ჩვენ თვითონ შეგვიძლია დავსახოთ და განვახორციელოთ გარკვეული ღონისძიებები.

დღევანდელ კონფერენციაზე ბევრი საინტერესო თემაა წარმოდგენილი, მათ შორის საინ-ფორმაციო ომი ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართული კულტურის ძეგლების დასაცავად. ეს ხომ უმნიშვნელოვანესი საკითხია. აი, კიდევ ერთი მიმართულება, რაზეც ჩვენ - აფხაზეთის ხელისუფლებამ -ყურადღება უნდა გავამახვილოთ. საინფორმაციო ომი სათანადო დონეზე ჩვენ ჯერ არ გვინარმოებია. არადა დროა, ვამხილოთ ოკუპანტები, საქმე ხომ უძველესი ხანის X — XI საუკუნეებისა და უფრო ადრინდელი პერიოდის ძეგლებს ეხება, რომლებსაც მიზანმიმართულად ანადგურებენ მათი ეთნიკური კუთვნილების გამო.

დიდი მადლობა ყურადღებისთვის, გისურვებთ წარმატებებს!

**Jemal Gamakharia**

Chairman of the Supreme Council  
of the Autonomous Republic of Abkhazia

## **Destruction of cultural monuments - part of the policy of ethnic cleansing and genocide against the Georgian population**

Today's conference is dedicated to a very actual topic, a very painful problem for us and for our country as a whole. Unique cultural monuments located on the territory of Abkhazia and in the Tskhinvali region are under threat. At the same time, these territories are occupied by the country which does not obey the law - neither international, national, moral, nor human, and this causes further danger to our cultural heritage there.

I paid attention to one of the topics that Ms. Lia Akhaladze will present - "Problems of protecting epigraphic monuments in Georgia - threats and challenges." I do not know exactly the content of the speech but I guess which threats are going to be discussed. The topic is about monuments preserved in the Abkhazian museum before the war which part of them have been lost or destroyed. We knew about their existence. Much have been written and published about these monuments at various times, but today they do not exist and do not exist because they are monuments of Georgian culture, with Georgian inscriptions.

Scientists have their tasks and agenda. According to your recommendations, we the authorities, should take appropriate actions. Unfortunately, it is still not possible to fully inform the international community about the condition of cultural monuments in the occupied regions. It was mentioned here and I totally agree - we still do not have full information about the condition of cultural heritage sites on the occupied territories. As you know, no one is allowed there - neither experts nor third parties, so there is not complete information, but enough information to be concerned about.

On the joint session of the Parliamentary Committee on Education and Culture and of the Commission on Restoration of Territorial Integrity in the Parliament of Georgia, on November 25, the issue of the condition of cultural monuments on the occupied territories was discussed, and a very thorough report was presented. The speakers described a terrible picture of what is happening on the occupied territory. We have been together with Mr. Ruslan Abashidze and other colleagues in Parliament, and we have expressed our readiness to do everything we can do together with scientists. Mr. Ruslan, as you know, is a participant of the Geneva talks and the issue may be raised there. We can develop and implement certain activities ourselves.

First of all, we want the reports, resolutions of international organizations on the occupied territories to reflect not only the problem of human rights violations, which is very important of course, but also other problems, particularly the condition of cultural sites, the deliberate destruction of the Georgian cultural heritage. Scientists are ready to come up with concrete facts. As far as I know, there are several facts of the destruction of cultural monuments, at best facts of hiding them.

There are other mechanisms and ways to influence the occupants. As it has been mentioned, there are no laws for the occupants, but obviously we need stronger legal base to protect cultural monuments. The relevant amendments should be made in Georgian legislation - the Criminal Code. It is necessary to activate international legal mechanisms. Why shouldn't the facts of the destruction of cultural monuments be appealed? It is cultural genocide, as part of the ethnic cleansing and genocide policy against the Georgian population. In our opinion, the issue of Georgian cultural heritage in Abkhazia will become the subject of discussion of international courts. The Supreme Council is working in this direction.

There are many interesting topics presented at the conference today, including an information war for protection of Georgian cultural monuments on the occupied territory. This is an important issue and another direction that we - authorities of the A/R of Abkhazia - should pay attention to. The information war is not conducted at the proper level yet. It is time to disclose occupants, as we are talking about the monuments of the ancient times - the 10th-11th centuries and earlier, which are deliberately destroyed due to their ethnicity.

Thank you very much for your attention. Good luck.

## რუსული აბაშიძე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის  
მთავრობის თავმჯდომარე

### კულტურის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში და საოცუპაციო რეჟიმის პოლიტიკა აფხაზეთში კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში

დღევანდელი კონფერენცია სახელწოდებით: „კულტურული მემკვიდრეობა - საფრთხეები და გამოწვევები“ ატარებს ძალიან მნიშვნელოვან დატვირთვას. აღსანიშნავია, დღევანდელი კონფერენციის განსაკუთრებული მნიშვნელობა განპირობებულია მსოფლიოში შექმნილი ვითარებით, რადგან XXI საუკუნეში, დატვირთული და დაჩქარებული პოლიტიკური პროცესების ეპოქაში, განსაკუთრებით გამწვავებულია პოლიტიკური ძალების, დიდი სახელმწიფოების გავლენის სფეროების გადანაწილების პროცესი, რაც, რა თქმა უნდა გადამწყვეტ გავლენას ახდენს არსებულ მსოფლიო „წესრიგზე“, თუმცა ამ ეტაპზე დეტალებზე საუბრისაგან თავს შევიკავებ, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესებმა წინა პლანზე წამონია ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისაკენ მიმართული პოლოტიკის გააქტიურება. თვალნათელია და არ იქნება სიახლე თუ ვიტყვით, რომ კულტურულ მემკვიდრეობას გადამწყვეტი როლი ენიჭება ეროვნულობაზე მსჯელობის საქმეში. ერების ისტორია ხომ ტერიტორიებისა და ამ ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად წარმოებული ომებისა თუ პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიაა. გამომდინარე აქედან, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ დღეს ჩვენთვის, როგორც ერისთვის, რომელმაც ისტორიის მანძილზე შექმნა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის კულტურა, საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მისი პოპულარიზაცია უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენს და ეს იმ პირობებში, როდესაც ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა უდიდესი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე დგას, რასაც განაპირობებს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. არსებული ვითარებიდან გამომდინარე მისასალმებელია, რომ დღევანდელი კონფერენციის თემაც სწორედ ამ უაღრესად აქტუალურ პრობლემას ეძღვნება.

საქართველოში, როგორც მსოფლიო პოლიტიკის მონაწილე ქვეყანაში, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემები მწვავედაა გამოხატული. როგორც ავლიშნეთ, ამ სიმწვავეს ამძაფრებს ჩვენი ტერიტორიების 20%-ზე არსებული რუსული საოცუპაციო რეჟიმი. მე მინდა აფხაზეთში არსებულ მდგომარეობაზე გავამახვილო ყურადღება, ტერიტორიაზე რომელიც თავისი ისტორიის მანძილზე წარმოადგენდა ქართული კულტურის შემადგენელ ნაწილს, ტერიტორიაზე სადაც ჩვენი მონაცემებით 180-ზე მეტი ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობა შემორჩენილი, მათგან კი დღეისათვის 141 ნაგებობას აქვს მინიჭებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. საქართველოს კონსტიტუციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე“ თუმცა კულტურულ მემკვიდრეობაზე შესაბამისი ზრუნვა დღეისათვის ისევ და ისევ საოცუპაციო რეჟიმის არსებობის გამო ვერ ხორციელდება.

ცნობილია, რომ რუსულმა საოცუპაციო რეჟიმმა, ტერიტორიის ოკუპაციისა და ეთნიკური წმენდის განხორციელების შემდგომ, მძლავრი იერიში მიიტანა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ისტორიულ-არქიტექტურულ ნაგებობებზე, კერძოდ ეს შეეხება ტაძრებს. ამ ვანდალური აქტების ძირითად მიზანს წარმოადგენს აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის მიერ ისტორიის განმავლობაში შექმნილი კულტურული ფა-

სეულობების განადგურება, ან მინიმუმ ისტორიული იერსახის შეცვლა-დამახინჯება, ასევე ისტორიულად ჩამოყალიბებული სულიერების, რელიგიური აღმსარებლობისა და იერარქიული წესრიგის მოშლა და ახალი წესრიგის თავს მოხვევა-დამკვიდრება.

ოკუპანტებმა და ოკუპირებულ აფხაზეთში მათმა საყრდენმა ძალებმა, არაერთ უნიკალურ ძეგლზე განახორციელეს ვანდალური ზემოქმედება, ესენია: - ბედის მონასტერი (X ს.), ილორის ეკლესია (XI ს.), დრანდის ეკლესია (VI ს.), წმინდა გიორგის ეკლესია (გალი, ჭუბურხინჯი) (XIX ს.) 2016 წლის შემოდგომაზე სრულიად მოისპო ანაკოფის ციხის ეკლესის საკურთხეველთან არსებული კედელი, რომელიც სხვადასხვა ისტორიული ეპოქის რელიეფური ფილებით იყო ნაშენი. აღნიშნული ფრაგმენტები ანაკოფის ციხე-სიმაგრეში ახალი ათონის ბერებმა მე-19 საუკუნის ბოლოს მოათავსეს. ფრაგმენტები გარშემო მიმდებარე ტერიტორიიდან იყო შეგროვებული. სავარაუდოდ, ყველაზე ძველი ორი ფრაგმენტი ბერძნულ წარწერებს შეიცავდა. ეს კედელი 100 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არსებობდა და მეცნიერებისა თუ ტურისტების დიდ ყურადღებას იქცევდა. აღნიშნული კედელი, როგორც უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი საბჭოთა ათეიზმის ეპოქასაც კი გადაურჩა. ახლა კი ის აღარ არსებობს.

სრულიად განადგურდა წებელდის ეკლესია (VIII-IX სს. აღდგენილი XIX ს.) ამ ისტორიული ძეგლის დაზიანებაზე ინფორმაცია 2017 წლის 3 იანვარს გაავრცელეს აფხაზურმა წყაროებმა. აღნიშნული ინფორმაციის მიხედვით, აფხაზეთის რეგიონში რუსეთის საოკუპაციო ძალებმა სამხედრო პოლიგონის მომზადების მიზნით გაანადგურეს გულრიფშის რაიონის სოფელ წებელდასთან არსებული მრავალფენიანი არქეოლოგიურ-არქიტექტურული ძეგლი - VIII-IX სს. და გვიანი შუა საუკუნეების ნასოფლარი, სამაროვანი, ეკლესის ნანგრევი და ასევე XX ს-ის შუა ხანების პოლონელთა სასაფლაო.

გვაქვს ინფორმაცია, რომ გადაუდებელ სარესტავრაციო/საკონსერვაციო სამუშაოებს საჭიროებენ - ლიხნის ტაძარი (X ს.), მოქვის ტაძარი (X ს.), ცანდრიფშის ტაძარი (VI ს.), სიმონ კანანელის სახელობის ტაძარი (VII-VIII სს.), ამბარას ეკლესია (VII-VIII სს), კამანის ეკლესია (XI ს.), წებელდის ციხე (ადრე შუა საუკუნეები), ბაგრატის ციხე (X-XI სს.), ბესლეთის ხიდი (X-XI სს.), აფხაზეთის მთავრების შერვაშიძეების სასახლის ნაშთები (XVI-XVII სს.) და სხვა ასორმოცდაათამდე ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობა.

აფხაზეთის მთავრობა არსებული რეალობიდან გამომდინარე არ იშურებს ძალებს, რათა აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობის კუთხით არსებულ კატასტროფულ მდგომარეობაზე მოახდინოს საჭირო ზემოქმედება. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში „შექმნილია კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახური“, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციისაკენ მიმართულ ღონისძიებებს. აღნიშნული პრობლემა არაერთხელ ყოფილა უენევის მოლაპარაკებების ფარგლებში მსჯელობის საგანი. თუმცა, როგორც საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშშია აღნიშნული: ნინა წლების მსგავსად, პრობლემად რჩება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისთვის ეფექტური საკანონმდებლო გარანტიების შექმნა და სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა“ და ეს განსაკუთრებით ოკუპირებულ ტერიტორიებს შეეხება.

პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე ძალზედ სამწუხაროა, რომ დღეს ჩვენ გვიწევს ინტენსიური საინფორმაციო ომის წარმართვა, ხოლო ის ცნობები რასაც ამ ბოლო პერიოდში ვიღებთ აფხაზეთიდან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შესახებ, გარკვეული ელფერის მატარებელია და ვწუხვართ, რომ ეს საკითხი პოლიტიკური ინტერპრეტაციის საგანიც გახდა. ინტერპრეტაციისა, რომელსაც იყენებენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, ჩვენი საზოგადოების წინააღმდეგ, რადგან, როგორც ვიცით, სწორედ კულტურულ მემკვიდრეობაზე ვანდალური ზემოქმედების შედეგად არის შესაძლებელი ისტორიის საბოლოოდ გაყალბება, ფალსიფიცირება, რისი არაერთი მცდელობის მაგალითი გვაქვს ოკუპირებული ტერიტორიიდან.

საოცუპაციო ძალა, რომელიც მოქმედებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ცდილობს, რომ ყველანაირად წაშალოს ძველი ისტორიული კვალი და არა მხოლოდ კვალი, რომელიც უკავშირდება ძეგლებს, არამედ წაშალოს საზოგადოების არსებობის კვალიც. ცხინვალის რეგიონში სოფლები სრულიად იქნა განადგურებული, ანუ წაიშალა იქ მოსახლეობის ცხოვრების ნიშანწყალიც კი მაგ: თამარაშენი, აჩაბეთი, ქურთა და სხვა.

სამწუხაროდ, არსებული რეალობის პირობებში მიგვაჩინია, რომ ჩვენ „საინფორმაციო ომს“ სათანადოდ ვერ წარვმართავთ, რადგან ჩვენ რაღაც უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ ამ თვალსაზრისით, თუმცა ვთვლით, რომ ის რესურსი, რომელიც ჩვენ მეტის გაკეთებაში დაგვეხმარება წამდვილად არსებობს ჩვენს საზოგადოებაში, საქართველოს ხელისუფლებაში, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულებში. ასევე ძალიან დიდი რესურსი არსებობს აკადემიურ წრეებში და აუცილებელია, რომ ყველაფერი გაკეთდეს ამ ძალების მჭიდრო თანამშრომლობისათვის, რათა შემუშავდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასაცავად ძლიერი და ქმედითი მექანიზმები და ეს პროცესი განვახორციელოთ ლეგალურ დონეზე. უნდა გაგრძელდეს ამ ისტორიულ-არქიტექტურულ წაგებობებისათვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების პროცესი. რეალობა ასეთია, დღეს აფხაზეთში მდებარე ისტორიულ-აქრიტექტურულ წაგებობეზე არ გაგვაჩინია არანაირი დაცვის მექანიზმები, ეს გარემოება კი უნდა იქნას გათვალისწინებული იუნესკოს მიერ. ჩვენი მხრიდან, აფხაზეთის ხელისუფლება მზად ვართ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის გადადგმულ ყოველ წაბიჯს დავუჭიროთ მხარი და გვერდით დავუდგეთ.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია,
2. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ თბ. 2018 წელი
3. კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთში, თბ. 2015. ISBN 978-9941-073-6
4. კულტურული მემკვიდრეობა კონფლიქტურ რეგიონებში თბ., 2018. ISBN 978-9941-25-561-8

**Ruslan Abashidze**

Chairman of the Government of the  
Autonomous Republic of Abkhazia

## **The role of culture in international relations and occupation policy concerning cultural heritage in Abkhazia**

. Undoubtedly, today's conference, entitled "Cultural Heritage - Threats and Challenges", has a very significant role. This conference is of particular importance due to the current situation in the world, because in the 21st century, in the era of busy and accelerated political processes, the process of redistribution of the spheres of influence of big countries and political forces is particularly aggravated, which has a decisive influence on the existing "world order". At this stage I will refrain from talking about these details, but it should be emphasized that these processes have highlighted the importance of activating the policy directed at preservation of global cultural heritage. It is obvious, that cultural heritage plays a decisive role in perception of national identity, as history of nations is a history of territories and wars or political relations in defense of cultural heritage formed on these territories. Therefore, we can say that today for us as for a nation which created a culture of global importance, preservation and promotion of this cultural heritage is a primary concern in the circumstances when it faces the largest threats and challenges due to the occupation of Georgia's territories. Based on the current situation , it is encouraging that the theme of this conference is dedicated to this extremely pressing issue.

The problems of cultural heritage in Georgia as a country playing a part in world politics are perceived as acute, especially considering that, 20% of our territories remain under the occupation. I would like to highlight the situation in Abkhazia region, a territory that has been integral part of Georgian culture throughout its history, a territory where, according to our data, more than 180 historical and architectural constructions are preserved, 141 of them have the status of Georgian cultural heritage. The Constitution of Georgia emphasizes that "the state cares for preservation of national values and identity, protection of cultural heritage, development of education, science and culture." However, cultural heritage still lacks adequate care because of the occupation regime.

It is well known that the Russian occupation forces after the occupation of the territory and ethnic cleansing , made harmful interventions on the historical and architectural monuments of the territory of the Autonomous Republic of Abkhazia and were particularly aggressive towards ecclesiastic constructions . The main purpose of these vandal actions is to distort and destroy the cultural values created by the indigenous population of Abkhazia region throughout its history, as well as to disrupt the historically established spirituality, religion and hierarchical order and establish a new one.

Many unique monuments have been vandalized by the occupants and their supporting forces in the occupied region of Abkhazia, including: Bedia Monastery (10th century), Ilori Church (11th century), Dranda Cathedral (6th century), St. George Church (Gali, Chuburkhinji 19th century). In autumn of 2016, the wall at the altar of the Church of Anacopia Fortress was fully demolished, which was constructed of relief tiles dating back to various historical periods, the fragments were placed in the fortress of Anacopia by the monks of New Athos by the end of the 19th century. They were collected from the surrounding area. Supposedly, the oldest two fragments contained Greek inscriptions. This wall existed for more than 100 years and attracted the attention of scientists and tourists , even surviving the period of Soviet atheism due to its importance as a historical and archaeological monument and now it no longer exists.

Tsebelda Church is completely destroyed (8th-9th cc. restored in he 19th c.). Information about the damage of this historic monument was released on January 3, 2017 by Abkhazian sources. According

to the information, the Russian occupation forces in the region of Abkhazia destroyed a multi-layered archaeological-architectural monument of the 8th-9th centuries, settlement of the late medieval period ,burial ground, ruins of the church and Polish cemetery of the middle of the 20th century near the village of Tsebelda in Gulripshi district for the purpose of preparing a military polygon.

According to our information, Likhni Temple (10th century), Mokvi Temple (10th century), Tsandripshi Temple (6th century), Simon the Canaanite Temple (7th-8th centuries), Ambara Church (7th-8th centuries), Kamani Church (11th century), Tsebelda Fortress (early medieval period), Bagrati Fortress (10th-11th cc), Besleti Bridge (10th-11th cc), the ruins of the palace of Shervashidze (16th-17th cc.) and other up to one hundred and fifty landmarks are in need of urgent restoration / conservation.

The Government of the Autonomous Republic of Abkhazia is doing everything to exert the necessary impact on the catastrophic state of cultural heritage in Abkhazia. "Division of protection of cultural property" is created under the Ministry of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia which, carries out activities aimed at protection and promotion of the cultural heritage of Abkhazia. This problem has been the subject of numerous discussions during the Geneva talks . However, according to the report of the Public Defender of Georgia of 2018: "As in previous years, creation of effective legislative guaranties for protection of cultural heritage sites and taking appropriate actions by the government still remains a problem ,," and this is especially true in regard to the occupied territories.

Considering the importance of the problem, it is very unfortunate that today we have to conduct an intensive information war, and the information we have been getting lately about the state of cultural heritage sites in Abkhazia is not encouraging, we regret that this issue has become the subject of political interpretation which is used against our country, our society, because vandalism of cultural heritage can be used to falsify the history. There are many examples of such attempts on the occupied territory.

The occupation forces operating in the occupied territories are trying to erase all historical traces and not only those associated with heritage, but also those reflecting existence of communities. For example, a number of villages in the Tskhinvali Region have been completely destroyed, even the marks of inhabitation were removed in such localities as Tamarasheni, Achabeti, Kurta, etc.

Unfortunately, the existing reality leads us to suppose that we do not conduct the "information war" properly, that we need to do more about it. Though we believe that Georgian society and government, structural units of the Government of the Autonomous Republic of Abkhazia and academic circles have these resources, and we should take all the required steps to support close cooperation of these forces, in order to develop strong and effective mechanisms of protecting the cultural heritage sites existing on the occupied territory and implement this process on the legal level. The process of granting the status of Georgian cultural heritage to these historical and architectural buildings should continue. The truth is that today we do not have any mechanisms enabling to protect historical landmarks in Abkhazia, and this circumstance should be taken into consideration by UNESCO. We, on our part, , the authorities of the Autonomous Republic of Abkhazia are ready to support every step towards protection of cultural heritage on the occupied territories.

### **List of references**

1. The Constitution of Georgia
2. Report of Public Defender of Georgia on the state of human rights and freedoms in Georgia. Tb.2018
3. Cultural Heritage in Abkhazia, Tb. 2015. ISBN 978-9941-073-6
4. Cultural Heritage in conflict regions Tb., 2018. ISBN 978-9941-25-561-8

როლანდ ნიუარაძე  
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის  
განათლებისა და კულტურის მინისტრი

## კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად ქართულ-აფხაზური თანამშრომლობის აუცილებლობა

კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემები ახალი არ არის ჩვენი ქვეყნისთვის. დღევანდელ კონფერენციას ესწრებიან ისტორიკოსები და დამეთანხმებიან, რომ პრობლემები მოდის საუკუნეებიდან. საუკუნეების განმავლობაში ჩვენი წინაპრები ქმნიდნენ და იცავდნენ კულტურულ მემკვიდრეობას, ზრუნავდნენ მის შენარჩუნებაზე, რათა თაობებისათვის გადაეცათ ისინი როგორც ჭეშმარიტი ისტორიის საფუძვლები, როგორც ისტორიული პირველწყაროები. ჩვენთვის დიდი ტეივილია საქართველოს საზღვრებს მიღმა დარჩენილი ქართული მემკვიდრეობა. ეს ეხება იმ ტერიტორიებს, სადაც XI-XII სს - ში ფართოდ იყო გაშლილი კულტურული მშენებლობა, დუღდა ქართული კულტურული ცხოვრება, რომელთა ისტორიულმა მოვლენებმა განსაზღვრეს ამ ქართული ტერიტორიების შემდგომი ბედი. ამაზე დღეს არ შევჩერდები, სამწუხარო ფაქტია რომ XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ამ ტერიტორიებს მიემატა სამაჩაბლო და აფხაზეთი. მათი სახით ჩვენ დროებით დაკარგული გვაქვს როგორც ტერიტორიები, ასევე ის კულტურული მემკვიდრეობა, რომლებსაც ათეულობით საუკუნეების განმავლობაში ქმნიდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები. დიახ, უნიკალური ერი ვართ ჩვენ, რათა შევინარჩუნეთ და დღემდე მოვიტანეთ ჩვენი, აბსოლუტურად თავისებური ხასიათის მატარებელი და თვითმყოფადი საოცარი კულტურა. ეს მაშინ, როდესაც ისტორიას ბევრი ჩვენზე დიდი და ძლიერი იმპერიები ახსოვს და ბევრმა მათგანმა დღევანდელ დღემდე ვერ მოაღწია. მსოფლიოში ბევრია ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც ფლობენ ჩვენზე დიდ ტერიტორიებს და ჩვენზე ძლიერ ეკონომიკას. მათი ისტორიის შექმნა დაიწყო IX-X საუკუნეებში ან კიდევ უფრო გვიან. დიდმა ოკუპანტმა ხომ თავისი ისტორიის ათვლა IX ს-დან დაიწყო, თუმცა დღეს ის ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციითა და ბორდერიზაციით არის დაკავებული.

საოკუპაციო რეჟიმი აფხაზეთის ტერიტორიაზე მრავალმხრივი მიმართულებით ახორციელებს საქმიანობას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქართველთა და აფხაზთა შორის არსებული დაპირისპირების თუ არა გაღრმავება, მინიმუმ შენარჩუნება მაინც და ამ მოძმეხალხის უფრო დაშორიშორება.

რუსული ოკუპაციიდან გამომდინარე, სამწუხაროდ ქართულ მხარეს არ გვაქვს შესაძლებლობა წვდომა გვქონდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ძეგლებზე, არადა ვფლობთ უტყუარ ინფორმაციას, რომ ისინი საჭიროებენ გადაუდებელ შესწავლასა და შესაბამის საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებს. ამას ემატება ჩვენთვის მეტად სამწუხარო ფაქტები, რომ საოკუპაციო რეჟიმი აგრძესიული ფორმით ცდილობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე შემორჩენილ ისტორიულ-არქიტექტურულ ნაგებობებს შეუცვალოს ისტორიული იერსახე, რაც პირველ რიგში გამოიხატება ქართული კვალის ნამლისაკენ მიმართული ღონისძიებებით. მარტივად მისახვედრია, რომ ამ ქმედებებით ოკუპანტები იიოლებენ უკვე დაწყებულ პროცესს, რომელსაც აფხაზეთის ტერიტორიაზე ისტორიული კვალის წაშლა და ჭეშმარიტი ისტორიის გაყალბება ჰქვია.

გვაქვს სასიამოვნო ინფორმაცია, რომ აფხაზეთის ე. წ. სახელმწიფო უნივერსიტეტის (АГУ) სტუდენტებმა პატრიოტი ისტორიკოსებისა და რამდენიმე ლექტორის ხელმძღვანელობით ხმა აღიმაღლეს და მოსთხოვეს ე. წ. ხელისუფლებას, უზრუნველყოს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობას. ასევე გვაქვს ინფორმა-

ცია, იმის შესახებ, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში გაიმართა რამდენიმე კონფერენცია სადაც გამომსვლელებმა დაგმეს გახშირებული შავი არქეოლოგიის ფაქტები. მსგავსი ინფორმაციები გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ აფხაზთა შორის გამოჩნდნენ ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, რომლებიც მიხვდნენ, რომ ისტორიული ძეგლების დაცვა-შენარჩუნების საქმეში ახალგაზრდებმა პრინციპული სიტყვა უნდა თქვან. მათ უკვე იციან, რომ ისტორიული კვალის წაშლა, ეს მარტო ქართველების წინააღმდეგ მიმართული ლონისძიება არ არის, არამედ ეს არის საკუთრივ აფხაზების, მათი ისტორიის წინააღმდეგ მიმართული ქმედებებიც. აფხაზეთში ორი აბორიგენი ერი ვართ, ქართველები და აფხაზები, შესაბამისად ამ ტერიტორიაზე შექმნილი კულტურული მემკვიდრეობაც ორივეს გვეკუთნის და საკითხი-სადმი ამგვარი მიდგომა მისასალმებელია. დარწმუნებული ვარ, რომ პოლიტიკოსებთან, ჩვენს ცენტრალურ ხელისუფლებასთან, აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან ერთად, ჩვენი ახალგაზრდებიც თანდათან აღიმაღლებენ ხმას მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით. ქართველი ახალგაზრდები, ჩვენი სტუდენტობა დიდი ძალაა, მათ თუ შეუერთდნენ აფხაზი ახალგაზრდები, ანუ თუ მოხერხდა მათი გაერთიანება საერთო ინტერესებითა და მიზნებით, უდაოა, რომ მეტად დადებითი შედეგები გვექნება, შედეგები რომლებიც ბევრ სიკეთეს მოუტანს ორივე ერს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება მონაწილეობს უენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატით გამართულ შეხვედრებში, რომლის ფარგლებში არაერთხელ დაისვა აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები, თუმცა მიუხედევად ყველაფრისა აფხაზური მხარე არ უშვებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც განახორციელებენ კულტურის ძეგლების მონიტორინგს.

ჩვენ კი, ჩვენის მხრივ ვცდილობთ უწყვეტ რეზიმში მივაწოდოთ არსებული შესაბამისი ინფორმაცია, რათა მათი ჩართულობით მოხერხდეს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. ჩვენი სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სამსახური უკვე რამდენიმე წელია მუშაობს ამ მიმართულებით და სისტემატიურად არის ინფორმირებული, თუ რა ხდება და რომელ კულტურულ ძეგლს რა საფრთხე ემუქრება აფხაზეთში.

უნდა გვახსოვდეს, რომ კულტურული მემკვიდრეობა არის ჩვენი სიმდიდრე, ეს არის ჩვენი სიამაყე, ეს არის ის, რითაც ვიწონებთ ქართველები თავს მთელ მსოფლიოში.

**Roland Nizharadze**  
**Minister of Education and Culture**  
**of the Autonomous Republic of Abkhazia**

## **Necessity of Georgian-Abkhazian cooperation for protection of cultural heritage**

Problems concerning cultural heritage is not new for our country. Historians are attending our conference today and I think they will share my opinion that this problem has been around for centuries. Historically our ancestors were creating and protecting cultural heritage, they were caring for its preservation to pass it down for generations as a primary source and the foundation of true history. Georgian cultural heritage remaining beyond the borders is a subject of concern for us. It refers to the territories where Georgian cultural life , cultural construction was in full swing in the 11th-12th centuries. I will refrain from talking about historical events which determined the further fate of these Georgian territories. It is disappointing that at the edge of the 20 th-21st centuries South Ossetia and Abkhazia are added to them. We do not have temporary control not only of these territories , but also of cultural heritage which had been created over centuries. We are unique nation, because we have maintained our original culture. The history of many huge countries in the world, which have stronger economy than ours began in the 9th-10th centuries or later. The history of great occupant began in the 9th century. Today it is occupying and bordering our territories.

The occupation regime carries out multilateral activities on the territory of Abkhazia, which maintains the existing confrontation between Georgians and Abkhazians fostering segregation of the nations.

Due to the Russian occupation, unfortunately, we do not have access to the immovable monuments on the territory of Abkhazia. According to our information, they are in need of urgent restoration/conservation. Occupation regime is trying to change the historical face of

historical and architectural constructions remained on the occupied territory by implementing measures aimed at eradicating Georgian trace. It is the beginning of the process of erasing historical traces on the territory of Abkhazia and falsifying the history.

We have good information that students of the “State university” (AGU) of Abkhazia led by several patriot historians and lecturers raised their voices and demanded from the authorities protection of cultural heritage. Besides several conferences dedicated against black archeology were held in the region, so we can conclude that among Abkhazians are persons, especially youth, who realize that they must speak up for preservation of historical values, because removing trace is not only against Georgians, it is also against Abkhazians and their history. We are two indigenous peoples and monuments in Abkhazia belong to both Abkhazians and Georgians, so such attitude is encouraging and I am convinced that our youth along with politicians, our central government, the Government of the Autonomous Republic of Abkhazia will gradually raise its voice. Our students are a great force and if Abkhazian youth join us, we will have very positive results that will be beneficial to both nations.

The authorities of the Autonomous Republic of Abkhazia take participation in the Geneva International Discussions, within the framework of which the issues of cultural heritage in Abkhazia have been repeatedly raised, however, Abkhazian side does not allow international organizations to monitor cultural monuments on the occupied territory.

We, on our part, try to inform regularly all international organizations about the condition of historic landmarks in Abkhazia to enable them to take effective steps to preserve the cultural heritage existing on the occupied territory of Abkhazia. The Division of Protection of Cultural Property of the Ministry of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia has been working in this direction for several years and is systematically informed about the state of cultural monuments in Abkhazia.

Cultural heritage is our treasure, which makes Georgians feel pride all over the world.

### გიორგი პატაშური

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის  
განათლებისა და კულტურის სამინისტროს  
კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე,  
ხელოვნებათმცოდნე

## კულტურული მემკვიდრეობა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე (კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის საქმიანობის მცირე ანგარიში)

ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობების მდგომარეობა მძიმეა. საოკუპაციო რეჟიმი აგრესიული ფორმით ცდილობს მათ შეუცვალოს ისტორიული იერსახე, რაც პირველ რიგში გამოიხატება ქართული კვალის წაშლისაკენ მიმართული ღონისძიებებით, ამ ქმედებებით ოკუპანტები იილებენ უკვე დაწყებულ პროცესს, რომელსაც ისტორიული კვალის წაშლა და ჭეშმარიტი ისტორიის გაყალბება ჰქვია. კულტურა ხომ წარმოადგენს ადამიანთა ცოდნის, მრნამსისა და სოციალური ნორმების კომპინაციას, რომელსაც ჩვენ ვალიარებთ და გადავცემთ მომავალ თაობებს. კულტურა არის ძირითადი საზოგადოებრივი ფაქტორი, რომელიც არეგულირებს ადამიანთა ურთიერთებების სხვადასხვა სფეროებს, ყოველდღიური კომუნიკაციით დაწყებული და გლობალური ეკონომიკის ფუნქციონირებით დამთავრებული. კულტურა ხელს უწყობს საერთო ეროვნული იდენტურობის ფორმირებას. ამიტომაც განვიხილავთ მას, როგორც მრავალმხრივი როლის მქონეს, ხალხთა შირის შერიგებისა და მშვიდობის შენარჩუნების პროცესში.

აღნიშნული მიმართულებით ამ და სხვა პრობლემებმა განაპირობეს 2015 წელს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში „კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის“ შექმნა, სადაც შემუშავდა „აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამა“. დღემდე პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ათეულობით პროექტი. გვინდა შევეხოთ რამდენიმე მათგანს:

სამსახურმა პირველ რიგში დაიწყო ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობების აღნუსხვა და შედეგად ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა „აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობების რუკა“, რომელზეც დატანილია 178 ისტორიული ნაგებობა მათი დასახელებისა და ამჟამინდელი მდგომარეობის მითითებით. ამ მასალაზე დაყრდნობით შეიქმნა ქართულ და ინგლისურენოვანი ონლაინ რუკა, რომელშიც შესაბამის ფოტომასალასთან ერთად განთავსებულია ამა თუ იმ ნაგებობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, კულტურულ ფასეულობებთან დაკავშირებული უმძიმესი ვითარებიდან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნიეთ ამ მიმართულებით მუშაობის კიდევ უფრო გააქტიურება, რათა შესაბამისი ფაქტების შესახებ ინფორმაცია დოკუმენტით გაგვევრცელებინა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე. ასევე გადაუდებელ ამოცანად დავისახეთ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებული კულტურული ფასეულობების პოპულარიზაციისაკენ მიმართული პროექტების განხორციელება, სწორედ ამ მიზნით, კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახური ეწევა საგამომცემლო საქმიანობასაც.

სწორედ ამ მიზნით, ჩვენს სამსახურში შეიქმნა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორიის კულტურისა და ეთნოლოგიის ვირტუალური მუზეუმი“. ამ პროექტის განხორციელების იდეა ინფორმაციის მიღების თანამედროვე ტექნოლოგიებმა, ინფორმაციის მიღება-მოპოვების უფრო მოხერხებული ფორმების დამკვიდრებამ განაპირობა. კერძოდ, ფართო

მოხმარებაში შემოვიდა ინტერნეტსივრცე და ელექტონული პროდუქტები: წიგნები, გაზეთები, სატელევიზიო არხები და ა.შ. ასევე, დღითიდღე მემკვიდრეობა ელექტრონული ექსკურსიები-სა და მუზეუმებით სარგებლობის პრაქტიკა. საქართველოში ეს მიმართულება სათანადო ვითარდება, თუმცა, სამწუხაროდ იგრძნობა ქართულად ელექტრონული წიგნების, ონლაინ მუზეუმების და სხვა მსგავსი „პროდუქტები“ სიმცირე.

აფხაზეთთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ მუზეუმებშია წარმოდგენილი, ნაწილი კი საქართველოს სხვადასხვა მუზეუმსა და საცავში ინახება. მათი ერთ ვირტუალურ სივრცეში წარმოსაჩენად შევეცადეთ გამოგვყენებინა ონლაინ მუზეუმების შექმნის საერთაშორისო პრაქტიკა, რაც ჩვენი აზრით საუკეთესო გამოსავალი იყო აფხაზეთთან დაკავშირებული კულტურული ფასეულობების ერთან სივრცეში დასათვალიერებლად. პროგრამა განკუთვნილია, როგორც სპეციალისტების, ისე ფართო საზოგადოებისთვისაც. ვთვლით, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია, როგორც თვალსაჩინოება საგანმანათლებლო სივრცის ნებისმიერ საფეხურზე, რადგან იგი ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის ვიზუალური სახისა და ისტორიის უკეთ აღქმასა და გააზრებას. აღსანიშნავია, რომ ონლაინ მუზეუმის შექმნის მსგავსი პრაქტიკა საქართველოში იყო პირველი პრეცედენტი.

სამუშაო პროცესში თვალშისაცემი გახდა ასევე, რომ 1993 წლიდან აფხაზეთის არცერთ ისტორიულ ნაგებობას არ მინიჭებია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, ამ მიმართულებით განხორციელდა შესაბამისი სამუშაოები და კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურში მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის მიერ 41 ისტორიულ ნაგებობას მიენიჭა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, ესენია გალის მუნიციპალიტეტის სოფლების - ჩხორთოლის, ოქუმის, ლუმურიშის, წარჩის, ნათლისლებისა და ჭუბურხინჯის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიები და წარჩეს ციხე, სოხუმის საკათედრო ტაძარი, ოჩამჩირეს მუნიციპალიტეტის სოფლების: ახუნას ციხე, ბესლახუბას, გუფის და ჯგერდას ეკლესიები, კვიტოულის წყალსადენი, ძველი გალავანი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობების ნაშთები, ციხე-სიმაგრე „აბააუ“ და ციხე-სიმაგრე, ფოქვეშის ციხე-„ბიჭიაქვა“, ციხე, ეკლესია „აბაა“ და ეკლესია, ჯგერდას სასახლე, ციხე და ციხე-სიმაგრე. ოჩამჩირეს მუნიციპალიტეტის: ახუნას ციხე, ბესლახუბას, გუფის და ჯგერდას ეკლესიები, კვიტოულის წყალსადენი, ძველი გალავანი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობების ნაშთები, ციხე-სიმაგრე „აბააუ“ და ციხე-სიმაგრე, ფოქვეშის ციხე-„ბიჭიაქვა“, ციხე, ეკლესია „აბაა“ და ეკლესია, ჯგერდას სასახლე, ციხე და ციხე-სიმაგრე.

გრძელდება სამუშაოები ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ნაგებობებისათვის „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად“.

ჩვენი ინფორმაციით აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის 2015 წლის 25 დეკემბრის ბრძანებით დე-ფაქტო აფხაზეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა 1535 ობიექტს, რომელთა რიცხვი მომდევნო 3 წლის განმავლობაში უნდა გაზრდილიყო 2500 მდე. აღსანიშნავია, ოკუპირებულ აფხაზეთში, განსაკუთრებული სტატუსის მქონე ობიექტთა ასეთი მაღალი ციფრი განპირობებულია იმით, რომ აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობამ ძეგლის სტატუსი მიანიჭა საბჭოთა პერიოდში აგებულ შენობებისა და მემორიალების დიდ ნაწილს. ე.წ. აფხაზეთის კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის დე-ფაქტო მინისტრის განაცხადებით, აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი ე.წ. სახელმწიფო რეესტრისა და ღია საინფორმაციო სისტემის შექმნას. ამ პროგრამის რეალიზების შემთხვევაში დოკუმენტალური ფონდების ელექტრონული არქივი შეიქმნებოდა, რომელიც ასევე მოიცავდა ერთიან მონაცემებს არქეოლოგიური ძეგლების, ისტორიული ქალაქებისა და აფხაზეთის არქიტექტურისა და ისტორიული ძეგლების შესახებ. გვაქვს ინფორმაცია, რომ "აფხაზური კულტურული მემკვიდრეობის

ისტორიულ-კულტურული ობიექტის ინვენტარიზაციისათვის" 16 მილიონი რუბლი იყო გათვალისწინებული, თუმცა ეს პროცესი ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზებით დღემდე ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

სამწუხაროდ, რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე, დე-ფაქტო ხელისუფლების მხრიდან ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობებისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება ვერ უზრუნველყოფს მათ მიმართ შესაბამისი დაცვის მექანიზმების განხორციელებას, შედეგად სახეზე გვაქვს ის უმძიმესი დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც ისტორიული ნაგებობების/ნაშთების ავთენტურობის შეცვლისა თუ სრულ განადგურებაში გამოიხატება.

საქართველოს ხელისუფლებამ, პრეზიდენტმა, საპატრიარქომ არაერთგზის გამოხატეს თავიანთი შეშფოთება აფხაზეთში ისტორიული ნაგებობების მიმართ განხორციელებული ფაქტების გამო, მათ მოუწოდეს საერთაშორისო თანამეგობრობას, იუნესკოს და სხვა ორგანიზაციებს, სათანადოდ შეეფასებინათ რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული უკანონო ქმედებები და მოხსენინათ მათზე შესაბამისი რეაგირება, რადგან მსგავსი ქმედებები უხეშად არღვევენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, მათ შორის, ჰავაის 1954 წლის კონვენციის პირობებს. თუმცა როგორც ვხედავთ ჯერჯერობით განცხადებები რჩება განცხადებებად, ხოლო ოკუპირებულ ტერიტორიაზე გრძელდება ისტორიულ ნაგებობებზე აგრესიული ვანდალიზმის ფაქტები.

მეტად საყურადღებოა, რომ მსგავსი ფაქტების მიმართ აფხაზურ საზოგადოებაში გარკვეული პროტესტის მუხტი გაჩნდა, რაც უდაოდ დადებით ტენდენციის მანიშნებელია, თუმცა სავარაუდოდ ადგილზე ეს ძირეულად მაინც ვერაფერს შეცვლის, რადგან შესაძლებელია, რომ აფხაზთა საზოგადოების გარკვეული ნაწილი და ხელისუფლების სტრუქტურებში მყოფი ადამიანებიც ხვდებიან, რომ რუსეთმა ისინი გამოიყენა საქართველოს წინააღმდეგ - რეალურად სიტუაციას აფხაზეთში მთლიანად რუსეთი აკონტროლებს და მათ ინტერესებს სულ უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა მოსკოვის მხრიდან.

ქართული მხარე კი გადამზადების შესაძლებლობას სთავაზობს აფხაზებს, კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის მიერ მიღწეულ იქნა შეთანხმება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან აფხაზი სპეციალისტების მოწვევისა და მათი სარესტავრაციო სამუშაოებში ჩართულობის უზრუნველყოფის შესახებ. კერძოდ, ქართული მხარე უზრუნველყოფს აფხაზი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებაში და მიმდინარე საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებში მონაწილეობას. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ სპეციელისტები გამოთქვამენ მზაობას შევიდნენ აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე და ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად მოახდინონ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მონიტორინგი. ინვენტარიზაციის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, აფხაზურ მხარესთან შეთანხმებით შესაძლებელი იქნება შეიქმნას ერთობლივი სპეციალისტთა სამუშაო ჯგუფი, რომლებიც მოახდენენ საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელებას.

არ შეიძლება თვალი არ გავუსწოროთ შექმნილ რეალობას და არ ვაღიაროთ, რომ ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული ვანდალური ფაქტების მსგავსი ქმედებების შეჩერება საქართველოს მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით შეუძლია და ამ მხრივ ეფექტიანად უნდა იყოს გამოყენებული საერთაშორისო ფორმატები და მათ შორის, უენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები. ამასთან, ჩვენი აზრით, ქართული მხარე უნდა შეეცადოს ეფექტიანად გამოიყენოს რუსეთის ქმედებებთან მიმართებით აფხაზურ საზოგადოებაში გამოვლენილი უკანონულების მუხტი. ასევე გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩინა აფხაზურ მხარესთან უშუალო დიალოგის პრეცედენტების წახალისება. რამდენად შესაძლებელია ეს? დიახ, ვთვლით, რომ ეს შესაძლებელია, მთავარია სწორად შეირჩეს ამ პროცესში ჩართული პირი თუ პირთა ჯგუფები და მიეცეთ მათ შესაბამისი ლეგიტიმაცია.

ამასთან ერთად გვინდა მცირე ინფორმაცია მოგაწოდოთ ჩვენი სამსახურის მიერ წელს განხორციელებულ პროექტებზე, რომლებიც უმეტესწილად მიმართული იყო ახალგაზრდებში

აფხაზეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის და ისტორიის სწავლებაზე.

2019 წელს აფხაზეთის კულტურული ფასეულობების დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული იყო 3 ქვეპროგრამა: 1. გავიღომავოთ ცოდნა აფხაზეთის ისტორიის შესახებ; 2. საველე ბანაკი; 3 სამეცნიერო კონფერენცია.

პირველ და მეორე კვარტალში განხორციელდა ქვეპროგრამა „გავიღომავოთ ცოდნა აფხაზეთის ისტორიის შესახებ“. 2018 წელს აღნიშნული ქვეპროგრამა ხორციელდებოდა როგორც არასაბიუჯეტო პროექტი. მიმდინარე წელს პროექტში ჩაერთოთ თბილისის 5 საჯარო სკოლა. 300-მდე მოსწავლემ მოისმინა ლექციათა კურსი აფხაზეთის ისტორიაზე, კულტურულ მემკვიდრეობასა და ეთნოგრაფიაზე. ლექციების ბოლოს გაიმართა ახალგაზრდული კონფერენცია სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით. კონფერენციაში მონაწილე მოსწავლეებს და პროფესორ მასწავლებებლებს გადაეცათ სიგელები.

აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით წლევანდელ პროექტში სკოლებმა თავად გამოთქვეს სურვილი აღნიშნულ პროექტში მონაწილეობაზე და შესაბამისად მსმენელთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო.

მომავალი წლისთვის ვგეგმავთ აღნიშნული პროექტის ორ ეტაპად ჩატარებს. ერთ ეტაპზე პროექტი განხორციელდება ისევ თბილისის სკოლებში, ხოლო მეორე ეტაპზე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

მესამე კვარტალში განხორციელდა ქვეპროგრამა „საველე ბანაკი“. ბორჯომის რაიონში, კერძოდ სოფელ ჩითახევში, ჯომარდობის ფედერაციის ტერიტორიაზე მოეწყო კარვების ქალაქი. ბანაკი ჩატარდა ორ ეტაპად, თითო ეტაპის ხანგძლივობა - 5 დღე. ბანაკში განთავსდნენ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილი მოზარდები, მათ შორის მონაწილეობდნენ ქ. თბილისის საჯარო სკოლების ის მოსწავლეები, რომლებმაც ცოტა ხნით ადრე სამინისტროს მიერ გამართულ ახალგაზრდულ კონფერენციაში - „აფხაზეთი - წარსული და დღევანდელობა“ თავი გამოიჩინეს. (სულ მონაწილეები - 86).

მოსწავლე-ახალგაზრდები უზრუნველყოფილი იყვნენ კვებით, საძილე ტომრებით, ე.ნ. პარალონებითა და კარვებით; კარვების ნაწილი გამოყო სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციამ.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეებისათვის განხორციელდა მრავალმხრივი აქტივობები, როგორც შემეცნებითი აგრეთვე სპორტულ-გასართობი შინაარსის, რომლის განხორცილებაშიც ჩვენ პარტნიორი ორგანიზაციის - "კოდის სათემო განათლების ცენტრი" წარმომადგნელები იყვნენ ჩართულნი, რომელთაც განსაკუთრებული როლი შესარულეს ახალგაზრდებთან სამოქალაქო-შემეცნებითი აქტივობების დაგეგმვისა და განხორცილების თვალსაზრისით.

მოზარდებისთვის ბორჯომის მუნიციპალიტეტმა მოაწყო ექსკურსია ახალციხეში რაბათის ციხეზე. მოეწყო ლაშქრობა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ისტორიულ ძეგლებზე.

2018 წელს განხორციელებულ ამავე ქვეპროგრამაში, რომელიც შედგა სენაკის რაიონის სოფ. ნოქალაქევში, მთლიანობაში მონაწილეობა მიიღო 45 მოზარდება. შესაბამისად გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წელს პროექტში ჩაერთოთ მეტი მონაწილე.

მომავალ წელს ვგეგმავთ ბანაკში ჩაერთოს 200-მდე მოსწავლე.

ბოლო ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებში დაიბეჭდა ეს მასალებიც წარმოადგენდა სამეცნიერო კონფერენციას - „კულტურული მემკვიდრეობა - საფრთხეები და გამოწვევები“, რომელიც გაიმართა 27 ნოემბერს გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრში. კონფერენციაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა დარგის მეცნიერები, რომლებმაც წარმოადგინეს თავიანთი კვლევები.

**Giorgi Patashuri**

Deputy head of the Division of Cultural Property Protection Of the Ministry  
of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia  
Art critic

## **Cultural Heritage in the occupied territories of Abkhazia**

### **Summary**

Abkhazia, Georgia's historical territory, which is occupied by Russia, where we everyday faced human rights violations.

In the occupied territories, it is particularly noteworthy the difficult situation of historical and architectural structures.

Unfortunately, in the occupied territory of Abkhazia, the de-facto authorities try to grant a special status for historical and architectural structures, but they cannot afford to implement the appropriate protection mechanisms, as a result we face the hardest criminal actions, towards historic structures and change the authenticity of historical and architectural structures.

## ეპიგრაფიკული ძეგლების დაცვის პრობლემები საქართველოში - საფრთხეები და გამოწვევები

ეროვნული იდენტობის საყოველთაოდ აღიარებული სიმბოლოებია - საერთო ენა, რელიგია, მატერიალური კულტურა, საერთო წარსული და წეს-ჩვეულებები. მათ შორის მატერიალურ კულტურას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეროვნული იდენტობისა და კულტურის წარმოჩენის თვალსაზრისით, ფაქტობრივად, იგი ამა თუ იმ ერის ნაციონალური იდენტობის მარკერია. ბუნებრივია, ყველა ერი/სახელმწიფო ცდილობს გაუფრთხილდეს იმ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც მის ტერიტორიაზეა განთავსებული, განურჩევლად კონფენსიური კუთვნილებისა და პირველ რიგში ახდენს ამ ძეგლების აღრიცხვას, ქმნის თითოეული ძეგლის არქეოგრაფიკულ აღწერილობას, აკონსერვებს, ან რესტავრაციას უკეთებს მათ და ამზადებს საილუსტრაციოდ.

კარგა ხანია ჩვენს ქვეყანას კონფლიქტურ რეგიონებში (აფხაზეთი, ე. წ. სამხრეთ ოსეთი) კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებით პრობლემები აქვს, მაგრამ აღნიშნული პრობლემები თავს იჩენს დანარჩენ საქართველოშიც. გარდა ამისა, ჩვენი მეზობელი სახელმწიფო საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ძეგლების საკმაოდ სოლიდურ ნაწილს თავის კულტურულ მემკვიდრეობად აცხადებს და ეს საკითხი ოფიციალურ დონეზეც დაისვა. საკითხის ამ დონეზე დასმა, უკვე წარმოადგენს ჩვენი მხრიდან ათეული წლების მანძილზე განხორციელებული წაყრუების პოლიტიკის შედეგს. როცა ამ სახის პრობლემა დგას იგი თავისთავად არ მოგვარდება და მას აუცილებლად სჭირდება პრევენცია, როგორც აკადემიურ, ასევე დიპლომატიურ დონეზე.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს შორის, როგორც რაოდენობრივად, ასევე ისტორიული მნიშვნელობით საკმაოდ სოლიდური ადგილი უჭირავს ეპიგრაფიკულ ძეგლებს, რომლებიც შემორჩენილია, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე. მათ შორის უძველესია ბერძნული ეპიგრაფიკული მასალა და ეს არის ქართული კულტურის დიდი საგანძურო.

ცნობილია, რომ შეუძლია საუკუნეების რუსული ეპიგრაფიკა, საკმაოდ მნირია, არსებობს გვიანი პერიოდის არტეფაქტები, მაგრამ ეს ვერ ქმნის სერიოზულ ისტორიულ მემკვიდრეობას. ვფიქრობთ, აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა, რომ საბჭოთა კავშირში ვერ შემუშავდა და განვითარდა ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის, ტექსტის დაზუსტების, დაცვისა და გამოფენის წესები. მიუხედავად იმისა, რომ არ იყო პოპულარული და შესაბამისად არც წახალისებული და მხარდაჭერილი ეპიგრაფიკული კვლევები, საბჭოთა პერიოდის ქართველმა მეცნიერებმა ამ მხრივ სოლიდური მემკვიდრეობა დატოვეს.<sup>1</sup> თუმცა ქართულ ეპიგრაფიკაში, მაინც იჩინა თავი საბჭოთა პრობლემებმა და დღემდე ჩვენშიც არ არსებობს წარწერების გამოცემის, ტექსტის დაზუსტების, დაცვისა და გამოფენის ერთიანი წესები. მართალია, საბჭოთა პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ქართული ეპიგრაფიკული კორპუსების პუბლიკაციას, რომელშიც ქრისტიანობის დაცვის მიზანით აღმოჩენილი იყო ქართული წარწერები, ნოდარ შოშიაშვილის, ზაზა ალექსიძისა, ვალერი სილოგავას, გიორგი ოთხმეზურისა და სხვათა მიერ გამოიკვეთა წარწერის ტექსტის დაზუსტების, ტექსტის შინაარსისა და იკითხვისების

<sup>1</sup> იგულისხმება ივ. ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის ნოდარ შოშიაშვილის, თემურაზ ბარნაველის, ზაზა ალექსიძის, ვალერი სილოგავას, გიორგი ოთხმეზურის და სხვების მემკვიდრეობა.

პუბლიკაციის წესები, ეს ტრადიცია ვერ იქნა ყველას მიერ გაზიარებული. ამავე დროს საერთოდ უყურადღებოდ დარჩა მათი დაცვის, გამოფენისა და პოპულარიზაციის საკითხები. შესაბამისად, ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის, დაცვისა და უსარტორთხოებასთან დაკავშირებით სახეზე გვაქვს მთელი რიგი პრობლემები და ეს არ ეხება მხოლოდ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ გამოწვევებსა და საფრთხეებს.

**ეპიგრაფიკული ძეგლების დაცვასთან დაკავშირებულ საფრთხეებსა და გამოწვევებს შორის გამოვყოფით რამდენიმე უმნიშვნელოვანეს საკითხს:**

1. საქართველოს კანონმდებლობით არცერთი ეპიგრაფიკული არტეფაქტი არ წარმოადგენს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს, არადა ჩვენს გვაქვს ძეგლისგან დამოუკიდებლად არსებული სხვადასხვა ტიპის არაერთი ეპიგრაფიკული ძეგლი, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ასევე დანარჩენ საქართველოში.
2. არ არსებობს ქვის ლაპიდარული ფონდის შენახვის, დაცვისა და უსაფრთხოების ერთიანი წესები, შესაბამისად საქართველოს სხვადასხვა მუზეუმს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინდივიდუალური მიდგომები აქვთ შემუშავებული.
3. არ არსებობს ეპიგრაფიკული ძეგლების ერთიანი საგამოფენო ცენტრი - ლაპიდარიუმი, რომელიც ოდესლაც არმაზში არსებობდა, მაგრამ ზემოხსენებული მიზეზების გამო მისი მოწესრიგება და საქმის ბოლომდე მიყვანა საბჭოთა ეპოქაში ვერ მოხერხდა. არადა საქართველო უძველესი წერილობითი კულტურის ქვეყანაა, სადაც ქვის წერილობითი ტრადიციები და ქვის კალიგრაფიული სკოლები არსებობდა.
4. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია და გამოფენაშიც არის წარმოდგენილი ქვის ლაპიდარული ფონდი, თუმცა არა ყველა, რადგან აქ დაცული წარწერების საკმაოდ მდიდარი კოლექციის დიდი ნაწილი ფართის სიმცირის გამო გამოფენაში ვერ მოხვდება. რამდენადაც ვიცით, აღნიშნულ ინსტიტუციაში იდესლაც იდეაში არსებობდა ქვის ფონდის გამოფენის გაკეთება, თუმცა ეს სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი.<sup>2</sup>
5. საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მუზეუმებში იდესლაც დაცული ეპიგრაფიკული მასალის დიდი ნაწილი დღეს მათ გამოფენებში არ იძებნება. ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი არც შესაბამის კატალოგებში, არც გამოფენებსა და არაოფიციალურ გამოცემებში.
6. საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში საოკუპაციო რეჟიმისა და სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ოფიციალურად არის წახალისებული ისტორიული მეცნიერება, რომელთა პუბლიკაციებმა უკანასკნელი 30 წლის მანძილზე რეკორდულ ზღვარს გადააჭარბა, თუმცა ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის თვალსაზრისით არცერთი ნაშრომი არ გამოქვეყნებულა.<sup>3</sup> ეს ფაქტი საფუძვლიან ეჭვს ინვევს, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე არსებული ქართული (და არამარტო ქართული) ეპიგრაფიკული ფონდი საფრთხისა და დაღუპვის დიდი რისკის წინაშე დგას. ამ ეჭვებს ამყარებს აფხაზეთში, ილორისა და ბედის ეკლესიების ეპიგრაფიკული ძეგლების მიზანმიმართულად გადაშლის ფაქტები.
7. გამოწვევებისა და საფრთხის წინაშე დგას ფრესკული წარწერებიც. ოდესლაც ფრესკებზე არსებული მნიშვნელოვანი წარწერების ასლების დამზადების და მათი გამოფენების წარმოდგენის გეგმა არსებობდა. სახელმწიფო მუზეუმში XX საუკუნის 90-იან წლებში დაცული იყო საქართველოს სხვადასხვა მხარეებიდან, მათ შორის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტაძრების ფრესკების ასლები. კარგი იქნება თუ ფრესკული წარწერების ასლების გადმოღების ტრადიციას გავაგრძელებთ და უკვე არსებულ ფონდს გამოფენებს დავუთმობთ, ამის ტრადიცია არსებობს დასავლეთის

2 მართალია, მუზეუმმა ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ვითარების კვალობაზე ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, მუზეუმში არსებული ქვის ფონდი მეტ ყურადღებას იმსახურებს, რადგან საქმე გვაქვს ჩვენი ქვეყნის კულტურული წარსულის უმთავრეს მონაპოვართან - ქართული დამწერლობის უძველეს ნიმუშებთან სასურველია ქვის ფონდის გამოფენა ცალკე გაკეთდეს, ვიდრე ლაპიდარიუმი ან გლიპტოოთება გაკეთდება.

3 ამ მხრივ გამონაკლისია ანაკონდის ციხე - სიმაგრის რამდენიმე ბერძნული წარწერა, რომელიც რუსმა მეცნეიერმა გამოქვეყნა

მოწინავე ქვეყნებში.

ეპიგრაფიკული ძეგლების დაცვა და უსაფრთხოება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილია, შესაბამისად ყველა საერთაშორისო რეგულაცია, რომელიც შეიქმნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით, ვრცელდება ეპიგრაფიკულ ძეგლებზეც. აღნიშნულ ძეგლთა დაცვისა და ავთენტურობის შენარჩუნების მიზნით შეიქმნა ვენეციის ქართია 1964 წლისა, 1972 წლის 16 ნოემბრის კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. სპეციალურად, კონფლიქტურ რეგიონებში ძეგლთა ავთენტურობის დაცვის მიზნით 1995 წელს იაპონიის ქალაქ ნარაში ხელი მოეწერა „ნარას დოკუმენტს ავთენტურობის“ შესახებ, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის პრინციპი მოითხოვს თითოეული მხარის კულტურული ფასეულობის ლეგიტიმურობის აღიარებას.

აღნიშნული საერთაშორისო მექანიზმების ამუშავებას ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის შიდა სამართლებრივმა აქტებმა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შესახებ. ანუ კანონით განსაზღვრული უნდა იყოს რომელი ძეგლი ნარმოადგენს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის ძეგლებს და სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკა და განვითარების სტრატეგია ძეგლთა დაცვის პროცესში. დღევანდელი გადასახედიდან საქართველომ თითქოს ორივე პრობლემა მოაგვარა:

► საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის № 665 ბრძანების შესაბამისად განისაზღვრა ეროვნული მნიშვნელობის კულტურული ძეგლების სია. მიუხედავად ამისა ეს სია არასრულია და მასში არ შედის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ოუპირებულ ტერიტორიებზე არსებული და ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების მიერ მოთხოვნილი ისტორიული ღირებულების ძეგლები. ნუსხაში საერთოდ არ შედის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ზოგიერთი სახეები. მაგალითად, ჩვენს მიერ ზემოთ უკვე ნახსენები ეპიგრაფიკული ძეგლები.

► 2014 წელს დასრულდა კულტურის კონცეფციაზე მუშაობა, რომელშიც არასაკმარისად არის ნარმოდგენილი მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ის ნაწილი, რომელიც ძეგლთა ავთენტურობის დაცვას, შესწავლასა და პოპულარიზაციას ეხება. ზოგადად, მისასალმებელია ეს დოკუმენტი რომ შეიქმნა (მანამდე საერთოდ არ არსებობდა) მაგრამ ვფიქრობთ, იგი საჭიროებს ფუნდამენტალურ გადახედვას და სახელმწიფო პრიორიტეტებისა და კულტურაში სტრატეგიული მიმართულებების უფრო მკაფიოდ განსაზღვრას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, სახელმწიფო დონეზე უნდა დაიგეგმოს სხვადასხვა ლონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ არამარტო ეპიგრაფიკული ძეგლების, არამედ, ზოგადად საქართველოს მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კვლევის, დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს; უზრუნველყოფენ სამეცნიერო დიპლომატიის ჩამოყალიბებას მატერიალური კულტურის კვლევების საკითხებში. კერძოდ,

1. პირველ რიგში უნდა მოხდეს კულტურის კონცეფციის ფუნდამენტალური გადახედვა (მასში უნდა ჩაერთოს სპეციალისტთა დიდი ნაწილი), რადგან მემკვიდრეობა არ ნარმოადგენს რამდენიმე ადამიანის საკუთრებას, იგი ერის საკუთრებაა და ცივილიზირებულ ქვეყნებში ასეთი საკითხები საყოველთაო განხილვის საგანი ხდება. კონცეფცია ღიად უნდა უჭერდეს მხარს კულტურის ძეგლების პოპულარიზაციას საერთაშორისო არენაზე.

2. შეივსოს და დაზუსტდეს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხა, „გავბედოთ“ და მასში შევიტანოთ მატერიალური კულტურის ის ძეგლები, რომლებიც დაცვას საჭიროებენ (აღნიშნულ ნუსხაში შეტანა ნიშნავს, რომ სახელმწიფო პასუხისმგებლობას იღებს მათ დაცვაზე).

3. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხის შევსების შესაბამისად, შეიქმნას მათი სპეციალური კატალოგი, რომელიც ინტერნეტში განთავსდება

შესაბამისი მოკლე არქეოგრაფიული აღწერილობებით ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. არქეოგრაფიულ აღწერილობებში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ძეგლის ენა - ანუ ეპიგრაფიკული მასალა. (ამ საკითხზე საბჭოთა პერიოდში და ახლაც მუშაობს რამდენიმე ინსტიტუცია და მათი საქმიანობა კრიტიკას ვერ უძლებს).

4. განსაკუთრებული ღირებულება აქვს წერილობითი კულტურის უძველეს ნიმუშებს - ეპიგრაფიკულ ძეგლებს, რადგან ქვის წერილობითი ძეგლები პირველხარისხოვან საისტორიო წყაროებს მიეკუთვნებიან, კულტურული იდენტობის კვლევის პროცესში, ასევე საგანგებო დატვირთვა აქვთ სადაც საკითხების არგუმენტირების პროცესში. მათ შორის ყურადღება სჭირდება იმ ეპიგრაფიკულ (ლაპიდარულ) ძეგლებს, რომლებიც უკვე მოძრავია და გადმოტანილია მუზეუმებში, ან ლაპიდარიუმში.
- ა) საქართველოს ეროვნულ მუზეუმში აუცილებლად განახლდეს ლაპიდარიუმის გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ყველა წარწერა, განურჩევლად ენობრივი სხვაობისა.
- ბ) ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს და მოწესრიგდეს საქართველოს მთავარი ლაპიდარიუმის საკითხი, ან შეიქმნას ე. წ. გლიპტოთეკა, სადაც გამოფენილი იქნება ქვის ძეგლები. ლაპიდარიუმი ღია უნდა იყოს როგორც მნახველების, ასევე მკვლევარებისათვის.
- ც) აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ლაპიდარული წარწერები, როგორც ეროვნულ მუზეუმში, ასევე ლაპიდარიუმში წარმოდგენილი უნდა იყოს ცალკე დარბაზში ფოტოებით, სლაიდებითა და მუდმივად მოძრავი სინქრონით ეკრანზე.
- დ) სასწრაფოდ მოსაწესრიგებელია სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ლაპიდარიუმის საკითხი. ამჟამად, ძეგლები შეფუთულია და დასაწყობებული. უნდა მოიძებნოს გამორჩეულად თვალსაჩინო ტერიტორია, სადაც განხორციელდება ამ მდიდარი, შეიძლება ითქვას უნიკალური ფონდის გამოფენის მონაცემები და ძეგლები ხელმისაწვდომი გახდება მკვლევართათვის. ლაპიდარიუმში წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც ქართული, ასევე სომხური, არაბული და სხვა ლაპიდარული წარწერები.
5. სამთავრობო სამეცნიერო ფონდებმა მკაფიოდ განსაზღვრონ კვლევის პრიორიტეტული მიმართულებები და ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად განისაზღვროს საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების კვლევა და პოპულარიზაცია. მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აფხაზეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, თრუსოს ხეობის, ტაო-კლარჯეთის, მატერიალური კულტურის ძეგლების კვლევისა და პოპულარიზაციის საკითხებს.<sup>4</sup>
6. სახელმწიფომ ღიად უნდა დააფიქსიროს პოლიტიკა - ჩვენ არ ვდავობთ მატერიალური კულტურის ძეგლების ეთნიკურ ან კონფენსიურ კუთვნილებაზე, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა ძეგლი (რომელ კონფენციასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი) საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაა, შესაბამისად მათ ქართული სახელმწიფო იცავს, სწავლობს და პოპულარიზაციას უწევს.
7. ძეგლების კონფენსიური კუთვნილების საკითხს სწავლობს მეცნიერები და არა სახელმწიფო მოხელეები. ამ მიზნით, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან მუდმივად უნდა არსებობდეს მატერიალური კულტურის ძეგლების (განსაკუთრებით „ცხელი“ რეგიონების) მკვლევართა სათათბირო, რომლის შემადგენლობაში სრულებითაც არაა სავალდებული „ელიტარულ ან პოპულისტ მკვლევართა“ (ორი უკიდურესობაა) შეყვანა. ამ შემთხვევაში მთავარი და ამოსავალი უნდა იყოს რეგიონის და საკითხის საფუძვლიანი ცოდნა. ჩაერთოს ამ საკითხში არამარტო კულტურის ძეგლების მკვლევარები, არამედ ისტორიკოსები და უცხოენოვანი (მათ შორის ძველი სომხური) საის-

4 ამ თვალსაზრისით ნამდვილად მისასალმებელია რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ახალი ხელმძღვანელობის მიერ წამოწყებული ინიციატივა. ოკუპირებული და საზღვრისპირა რეგიონების კვლევებზე დამოუკიდებელი კონკურსებისა და საგრანტო ფონდის გაზრდის თაობაზე. პირველი საკონკურსო შედეგებიც უკვე სახეზეა.

ტორიო მწერლობის შემსწავლელი სპეციალისტები.

8. სახელმწიფო დონეზე დაისვას საკითხი აფხაზეთმცოდნეობის, არმენოლოგის, აზერბაიჯანისტიკის და ზოგადად, კავკასიოლოგის მიმართულებით სპეციალური სამეცნიერო კადრების მომზადებისა და სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის შესახებ. გამორჩეული ყურადღება უნდა დაეთმოს აფხაზეთმცოდნეობას, ოსური და აზერბაიჯანული კულტურის შესწავლას, არმენოლოგის, კონკრეტულად ძველი სომხური, ბერძნული, ოსმალური, სპარსული საისტორიო მწერლობის<sup>5</sup> შესწავლას და ამ კუთხით უნდა განხორციელდეს მიზანმიმართული პოლიტიკა;

9. განხორციელდეს რამდენიმე გადაცემა, ან გადაცემათა ციკლი აფხაზეთის, ე.წ სამხრეთ-ოსეთის, სამცხე - ჯავახეთის, ქვემო ქართლის ძეგლებზე. ეს საკითხი პირველ რიგში დაევალოს საზოგადოებრივ მაუწყებელს. სასურველია განხორციელდეს სპეციალური პროექტი რამდენიმე არხზე. გადაცემის წამყვანი უნდა იყოს საკითხის პროფესიონალი უურნალისტი.

ა) გადაცემები არ უნდა იყოს პოლიტიკური;

ბ) არავითარ შემთხვევაში არ უნდა ატარებდეს დავის ხასიათს და ჰქონდეს საინფორმაციო შემეცნებითი მნიშვნელობა - ენეოდეს ძეგლების პოპულარიცაზიას;

ც) გადაცემის თემატიკა უნდა შეირჩეს გონივრულად და იგი არ უნდა იწვევდეს ახალ პრობლემებს.

10. გამორჩეულად მნიშვნელოვანია სახელმწიფომ (პარლამენტმა და პრემიერ მინისტრის კაბინეტმა) მუდმივი კონტროლის ქვეშ აიყვანის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე მომუშავე ინსტიტუციები.<sup>6</sup> მოითხოვის მათი მუშაობის ანგარიში ყოველწლიურად და ა. შ. ეს არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს. ანგარიში უნდა იყოს ღია და განთავსდეს აღნიშნული ინსტიტუციების საიტებზე.

11. სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს ყოველწლიური მუდმივმოქმედი საერთაშორისო სიმპოზიუმი „სამხრეთ კავკასიის მატერიალური კულტურის მკვლევარები ძეგლების პოპულარიზაციისათვის“ და მიეცეს მას ტრადიციული სახე - კავკასიაში ეს მისია საქართველომ უნდა აიღოს თავის თავზე. ეს უნდა იყოს მუდმივმოქმედი ინსტიტუცია, რომელსაც სათავეში ჩაუდგება, საკითხის გულშემატკივარი და არამხოლოდ ფონდის მაძიებელი, ან „ელიტური“ მეცნიერები, ან პოპულისტურ თემებზე „გადართული“ „მეცნიერები“. აღნიშნულ სიმპოზიუმთან უნდა ჩამოყალიბდეს სპეციალური ფონდი თემის დისემინაციისთვის. საკითხი უნდა დაიგეგმოს გონივრულად და გადაწყდეს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის სხდომაზე, საკითხის მკვლევრებთან ერთად.

12. შესაძლებლად მიმართია ცალკე ფონდის დაარსებაც, რომელიც პოპულარიცაზიას გაუწევს „ცხელი“ რეგიონების კულტურის ძეგლებს როგორც სამეცნიერო პუბლიკაციებით, ასევე პოპულარული და შემეცნებითი ხასიათის გამოცემებით.

13. საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით შესაძლებლად მიგვართია განხორციელდეს ქართულ-თურქული, ქართულ-სომხური, ქართულ-აზერბაიჯანული, ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური ერთობლივი სარესტავრაციო სამუშაოები ძველი ხუროთმოძღვრების ძეგლების აღსადგენად:

- ჩამოყალიბდეს ერთობლივი სამუშაო ჯგუფები ძველი ტაძრების, ფრესკების, მცირეფორმის ხელოვნების ნიმუშების, ეპიგრაფიკული ძეგლებისა და ნუმიზმატიკური მასალების რესტავრაციის მიზნით.

5 ამ მხრივ ჩვენმა წინაპრებმა ტრადიციული სკოლები შექმნეს, შესაბამისად ჩვენ გვყავს სახელგანთქმული პროფესიონალი კადრები, მაგრამ დღეს ზოგიერთი მათგანს პრობლემები შეექმნა პროფესიაში თაობათა ცვლილების გამო, ან სუსტია მათთან კოორდინაცია და ა. შ.

6 მისასალმებელია, რომ საქართველოს ჰყავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, შესაბამისი პროფესიონალი კადრებით, მაგრამ სააგენტო არის პატარა ინსტიტუცია და მხოლოდ ის ვერ განვდება საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და საფრთხეებს.

14. საქართველოს სახელმწიფომ სამართლებრივ დონეზე ხელი უნდა შეუწყოს რუსული და სომხური ეკლესიების, ასევე ისლამის მიმდევართა უფლებების დაცვას ქვეყნის ტერიტორიაზე. მოითხოვოს ქართული ეკლესის მსგავსი უფლებები რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ასევე სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის სახელმწიფოებში, რა სამართლებრივი უფლებები და სტატუსი მათ კონფენსიებს აქვთ საქართველოში.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი უნდა გახდეს ქართული დიპლომატიის საერთაშორისო არენაზე საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი. გონივრული პოლიტიკით შესაძლებელია მისი განხილვა და გამოყენება სამეცნიერო დიპლომატიის კონტექსტში, როგორც კონფლიქტების გადაწყვეტის აღტერნატიული პერსპექტივა. ამ კონტექსტში ხაზგასმით უნდა წარმოჩნდეს საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკა: ჩვენ არ ვდაობთ ოპონენტებთან, ჩვენ ვიკვლევთ, ვიცავთ და პოპულარიზაციას ვუწევთ.<sup>7</sup>

**Lia Akhaladze**

Sokhumi State University

## **Problems of protection of epigraphic monuments in Georgia - threats and challenges**

### **Summary**

Epigraphic monuments , which are remained in Georgian and different foreign languages hold an important position both quantitatively and historically among cultural heritage monuments of Georgia. Greek epigraphic material is the oldest between them and it is a treasure of Georgian culture.

Protection and safety of epigraphic monuments are inseparable part of protection and safety of cultural heritage monuments , therefore every international regulation, which is created for protection of cultural heritage applies to epigraphic monuments as well.

Accordingly, in our opinion, various actions should be planned at the state level aimed at the research, protection and safety of not only epigraphic monuments, but also the tangible cultural heritage of Georgia as a whole and the provision of creation of science diplomacy regarding research of this heritage.

<sup>7</sup> აღნიშნული სტატიის ერთი ნაწილი - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრობლემები, ნაკითხული იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის მიმართულების მიერ მოწვევულ საერთაშორისო კონფერენციაზე. შემდეგში თავი შევიკავეთ მისი პუბლიკაციისგან, მაგრამ ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილების აუცილებლობა კულტურული მემკვიდრეობის საფრთხეებთან და გამოწვევებთან დაკავშირებით.

## ირაკლი გელენავა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს  
ადმინისტრაციის უფროსი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

## ენობრივი პოლიტიკა სეპარატიზმის გასაღვივებლად

აფხაზური ენის შესახებ არსებული პირველი ცნობები, რომელიც დღემდე არის შემონახული XVII საუკუნის ცნობილ თურქ მოგზაურს ევლია ჩელების (Evliya Çelebi) ეკუთვნის. ის მოგზაურობას 1640 წელს შესდგომია და დაუსრულებია 1670 წელს. მოუვლია მრავალი ქვეყანა და მათ შორის საქართველოც, მოგზაურობით დაგროვილი შთაბეჭდილებები ერთ ნიგნად შეუკრავს და „სეაპათნამე“ (მოგზაურობის ნიგნი) უწოდებია. მოგზაურს გარდა აფხაზეთზე ზოგადი ცნობებისა არაბული ასოებით ჩაუწერია ზოგი აფხაზური სიტყვა.<sup>8</sup>

აღსანიშნავია, რომ XIX ს-ის II ნახევრამდე აფხაზურ ენაზე დამწერლობა არ არსებობდა, იგი 1862 წელს რუსი კავკასიოლოგის პ. კ. უსლარის მეცადინეობით რუსული ანბანის საფუძველზე შეიქმნა და მასში 37 კირილური ასო-ნიშანი იყო,<sup>9</sup> საინტერესოა ის ფაქტი, რომ თვით პეტრე უსლარი წერდა: „დამოუკიდებელი ლიტერატურა მათ (ე.ი. აფხაზებს — ი.გ.) არ შეუძლიათ ჰქონდეთ და არც ექნებათო“,<sup>10</sup> ეს სიტყვები ცარიზმის სურვილსაც ემთხვეოდა.

ა	ბ	ვ	ვ	გ	გ	ძ	ძ	ე	ჯ	ც	ჺ	ჺ	ჳ
დ	ჸ	h	h	i	j	k	k	ლ	მ	ნ	ო	პ	პ
p	c	ç	t	ť	t	č	y	ფ	x	х	ц	ц	ც
ყ	ჴ	ჵ	ჵ	ჷ	ჷ	შ	შ	შ	შ	შ	v	v	v

- ✓ 1862 წელს პეტრე უსლარის მიერ შედგენილი აფხაზური ანბანი



- ✓ 1887 წელს უსლარის მიერ გამოცემული

<sup>8</sup> ევლია ჩელების მოგზაურობის ნიგნი, თბ. 1973

<sup>9</sup> Инал-иша Ш. Д. Абхазы, სოხ. 1965, გვ. 162.

<sup>10</sup> თ. ჭურლულია, კრიტიკული წერილები, ნიგნი II, სოხ. 1961. გვ. 13. იხ. ვრცლად ნარკვევები საქართველოს ისტორიიდნ, აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე. (მთ. რედ. ჭ. გამახარია) თბ. 2007. გვ. 256-257.

### აფხაზური ენის სახელმძღვანელო

მალევე კვლავ განიცადა აფხაზურმა ანბანმა ცვლილება და მორიგი ანბანი (ბუკვარი) გამოვიდა 1865 წ. რომლის ავტორმა ივანე ბარტლომეიმ მის შესაქმნელად ქართული ასო-ნიშნები გამოიყენა, როგორც უფრო შესაფერო აფხაზური ენისათვის, თუმცა მაშინ ეს ანბანი პოლიტიკური მოტივით არ იქნა მიღებული, შედეგად უპირატესობა მიენიჭა უსლარისეულ ანბანს.<sup>11</sup>




- ✓ 1865 წელს ივანე ბართლომეის ხელმძღვანელობით გამოცემული პირველი საანბანო წიგნი

1892 წელს კონსტანტინე მაჭავარიანმა შეადგინა აფხაზური ანბანი რუსული გრაფიკის საფუძველზე და იმავე წელს გამოდის პირველი საკითხავი წიგნი აფხაზურ ენაზე კონსტანტინე მაჭავარიანისა და დიმიტრი გულიასი, რომლითაც საძირკველი ჩაეყარა მწიგნობრობას აფხაზურ ენაზე.<sup>12</sup>

11 გაზ. „მოამბე“, N9, 1965.

12 ი. გელენავა. კულტურა და საგანმანათლებლო საქმიანობა აფხაზეთში 1900-1921 წლებში. დისერტაცია, თბ. 2004, გვ.108.




- ✓ 1892 წელს დიმიტრი გულიასა და კონსტანტინე მაჭავარიანის  
მიერ შედგენილი აფხაზური ენის საანბანო წიგნი

აფხაზური ანბანის ცვლილებები ამით არ დასრულებულა რამაც აფხაზური კულტურის განვითარებაზე მეტად უარყოფითი გავლენა იქონია. ჩვენი აზრით, სწორედ ამისათვის იყო ხელშეწყობილი ანბანის ასე ხშირი ცვალებადობა.

1909 და 1914 წლებში ალექსეი ჭოჭუას მიერ გამოიცა აფხაზური ანბანის სახელმძღვანელო, რომელიც რუსული ანბანის გრაფიკაზე იყო აწყობილი.

ა	ბ	გ	გ̄	ბ	ნ̄	დ	დ'	ე	ჟ	ჟ̄	ჰ	ჰ̄	
ე	ე̄	ვ	ვ̄	ს̄	ი	კ	ნ̄	ჵ	ჽ	ჽ̄	ლ	მ	ნ

- ✓ ა. ჭოჭუას მიერ შედგენილი ანბანი  
1909 წელი



✓ 1914 წელს ა. მ. ქოჭუას მიერ გამოცემული  
აფხაზური ანბანი

1926 წ. ნიკო მარის მიერ წარმოდგენილი იყო ე. ნ. ანალიტიკური აფხაზური ანბანი, რო-  
მელიც თავისი მოუხერხებლობის გამო რესპუბლიკის საზოგადოებრიობის მიერ ბოლომდე არ  
იქნა მიღებული და იგი გამოყენებაში მხოლოდ 1928 წლამდე იყო.<sup>13</sup>

1928 წელს კი შემოღებულ იქნა ნ. იაკოვლევისა და ე. პოლივანოვის მიერ ლათინურ  
შრიფტზე დაყრდნობით შექმნილი ე. ნ. ლათინიზირებული აფხაზური ანბანი, რომელიც  
დამწერლობაში 10 წლის განმავლობაში, 1938 წლამდე გამოიყენებოდა.




✓ აფხაზური ლათინიზირებული ანბანის გამოყენებით


### გამოცემული წიგნი (1928–1938 წ.)

1937 წელს აფხაზური ანბანი შეიქმნა ქართული ასობგერების მოხაზულობაზე დაყრდნობით, დადგენილება აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის შესახებ 1937 წელს მიღებულ იქნა კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის XV კონფერენციაზე,


✓ აფხაზური ანბანი  
ქართული ანბანური მოხაზულობის საფუძველზე (1938-1954 წ.)



## დიმიტრი გულიას თხზულებები



- ✓ Յլ. մաանօսա ճա թ. ժկոժկյաս մոյը 1940 նելս գամուցեմուլո  
առեածուրո լութերաթուրուս սանցլմծլզանելու




- ✓ Գոմութրո ցուլուս րեգայիտորոնքուտ 1941 նելս գամուցեմուլո  
ծոտա րուստազելուս „Հետեօստիցպառսան”



✓ აფხაზური ანბანი  
სასკოლო სახელმძღვანელო (1953 6)

ეს ანბანი გამოიყენებოდა 1954 წლამდე, ანუ მანამდე ვიდრე არ შეიქმნებოდა თანამედროვე აფხაზური ანბანი რუსულ/კირილურ ასო-ბერების მოხაზულობაზე დაყრდნობით, იგი შექმნა ცნობილმა აფხაზმა საზოგადო მოღვაწემ დიმიტრი გულიამ.<sup>14</sup>



✓ 1954 წელს გამოცემული  
აფხაზური ენის სახელმძღვანელო

აღსანიშნავია, რომ ენათმეცნიერების მოსაზრებით კირილური ანბანი არათუ ვერ გადმოსცემს აფხაზური ენის ფონეტიკურ შესაძლებლობებს, არამედ არღვევს კიდეც ამ ენის ფონეტიკურ ბუნებას, რამაც უკვე გამოიწვია ენის განვითარების კუთხით უარყოფითი შედეგები, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უთუოდ უფრო მწვავედ იჩენს თავს. მეცნიერთა აზრით, აფხაზური ენის ფონეტიკასთან ახლოობის თვალსაზრისით შესაძლოა არც ქართული ასო-ნიშნები იყო იდეალური, მაგრამ იგი მაინც ბევრად უკეთ შეესატყვისებოდა ამ მონათე-სავე ენის ბუნებას.<sup>15</sup>

14 იხ. ი. გელენავა, აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ისტორიდან, თბ. 2003.

15 გაზ. „წემი აფხაზეთი“, 2012, N18, მარტი.

აფხაზური ანბანის შექმნა, არ ისახავდა მიზნად აფხაზურის, როგორც სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და მისი შემდგომი განვითარებისათვის ზრუნვას, არამედ ეს ერთი მთლიანი მზაკვრული გეგმის ნაწილი იყო, რომლის საბოლოო მიზანი ქართველთა და აფხაზთა გაუცხოება, მათი დაპირიპირება და აფხაზეთის საქართველოდან ჩამოცილება იყო. აფხაზური ენის ჩამოყალიბება აკადემიურ ენად, ისტორიის არც ერთ ეტაპზე არ შედიოდა რუსეთის გეგმაში, ამიტომაც ის ვერ ჩამოყალიბდა ასეთად. იყო პერიოდი, და ეს განსაკუთრებით შეეხება XX საუკუნის 20-30-იან წლებს, როდესაც სხვადასხვა თაობის აფხაზები ვერ კითხულობდნენ ერთმანეთის ნაწერს, რამეთუ ყველა თაობა აღიზარდა სხვადასხვა ანბანით, ხოლო მისი ხშირი ცვლილებები კი იწვევდა იმას, რომ წერა-კითხვის მცოდნე აფხაზების სხვადასხვა თაობას ერთმანეთის წერილის ნაკითხვა არ შეეძლოთ.

ქართველთა და აფხაზთა წინააღმდეგ მიმართული გეგმის განხორციელება „წარმატებით“ დაიწყეს ჯერ რუსეთის ცარიზმის მოხელეებმა და განაგრძო საბჭოთა ხელისუფლებამ ამჟამინდელი რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკაც იმ გეგმის გაგრძელებაა, თუმცა განსხვავება არის იმაში, რომ თუ საუკუნის წინათ რუსეთის ცარიზმი აფხაზებს უქმნიდა ანბანს, დღეს უკვე, მას შემდეგ რაც რუსეთმა აფხაზეთის ე.ნ. „დამოუკიდებლობა“ აღიარა, ყველაფერს აკეთებს, რათა აფხაზს დაავინყოს არა მხოლოდ აფხაზური ანბანი, არამედ აფხაზური ენაც, რაც მხარის საბოლოო ასიმილაციისათვის აუცილებელი წინაპირობაა.

საგულისხმოა, რომ აფხაზური ანბანის გამოყენების არეალი მეტად მწირია, რადგან რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში ორი სახელმწიფო ენაა: რუსული და აფხაზური. აფხაზური მხოლოდ აფხაზურ სკოლებში ისწავლება, ისიც დაწყებით საფეხურზე, სახელმწიფო საქმისწარმოება კი ოფიციალურად რუსულ ენაზე მიმდინარეობს. ამ სკოლებში აფხაზური სამწიგნობრო ენა განიხილება, როგორც დამხმარე საშუალება, რუსული ენის შესასწავლად. გარდა ამისა, რუსიფიკაციის იდეოლოგები მიზნად ისახავდნენ და ისახავენ აფხაზი ხალხის მოწყვეტას ქართული კულტურული სივრცისაგან. ცნობისთვის, აფხაზური ენა იუნესკომ გაქრობის საშიშროების წინაშე მდგარ ენებს შორის დაასახელა. აფხაზური ენის ჩამოყალიბება აკადემიურ ენად, ისტორიის არც ერთ ეტაპზე არ შედიოდა რუსეთის გეგმებში, ამიტომაც ის ვერ ჩამოყალიბდა აკადემიურ ენად. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, შეუძლებელია აფხაზური დამწერლობის შექმნის შედეგთა მნიშვნელობას გვერდი ავუაროთ: მთელი თავისი ისტორიის მანძილზე აფხაზ ხალხს XX საუკუნის დასაწყისში, პირველად მიეცა საშუალება ეკითხა თავის ენაზე მხატვრული ნაწარმოებები და ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში აფხაზებს გვერდში ედგონენ და შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდნენ მოძმე ქართველები. გამოჩნდნენ აფხაზი მწერლები, აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში აფხაზური წიგნების ძირითადი ნაწილი თბილისშია გამოცემული.

უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის დასაწყისში ქართველი მოღვაწეები, გულითადად ზრუნავდნენ აფხაზური დამწერლობის განვითარებისათვის, რათა აფხაზებს მისცემოდა შესაძლებლობა თავიანთ ენაზე ეკითხათ არა მარტო მხატვრული ნაწარმოებები, არამედ საღვთო წიგნებიც. ამ კუთხით დიდ მონდომებას იჩენდა ეპისკოპოსი კირიონი, იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე, (პეტრე ჭარაია-რომელიც აფხაზური ენის ზედმიწევნით მცოდნე იყო და სახლში მალულად ასწავლიდა აფხაზებს აფხაზურ წერა-კითხვას) წიკო ჯანაშია, ივანე გეგია, ილია ბახტაძე, ანა ნოდია, ანთიმოზ ჯულელი და სხვები.

დღეს, უკვე XXI საუკუნეში, აფხაზური დამწერლობის, და ენის გადარჩენისა და შენარჩუნებისათვის კვლავ ქართველებს გვინევს ქმედითი ღონისძიებების გატარება. წარმოგიდგენთ მოკლე ჩამონათვალს იმ ღონისძიებებისა, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ განახორციელა:

► გამოიცა წიგნი „აფხაზური ენა დამწყებთათვის“, რომლის მიზანია აფხაზური ენის განვითარების მხარდაჭერა და პოპულარიზაცია. წიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს და დაეხმარება მსურველებს, შეისწავლონ წერა-კითხვა აფხაზურ ენაზე. წიგნის შემდგენლები არიან: **თეიმურაზ გვანცელაძე, რიტა ამიჭბა-მარლანია და ირმა ოსია-კინწურაშვილი.**

- ▲ შეიქმნა აფხაზური ენის ელექტრონული თვითმასწავლებლის პირველი დონე;
- ▲ შეიქმნა აფხაზური ენის ელექტრონული თვითმასწავლებლის მეორე დონე;
- ▲ წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში **ხორციელ-დებოდა** აფხაზური ფილოლოგიის პროგრამის სტუდენტების სწავლების თანადაფინანსება;
- ▲ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: „აფხაზური ენის დაცვისა და პოპულარიზაციის აქტუალურ საკითხები“;
- ▲ 2015-2016 სასწავლო წლიდან აფხაზეთის ექვს (№1, №2, №3 №7, №11 №15) საჯარო სკოლაში სწავლების საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნის სახით ისწავლება აფხაზური ენა;
- ▲ აფხაზური ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით, შეიქმნა აფხაზური ენის სწავლების ტრენინგ-პროგრამა;
- ▲ განხორციელდა აფხაზური ენის მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება აფხაზური ენის სწავლების ტრენინგ-პროგრამის მიხედვით;
- ▲ აფხაზური ენის მასწავლებელთა მხარდაჭერის მიზნით მოქმედებს „აფხაზური ენის პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერის“ პროგრამა;<sup>16</sup>

ამრიგად, როგორც ჩვენი მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, მიუხედვად ჯერ რუსეთის ცარიზმის, შემდგომ საბჭოთა ხელისუფლების და დღევანდელი რუსეთის მმართველობის დიდი მცდელობებისა - არ დაწყო აფხაზურ დამწერლობას განვითარება, ეს პროცესი მეტნაკლებად მაინც დაიწყო და მიმდინარეობს. აფხაზთათვის უმნიშვნელოვანეს ამ საქმეში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ და ასრულებენ დღესაც ქართველები. ჩვენს წერილს დავასრულებთ, აფხაზი განმანათლებლის დიმიტრი გულიას სიტყვებით: „აფხაზ ხალხს ქართველზე ახლო მეცეცხლური მეზობელი, კეთილისმსურველი მეგობარი და თანამდგომი არავინ ჰყოლია, მათ ერთმანეთთან აკავშირებთ სასიცოცხლო ინტერესები, მოყვრობა, ტრადიციები და ადათ-წესები, სოციალური და ეროვნული მიზნები და ამოცანები, მოძალებული მტრების წინააღმდეგ ურთიერთთანადგომა, რის გამოც განუყოფელი ჰქონდათ სიხარულიცა და განსაცდელის სიმწვავე“.

16 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მონაცემები.

**Irakli Gelenava**

Head of administration of the Ministry of Education and Culture of the Autonomous Republic  
of Abkhazia  
Professor of Georgian Technical University

## **Language policy to foster separatism**

### Summary

The Abkhaz alphabet has undergone many changes since its creation, which has had a profoundly negative impact on the development of Abkhazian culture, so the Abkhaz language could not become an academic language, as it contradicted Russia's plans historically. Implementation of the plan against Georgians and Abkhazians "successfully" started by Russian Tsarist officials and continued by the Soviet authorities. The current politics of Russia is the continuation of the plan, but the difference is that if a century ago, Tsarism was creating Abkhazian alphabet, today, after Russia has recognised the "Independence" of Abkhazia everything is done to make Abkhazians forget not only the Abkhaz alphabet but also the Abkhaz language, which is a prerequisite for the eventual assimilation of the region.

In spite of the great efforts of Russian Tsarism, later Soviet authorities and present Russian government to hamper the development of the Abkhaz alphabet, the process has begun and the role of Georgians is vital in this process. Today, in the 21st century, Georgians are still conducting effective activities to save and preserve Abkhazian script and language.

## ჩხალთის ანტეფიქსი

ამჟამად ოკუპირებულ სოფელ ჩხალთის (აფხაზეთი, გულრიფშის რაიონი) ჩრდილო-დასავლეთით, ბარდებით დაფარულ ბორცვზე შემორჩენილია ნაგებობის საძირკვლის ნაშთები, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ნალხვამ“-ს (სვან. ნალხვამ- ქართ. ნაეკლე-სიარი) უწოდებს, ნაეკლესიარის სამხრეთ ფერდობზე 1965 წელს მინის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩენილა ეკლესის არქიტექტურული დეტალი, ყავისფრად გამომწვარი, სამკუთხა კერამიკული ანტეფიქსი. ანტეფიქსი ნაკლულია, მოტეხილი აქვს მარჯვენა გვერდის პირი, ქვედა და უკანა ნაწილი. ფასადზე გამოსახულია რელიეფური ჯვარი, რომლის ვერტიკალური ქვედა მკლავი შედარებით გრძელია. ჯვარს ცენტრში ბურთულა ამშვენებს, ხოლო მკლავების დაბოლოება წრიულწვეტილოვანია. ჯვრის განივი მკლავების ქვემოთ მოთავსებულია რელიეფური ასომთავრული წარწერა, რომელიც ჩასმულია რელიეფური ორნამენტის ჩარჩოში და შედგება 4 ასოსაგან: „აბ||ლთ“. ბოლო ასო დაქარაგმებულია, წარწერა შეიძლება წავიკითხოთ - „აბ||უ||ლ||ე||თ“ (სურ. 1). ანტეფიქსი დაცულია მესტიის სახელმწიფო მუზეუმში.

ჩხალთის ანტეფიქსი ბევრი ანალოგიური ნიშნით უახლოვდება დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ ანტეფიქსებს, კერძოდ: აჩანუას,<sup>17</sup> ნოქალაქევის,<sup>18</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ X-XI სს.,<sup>19</sup> ნიმუშებს და ბრამბის ნაეკლესიარზე აღმოჩენილ ანტეფიქსებს. კომპოზიციურად (ჯვრის ფორმა, წარწერის განლაგება, მხატვრული ელემენტები, გვერდითი ორნამენტი და სხვა ნიუანსები), ჩხალთის ანტრეფიქსი ზემოთდამოწმებული პარალელებიდან უფრო ბრამბისას უახლოვდება<sup>20</sup>

ჩხალთის ანტეფიქსზე „ა-ნი“ და „თ-ანი“ გადმოცემულია დაბალი „დამჯდარი“ მოხაზულობით „ლ-ასი“ გადმოცემულია ზედა მარცხენა დამატებითი ხაზის გარეშე მისი მოხაზულობა შესრულებულია უჩვეულოდ მაღალი ყელით, მაგრამ ყელის ასეთი გრძელი სახით გადმოცემა განსხვავებულ პალეოგრაფიულ ნიშნად ვერ ჩაითვლება. იგი, რაც გამოწვეულია ზედაპირის შეზღუდული ფართობით. წარწერის შემსრულებელს ეს ასო უნდა მოეთავსებინა „თანსა“ და ჯვრის მხრებს შორის დარჩენილ მონაკვეთზე. ამავე მიზეზით არის, რომ „ბანი“ გადმოცემულია თითქმის ქუსლის გარეშე, მხოლოდ ოდნავ წინაზიდული ჩანს ამ ასოს ვერტიკალურ ბუნსა და ჯვრის მკლავს შორის.

ანტეფიქსის სიმაღლეა - 13,5 სმ., სიგანე ზედა ნაწილში- 3,5 სმ, ქვედა ნაწილში - 13,5 სმ-ია.

როგორც ცნობილია, კრამიტი ქართულ სატაძრო ხუროთმოძღვრებაში უმთავრესი გადასახური მასალაა. დასავლეთ საქართველოში ტაძრების გადასახურავად ხისგან დამზადებულ ყავარს, დროდადრო კი სპილენძის ფურცლებსაც იყენებდნენ. XIII საუკუნიდან აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში გავრცელებულია ქვის კრამიტისებრი ლორფინები.

საქართველოში გავრცელებული ეკლესიების გადასახურავი მასალიდან მხატვრული თვალსაზრისით აღსანიშნავია წმინდანთა და ბიბლიური ამბების გამოსახულებებით აღმეჭდილი VIII-IX საუკუნეების კრამიტები და XV საუკუნის შორენეცები. X საუკუნის მეორე ნახევრიდან შემოდის და XII საუკუნის ჩათვლით გვხვდება ჭიქურიანი (ლაუვარდისფერი, მენაჟლი, ზურმუხტისფერი, ბალახისფერი) კრამიტი.

17 კაცია ა. პамятники архитектуры в долине Цкуара, МАА. Сухуми, 1967, გვ.69. ტაბ 9-2.

18 ზაქარია პ., ლექვინაძე ვ., გვინძიძე გ., ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ 1976- 77 წწ, ჩატარებული მუშაობის ანგარიში. სსმამ, VI, თბილისი, 1978, გვ:78, ტაბ. XVIII.

19 ჯლამაია ჯ. სამშენებლო კერამიკა ფერდალური ხანის საქართველოში, თბ, 1980, გვ. 49, ტაბ. XVIII-1.

20 ჩართოლანი შ, ცინდელიანი მ, კოდორის ხეობის „ დალ“-ის მხარის არქეოლოგიური ძეგლები. თბ, გვ:17.

როგორც ადრე და განვითარებულ შუასაუკუნეებში, ასევე გვიან შუასაუკუნეებში ქართულ მხატვრობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქტიტორთა პორტრეტებს, რომელთა დაკვეთით და ძალისხმევით შენდებოდა და იხატებოდა ეკლესიები, იქმნებოდა ხატები, გადაიწერებოდა და იმკობოდა ხელნაწერები. ხშირ შემთხვევაში ოსტატის ან შემკვეთის სახელი ისეთ არქიტექტორულ დეტალებზეც ინტერესით, როგორიცაა კარნიზზე დასადგმელი ქვის ან კერამიკის სამკაული- ანტეფიქსი.

ჩხალთის ანტეფიქსზე არსებულ წარწერაში მოხსენიებული „აბულეთ (იანი)“ შესაძლოა ქტიტორის გვარი იყოს. როგორც ცნობილია ამ გვარის ერთ-ერთი წამომადგენელი დავით ალმაშენებლისა და მისი მემკვიდრის დემეტრე პირველის სარდალი იყო.<sup>21</sup>

გამორიცხული არაა, ქართლის ცხოვრებაში მოხსენიებული, X-XI საუკუნეების მიჯნის მოღვაწე აბულეთ(იანი) წარმომავლობით მდინარე კოდორის ზემონელს უკავშირდებოდეს. ჩხალთის ანტეფიქსი შეიძლება X-XI საუკუნეების მიჯნით დათარიღდეს.

ანტეფიქსი წარმოადგენს სანდო მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ ამ რეგიონში განვითარებულ შუა საუკუნეებში ცხოვრობდა ქართულენოვანი მოსახლეობა.

Revaz Khvistani  
Professor of Sokhumi State University

### Antefix of Chkhalta Summary

An architectural detail found during the excavation in 1965 in the village of Chkhalta (Gulripshi district of Abkhazia) on the occupied territory of Abkhazia is reviewed in the article. It is about sculptural decoration, ceramic triangular antefix with Georgian inscription of the 10th-11th centuries and the font "Asomtavruli". Supposedly, church warden Abulet (Iani) is mentioned there.

According to "Kartlis Tskhovreba" Abulet (Iani) was general of David IV the Builder and his descendant Demetre I. Presumably, he was native.

Antefix is the evidence of the settlement of Georgians in this region in the high middle ages. Today antefix is located in the Museum of Mestia.

Реваз Хвистани  
Професор Сухумского Государственного Университета

### ЧХАЛТСКИЙ АНТЕФИКС РЕЗЮМЕ



В статье рассматривается найденная во время земляных работ в 1965 г. на ныне оккупированной территории, в с. Чхалта (Гульрипшский р-н Абхазии) архитектурная деталь. Речь идет о скульптурном украшении - керамическим треугольном антефикссе, на котором имеется грузинская надпись X-XI вв шифром «Асомтаврули». В ней упоминается, очевидно, ктитор по имени Абулет (иани).

По сведению Картлис цховреба, некий Абулет (иани) являлся полковедцем Давида Строителя и его наследника Деметре I. Он вполне мог быть и уроженцем этих мест.

Антефикс представляет собой надежное доказательство проживания грузинского населения в период развитого средневековья. ныне антефикс находится в музее г. Местия.

21 ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქტორობით, თბ, 2008, გვ. 314.

## პირველი მსოფლიო ომი და „აფხაზური ასეული“

პირველი მსოფლიო ომი იყო მსოფლიო მასშტაბის პირველი შეიარაღებული კონფლიქტი, რომის დაწყების ძირითადი მიზეზი კი გახდა ორი მსხვილი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის/კოალიციის - ანტანტისა (რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი) და სამთა კავშირის (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია) დაპირისპირება.

ომის დაწყებისთანავე 1914 წლის 18(31) ივნისს გამოიცა რუსეთის იმპერატორის ბრძანება საყველთაო მობილიზაციის შესახებ.<sup>22</sup> მობილიზაციის პირველ დღედ გამოცხადდა 25 ივნისი (7 აგვისტო), როდესაც იმპერატორის ბრძანებით სახელმწიფო ლაშქრის | თანრიგის მეომრები გაინვიეს.<sup>23</sup> 9 აგვისტოს თბილისში გამოიცა ბრძანება კავკასიის არმიის ფარგლებში ჩერქეზულ ცხენოსანთა<sup>24</sup> 400 კაციანი პოლკის ფორმირების შესახებ. პოლკის თითოეული ასეული შედგებოდა 128 მებრძოლისაგან. ცხენოსანთა ჩერქეზულ პირველ ორ ასეულს ნამოადგენდა ევატერინოვგრადისა და მაიკოპის ადილეური მოსახლეობა, მესამე ასეულს - ყარაჩალები და ლაბინსკის (კრასნოდარის მხარე) მცხოვრებლები, ხოლო მეოთხეს - აფხაზები და მცირე რაოდენობით ქართველები (მეგრელები). მეოთხე, „აფხაზური ასეულის“ ფორმირება დასრულდა 1914 წლის სექტემბერში.<sup>25</sup>

იმავე პერიოდში აფხაზეთში, სოფ. მოქვეში გამართულ სახალხო კრებაზე, რუსეთის ცარიზმის სამხედრო მოხელეების მიერ გაუღერებულ იქნა მონოდება აფხაზთა მიმართ, რომ ისინი მიერთებოდნენ ცარიზმის შეიარაღებულ სამხედრო ნაწილებს და მონაწილეობა მიეღოთ სამხედრო ოპერაციებში. შედეგად გამოჩნდნენ მოხალისები, სწორედ მათი შემადგნლობით შეიქმნა ე. წ. „აფხაზური ასეული“.

ასეული საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად გავიდა 1914 წლის 22 სექტემბერს და ქ.არმავირში ჩავიდა 2 ოქტომბერს, როგორც აღვნიშნეთ, მის შემადგენლობაში იყო 128 მოხალისე, მათ შორის 21 მუსულმანი და 107 მართლმადიდებლური აღმსარებლობის. ასეულის უფროსად დაინიშნა შტაბს-როტმისტერი პერიოდის ფერდორის<sup>26</sup> ძე ბერკვისტი.

ცხენოსანთა ჩერქეზული პოლკი, შედიოდა კავკასიის ცხენოსანთა დივიზიის შემადგენლობაში, ხოლო დივიზია კი მეორე საკავალერიო კორპუსში. სწორედ მის შემადგენლობაში, იბრძოდა ცხენოსანთა ჩერქეზული პოლკი და საბრძოლო მოქმედებებში სამხრეთ დასავლეთის ფრონტზე მონაწილეობდა მე-7, 8 და 9 არმიებთან ერთად. 1916 წლის ივნისში ის მე-7 არმიის შემადგენლობაში იბრძოდა ბრუსლივის გარღვევაში და რუსული არმიის საიერიშო ბრძოლებში მდინარეების სტრინისა და დნესტრის რაიონში.<sup>27</sup>

აღსანიშნავია, რომ პირველ მსოფლიო ოშში, „კავკასიის ცხენოსანთა დივიზიის“ სხვადასხვა პოლკის მიერ ნარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში დაახლოებით 500 აფხაზი იღებდა მონაწილეობას. თვით ასეული „ჩერქეზული დივიზიის“ შემადგენლობაში იყო მოქცეული. მიუხედავად იმისა, რომ მას ხშირად „ველურ დივიზიასაც“ ეძახდნენ, ის ნარმოადგენდა ელიტურ სამხედრო ნაწილს, მისი პირველი უფროსი იყო იმპერატორ ნიკოლოზ II-ის უმცროსი

22 ვ. ჩოჩია, გერმანია პირველი მსოფლიო ომის წინ. საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრ, თბ. 1974. გვ. 164. აღნიშნულ თემაზე იხ, გიორგი გიცირიძე, პირველი მსოფლიო ომი და საქართველო, თბ. 2009.

23 გიორგი გიცირიძე, პირველი მსოფლიო ომი და საქართველო, თბ. 2009. გვ. 109.

24 მასალები ჩერქეზული ცხენოსანთა პოლკის შესზახებ ინახება რუსეთის სამხედრო-ისტორიულ სახელმწიფო მუზეუმში, ჩერქი ინფორმაციით, სამწუხაროდ დოკუმენტები მოიცავენ ცნობებს მხოლოდ 1914-1916 წლების შესახებ.

25 ლ. ი. ცვიჯნა, აბხაზეთის სამხედრო სამსახურის მიმართულებელი მინისტრი, თბ. 1974. გვ. 164.

26 ერთეული მონაცემით ის იხსენიება ადოლფის ძედ.

27 იხ. გაზ. „საქართველო“, 22 იანვარი, N16, 1916 წ.

ძმა მიხეილ ალექსანდრეს ძე რომანოვი. დივიზია ითვლებოდა იმპერატორისადმი ერთ-ერთ ყველაზე ერდგულ სამხედრო ძალად. შემთხვევითი არ იყო, რომ მოგვიანებით, 1917 წლის გაზაფხულზე, როდესაც პეტროგრადში მოეწყო დროებითი მთავრობით უკმაყოფილოთა გამოსვლები, მთავრობამ სწორედ ეს დივიზია მიმართა მღელვარების ჩასაქრობად, როგორც ყველაზე ბრძოლისუნარიანი და ერთგული ნაწილი. თუმცა სამხედროებმა უარი განაცხადეს ჩართულიყვნენ სამოქალაქო ომში. <sup>28</sup>

„კავკასიის ცხენოსანთა დივიზიას“ „ველურ დივიზიასაც“ უწოდებდნენ, ეს მეტსახელი და დივიზიის მებრძოლთა „ველურობა“ განპირობებული იყო იმით, რომ რუსეთის ცარიზმის მოხელეები დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადგილობრივებს ხშირად მოიხსენიებდნენ როგორც „ველურებს“ და არანაირად არ უკავშირდებოდა მათ სისასტიკეს, პირიქით არაერთი პარალელური წყარო გვამცნობს, რომ დივიზიის მებრძოლები გამოირჩეოდნენ თავიანთი ჰუ-მანური დამოკიდებულებით, როგორც მშვიდობიანი მოსახლეობის, ასევე სამხედრო ტყვევების მიმართ. ერთ-ერთი ვინც ამის შესახებ წერდა, იყო იმდროინდელი სამხედრო კორესპოდენტი, ცნობილი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის ვაჟი ილია ტოლსტოი, რომელმაც აღწერა თავისი შთაბეჭდილებები ცხენოსანთა დივიზიის წევრების გაცნობისა და მათთან გარკვეული პერიოდით ცხოვრების შემდეგ. ის გვამცნობს შემდეგს: „მე მთელი თვის განმავლობაში ვცხოვ-რობდი „ველური პოლკების“ მებრძოლებათან. მე მიმითითებდნენ ადამიანებზე, რომლებმაც კავკასიაში სახელი გაითქვეს იმით, რომ შურისძიების მიზნით მოუკლავთ რამდენიმე ადამიანი, - და რას ვხედავდი მე? მე დავინახე ეს მკვლელები, რომლებიც ზრუნავდნენ და თავიანთი ულუფიდან კვებავდნენ უცხო ბავშვებს. მე დავინახე თუ როგორ წუხდა ადგილობრივი მოსახლეობა მაშინ, როდესაც პოლკს უწევდა ადგილმდებარეობის შეცვლა და თუ როგორ ემადლიერებოდნენ ადგილობრივები მათ არა მხოლოდ იმისათვის, რომ მებრძოლები მათ უხდიდნენ ფულს გარკვეული სამსახურისა თუ სხვა სახის სარგებლის სანაცვლოდ, არამედ მათი ადგილობრივების მიმართ დამოკიდებულებებისა და განსაკუთრებული ყურადღებისათვის. მე ვიხილე ისინი ყველაზე მძიმე საბრძოლო დავალებების შესრულებისას, მე ვიხილე ისინი ბრძოლებში - დისციპლინირებულები, მამაცნი და გაუტეხავები.“ <sup>29</sup>

აღსანიშნავია, რომ „აფხაზურ ასეულს“ მებრძოლების მიერ მხედრული მამაცობისა და სხვა დამსახურებებისათვის მიღებული ჯილდოების სიმრავლის გამო ასეულის წევრებს „ჯვაროსნებსაც“ უწოდებდნენ.

როგორც ვთქვით, ..აფხაზური ასეული“ შედგებოდა მოხალისეებისაგან. იმ დროისათვის, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზ ხალხს „დამნაშავე ერის“ სტატუსი ცარიზმისაგან უკვე მოხსნილი ჰქონდა, აფხაზთა დიდ ნაწილს ცარიზმი სამხედრო სამსახურში მაინც არ იწვევდა „არასანდობის“ მიზეზით. რაც შეეხება სამურზაყანოს (ამჟ. გალის რაიონი - ავტ.) და რამდენიმე სხვა თემის მაცხოვრებლებს, რომლებიც არ იყვნენ „დამნაშავეებად“ ცნობილი, ისინი ჩვეულებრივ სამხედრო განვევას ექვემდებარებოდნენ.

„აფხაზური ასეული“ ნარმოადგენდა იმპერიაში მნიშვნელოვან ანგარიშგასაწევ ძალას და გავლენას ახდენდა გარკვეულ სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებზე. მის მებრძოლებში დიდი იყო თანამემამულეთა მიმართ განსაკუთრებული მხარდაჭერის განცდა. ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც ეს „აფხაზეთის ასეულის“ მებრძოლთა კლასობრივ კუთნვნილებაზე მაღლა იდგა. მაგალითად: ასეულის წევრი, ცნობილი აფხაზი რევოლუციონერი ვასილი ლაკობა, პირველი მსოფლიო ომის დროს, რევოლუციური პროპაგანდისათვის იქნა დაპატიმრებული და მიესაჯა დახვრეტა, სასიკვდილო განაჩენს ის სწორედ თავისი თანამებრძოლების - „აფხაზური ასეულის“ მხარდაჭერით გადაურჩა.

„აფხაზური ასეულის“ მოხალისეებს შორის იყვნენ ახლო ნათესაური კავშირის მქონე მებრძოლებიც. მაგ: 4 მებრძოლი გვარად საბეჭია, მათ შორის ორი ძმა - ალექსანდრე და ნესტორი; ღვიძლი ძმები - დავით და ქრისტოფერ ხასაები, ერთ-ერთი მათგანი - ქრისტოფერი დაიღუპა 1916 წ. ერთად იბრძოდნენ ასევე მამა-შვილი პროპორშიკი - იოსებ ხასანის ძე და

28 Наала Авидзба. ахазы на полях Первой мировой были примером для многих.

29 Илья Толстой. Мой воспоминания. С.П. 1914.

კორნეტი - კონსტანტინე იოსების ძე ლაკერბაიები, კონსტანტინე დაიღუპა 1916 წ. მებრძოლებში ლაკერბაიას გვარის წარმომადგენელი იყო - 7 ჯარისკაცი, ასევე მებრძოლთა სიებში 7-7 მებრძოლი ფიქსირდება გვარად ლაკობა, ინალ-იბა, ძიდარია (ძარია), 6-6 კი - ავიძბა, გუმბა, ჯინჯოლია, 5-5 - კოლონია, აკაბა, ხოლო ანჩაბაძეების გვარიდან ასეულში ირიცხებოდა 13 მებრძოლი და სხვა.<sup>30</sup>

საბრძოლო მოქმედებების პერიოდში „აფხაზური ასეულის“ დანაკარგმა შეადგინა 17 ჯარისკაცი. გარდაცვალების მიზეზი იყო როგორც უშუალოდ ბრძოლის დროს დაღუპვა, ასევე მიღებული ჭრილობები და ავადმყოფობა. 1915 წლის 29 მაისს ბრძოლაში დაიღუპნენ მხედრები: ხაჯუგტ (ხაჯარატ) არჩელია, საატ კვარჩია, მაჩაყვა ადლეიბა, ის უგზოუკვლოდ დაიკარგა, მან მიღებული ჭრილობების მიუხედავად მაინც არ დატოვა მებრძოლთა რიგები, მაპამედ კონჯარია - 1915 წლის მაისში მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა, პავლე კონჯარია 1915 წლის მაისში შეუყვანიათ სამხედრო ლაზარეთში გულ-მკერდის არეში მიღებული ჭრილობებით და რის გამოც გარდაიცვალა 29 მაისს. მიხეილ აიბა გარდაიცვალა ავადმყოფობით 1915 წლის მარტში, ხუკ გამისონია - გარდაიცვალა ფილტვების ანთებით 1915 წლის 16 მარტს, ხაზარატ ჩეჩევი - გარდაიცვალა 1915 წლის 6 მარტს, 1915 წლის 11 ივლისს ქოლერისგან გარდაიცვალა კვაბ შაკაია, თემურაზ კვარჩია - დაიღუპა ბრძოლის ველზე 1915 წლის 27 სექტემბერს, უაგვა ხინთბა - შეინირა ოსპის დაავადებამ, შაკირ გუმბა - გარდაიცვალა 90-ე საევაკუაციო ჰოსპიტალში 1916 წლის 4 აპრილს, ქრისტოფერ ხასაია - გარდაიცვალა მიღებული ჭრილობებისაგან 1916 წლის ივლისში, - ბრძოლის ველზე დაეცნენ: კონსტანტინე (კოსტა) შაკაია, ავთანდილ ვოუბა, კონსტანტინე იოსების ძე ლაკერბაი, პროპორშიკი - ვლადიმერ თოფურიძე.<sup>31</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „აფხაზურმა ასეულმა“ ომში თავი განსაკუთრებით გამოიჩინა, რაც აისახა მებრძოლებისათვის მინიჭებული ჯილდოებით: ჩვენი ინფორმაციით დაჯილდოებულია 105 მებრძოლი, მათ შორის 5 მებრძოლი დაჯილდოებულია ოთხი ან მეტი ყველა არსებული ხარისხის (1, 2, 3, 4) გეორგიევსკის ჯვრით. ესენი არიან: დიმიტრი ანჩაბაძე (4, 4, 2, 1), კონსტანტინე კაცის ძე კოლონია (4, 4, 3, 2, 1), ვასილ მაგი (4, 3, 2, 1), ალექსი მურზაყანის ძე ციუბა (4, 3, 2, 1), ეროვნებით ჩერქეზი -რამზან ალიევის ძე შალახოვი (4, 2, 1) არის ინფორმაცია, რომ მას მიღებული ჰქონდა კიდევ 3 ორდენი, თუმცა ინფორმაციის დაზუსტება ვერ მოხერხდა.

აღსანიშნავია, რომ ომის დროს, არც თუ იშვიათად ორი მე-4 ხარისხის ორდენით (გეორგიევსკის ჯვარი) დაჯილდოებისას მათ უცვლიდნენ ერთი მე-3 ხარისხის ჯვარით.

ასეულში მესამე ხარისხით დაჯილდოებული იყო ორი მებრძოლი: კისკინჯ კოზმავა (4, 4, 2) და ნესტორ საბეკია (4, 3, 2). ხოლო მეორე ხარისხის ჯვრებით - 10 მებრძოლი, ესენია: ხომაჟირ ათარბა (თარბა) (4, 3), შოთა ლარნეკია, ნახარბეი ლარნეკია, ალექსანდრე ინალ-იფა, ბაჟ ინაფშბა (4, 4) და სხვა. ასევე ჯილდოები ჰქონდათ მიღებული მებრძოლებს: ტაირ (პეტრე) კვასიას, კონსტანტინე მარლანიას, დავუდ ნაჩს, მიხეილ ჩიკირბას და ვიქტორ ჩუკბარს და ა. შ.

რუსულ არმიაში აჯილდოებდნენ გეორგიევსკის მედლებითაც, „აფხაზურ ასეულში“ ამ ორდენის კავალერი იყო 40 მებრძოლი.<sup>32</sup>

დღემდე მოაღწია ცნობებმა არა მხოლოდ „აფხაზთა ასეულის“ საგმირო საქმეებზე, არა-მედ ცნობებმა მისი ცალკეული წევრების გადაცდომებზეც, რის გამოც ისინი გაირიცხნენ ასეულიდან მაგ: აზარტული თამაშით გატაცების გამო პოლკიდან გაირიცხა იოსებ ჩაჩუა, ასევე ჩხუბის გამო პოლკიდან გარიცხეს კუტა კუტარბა და ა. შ.

იმ აფხაზი ოფიცრებიდან, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის პერიოდში იბრძოდნენ რუსეთის არმის სხვადასხვა ნაწილებში სულ დაიღუპა სამი. ესენი არიან: ალექსანდრე პავლეს

30 <https://sputnik-abkhazia.ru/news/20180801/1024606574/pervaya-mirovaya-vojna-i-abzazskaya-sotnya.html> ix. aseve Kor sun N. G. Кавказский фронт первой мировой войны. М. 2004.

31 გაბელია Е.К. Абхазские всадники. Сухуми, 1990. С.32.

32 Альбом «кавалеры ордена Св. Великомученика и победоносного Георгия и Георгиевского оружия. Белград, 1935. С.65.

ძე ანჩაბაძე, დაიღუპა ბრძოლის ველზე 1916 წ. ანდრეი გუჯმახანის ძე ლაკერბაია დაიღუპა ბრძოლის ველზე. პოდპოლკოვნიკი კონსტანტინე გრიგოლის ძე შერვაშიძე - დაიღუპა ბრძოლის ველზე 1914 წლის 15 ოქტომბერს.

ბრძოლის ველზე მებრძოლებს სამედიცინო დახმარებას უწევდა და ზრუნავდა დაჭრილების სიცოცხლის შენარჩუნებაზე აფხაზი მანდილოსანი, კავკასიის მთავარი კომიტეტის სანიტარული ტრანსპორტის უმცროსი ექიმი - თავადის ქალი ზორა შერვაშიძე, რომელიც არაერთი ორდენით იყო დაჯილდოვებული.

„აფხაზური ასეულის“ მებრძოლები დემობილიზირებული იქნენ 1917 წელს, მათგან უმეტესი ნაწილი დაუბრუნდა მშობლიურ მიწას, სადაც გახდნენ გლეხთა ერთობის „კიარაზის“ წევრები, რომელიც ორგანიზებული იყო ნესტორ ლაკობას ინიციატივით. სწორედ აქ მოხდა მათი საინტერესო ტრანსპორტმაცია, აფხაზთა სახალხო საბჭოს იმთავითვე იმედი ჰქონდა „კიარაზის“ - როგორც ძლიერი სამხედრო ძალის მქონე ორგანიზაციისა და რა თქმა უნდა, მათგან მხარდაჭერას მოელოდა. თუმცა „კიარაზი“ აღმოჩნდა აფხაზთა სახალხო საბჭოსთან დაპირისპირებულ მხარეს. როგორც უკვე ვთქვით, ბოლშევიკების რიგში, ნესტორ ლაკობას გვერდით დადგნენ ბევრი მათგანი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ პირველი მსოფლიო ომის საბრძოლო მოქმედებებში, ისინი „ასეულის“ მებრძოლებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ, ყოველივე ამან განაპირობა „კიარაზის“, როგორც, ძლიერი დამრტყმელი ძალის ჩამოყალიბება და სწორედ ეს ძალა აღმოჩნდა „ბოლშევიკების ხელში“. სავარაუდოა, რომ „ასეულის“ წევრთა პოლიტიკურ ტრანსფორმაციას ხელი შეუწყო მათ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობამაც ამ კონკრეტულ საკითხებზე დასკვნები დამატებით კვლევებს საჭიროებს, თუმცა ამ ეტაპზე შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ „აფხაზურ ასეულში“ აფხაზების გვერდიგვერდ იბრძოდნენ ქართველებიც, ასეულის მებრძოლთა პირველ მსოფლიო ომში, მონაწილეობა იყო მათი მხრიდან ნებაყოფლობითი, ძირითადად მოხალისეობაზე აგებული. რაც შეეხება იმ გმირულ თავდადებას, რომელიც მათ - მებრძოლებმა გამოიჩინეს იმპერიის სასარგებლო ომში, ჩვენი აზრით განპირობებული იყო სწორედ აფხაზების „დამნაშავე ერის“ სტატუსთან. რადგან აფხაზებს 1880 წლიდან მოყოლებული, ანუ „დამნაშავე ერის“ გამოცხადებიდან (იმპერატორის 1880 წ. 31 მაისის ბრძანებულება)<sup>33</sup> პირველად მიეცათ შესაძლებლობა, როგორც თანასწორებს ებრძოლათ იმპერიაში შემავალი სხვა ხალხის გვერდიგვერდ. აფხაზებმა ამ ბრძოლაში, ცარიზმის შეახსენეს თავიანთი საბრძოლო შესაძლებლობები და არამც და არამც მათ თავდადებულ ბრძოლას არ განვიხილავთ როგორც იმპერატორისადმი ერთგულებისა და ლოიალური განწყობის გამომხატავად. პირიქით, მიეცათ რა აფხაზებს ცარიმზე, მისი აფხაზებისადმი გატარებული პოლიტიკისათვის შურისძიების შესაძლებლობის შანსი, მათ გამოიყენეს ეს შესაძლებლობა და ისინი დადგნენ „კიარაზის“ სახით ბოლშევიკების გვერდში, ეს იყო ძირითადი მოტივი „აფხაზური ასეულის“ წევრების პოლიტიკური ტრანსფორმაციისა და ამაში, ჩვენი აზრით, ბოლშევიკური იდეოლოგიისადმი კეთილგანწობა თითქმის უმნიშვნელოა.

33 ი. გელენავა. აფხაზეთი 1880 წლიდან 1917 წლის თებერვლამდე, წიგნში: ნარკვევები საქართველოს ისტორია - აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე. თბ. 2007, გვ. 267.

## **“Abkhazian Hundred” in World War I and its political transformation SUMMERY**

From the beginning of the war on the 9th of August of 1914, an order was issued in Tbilisi about formation of 400 men regiment of Circassian horse riders in the frame of the Caucasian army. Each hundred of the regiment consisted of 128 militants. The first two hundred units of Circassian horse riders were presented by Adighe population of Ekaterinograd and Maykop, the third hundred of Karachaev and Labinsky (Krasnodar region), the fourth of Abkhazians and a few Georgians(Mengrelians). The formation of the fourth “Abkhazian Hundred” was ended in September of 1914.

During the war the loss of the “Abkhazian Hundred” amounted to 17 soldiers.

Militants of the “Abkhazian Hundred” were called “Crusaders” for awards which they gained for bravery and other merits.

Militants of the “Abkhazian Hundred” were demobilized in 1917.

Georgians also fought together with Abkhazians in “Abkhazian Hundred” but their participation was voluntary. Commitment which fighters showed in the war for the Empire was due to the status of Abkhazians as a ”guilty nation”. As from 1880 when Abkhazians were called “guilty nation “ (the Emperor’s decree of May 31, 1880) , they for the first time gained the opportunity to fight together with other nations who were the part of the Empire. Abkhazians showed Tsarism their ability to fight. Their commitment can’t be considered as a fidelity to the Empire. In contrary, when they saw the possibility to take revenge on Tsarism they stood beside the Bolsheviks and it was not due to the amity towards Bolshevism.

## ჩრდილო-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი, როგორც ერთიანი კოლხური კულტურის ნაწილი (სამაროვნების მასალების მიხედვით)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია არქეოლოგიურ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი თავისი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ძეგლებით. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტიურად დასავლეთ საქართველოს თითქმის არცერთი რეგიონი არ იყო ისეთი სისტემური კვლევის არეალი, როგორც აფხაზეთი. ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა ისაა, რომ ამ ტერიტორიაზე გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდისა და შინაარსის 1000—მდე არქეოლოგიური ობიექტი. ბუნებრივია, ყოველი მათგანი არც გამხდარა და ვერც გახდებოდა სისტემური, მეცნიერული კვლევის საგანი და მათი მხოლოდ ერთი ნაწილი არის სრულყოფილად შესწავლილი.

აფხაზეთის არქეოლოგიური შესწავლა ფაქტიურად იწყება XX ს. ოციანი წლებიდან. ამ დრომდე მოყვარული სიძველის მცოდნების მიერ ხდებოდა აფხაზეთის რეგიონში ძირითადად მიწისზედა კულტურის ძეგლთა ფიქსირება. გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ ამ რეგიონში არაა ისეთი არქეოლოგიური ძეგლები, რომელიც წინ უსწრებს ანტიკურ ხანას და უნდა განეკუთვნოს ბრინჯაოს ხანას. უფრო მეტიც, როდესაც შავიზღვისპირეთის და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა პირველ ყრილობაზე 1924 წ. ა. ლუკინმა წარმოადგინა გუდაუთის რაიონის ბრინჯაოს ხანის მასალა, ამ ფაქტისათვის საზოგადოებას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. მხოლოდ 1926 წ.ვ. სტრაჟევმა მოგვცა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ბრინჯაოს ხანის ძეგლთა მოკლე მიმოხილვა. მის მიერვე დაფიქსირდა პირველი ცნობა აფხაზეთში დოლმენების არსებობის შესახებ. [1927 წ. ა. ლუკინმა შეისწავლა ააგსთის ორმო — სამარხი, რითაც საბოლოოდ უარყოფილი იქნა მოსაზრება აფხაზეთში ადრეული ძეგლების არ არსებობის შესახებ. მაგრამ მაინც აფხაზეთის რამდენიმე სისტემატიკური არქეოლოგიური შესწავლა და პირველი მეცნიერული დასკვნის მიღება დაკავშირებულია მ. ივაშენკოს სახელთან]. მის მიერ მიკვლეული და შესწავლილი იქნა ეშერის დოლმენების ჯგუფი და 4 მათგანი გაითხარა კიდეც. ამასთანავე იქვე მახლობლად გაითხარა აფხაზეთის სფეციფიური ძეგლი, ადრეული რკინის ხანის რამდენიმე ოსუარიუმი, მეორადი დაკრძალვის რიტუალით.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრეული სამაროვნები უცნობია და ერთეული ძირითადად, III ათასწლეულის სამარხებით არის წარმოდგენილი. ამასთანავე კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი და შესწავლილია I ათასწლეულის პირველი ნახევრის 2 ათეულზე მეტი სამაროვანი. სამწუხაროდ მათი უმრავლესობა კოლექტიურია და მათში კომპლექსთა გამოყოფა შეუძლებელია. აღნიშნულის გამო მასალის განხილვა და შესაბამისად ქრონოლოგიის გარკვევის თვალსაზრისით, იძულებული ვართ ვისარგებლოთ ძირითადად ტიპოლოგიური სქემებით და არა სამარხეული კომპლექსებით. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, სწორედ აფხაზეთის ტერიტორია, სადაც ინდივიდუალური სამარხების არსებობა დოკუმენტურად დადასტურებულია. სამწუხაროდ ისინიც ძირითადად ძვ.წ.აღ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ფარგლებში ექცევა. მართალია, არის ცდა ამ პერიოდის სამარხების კომპლექსებში გამოიყოს რამდენიმე ადრეული სამარხი (მ.ბარამიძე, ნ.დოლიძე), თუმცა მკვლევართა უმრავლესობა არ იზიარებს. ამ მიმართებით უდაოდ საყურადღებოა მთიანი კავკასიონის ტერიტორია, რომლის სამხრეთ კალთაზე კოლხური კულტურის ორი უალრესად საყურადღებო სამაროვანია შესწავლილი (ბრილი, თლია). მაგრამ აქაც ერთი მომენტია აღსანიშნავი. აღნიშნული სამაროვნების ქვედა საზღვარი II ათასწლეულის ხანებით თარიღდება და მათი გაჩენა

სამხრეთული (კოლხური) მეტალურგი ტომების მიერ მთის რეგიონების ინტენსიური ათვისებით უნდა აიხსნას. ამაზე უადრესი სამარხები კავკასიონის მთიან ზოლში უცნობია. მეორე საკითხია რამდენად მისაღებია ამ კომპლექსების გამოყენება ქრონოლიგიური შკალების შედგენის დროს. სიძნელე უპირველეს ყოვლისა იმაშია, რომ მთა მაინც კონსერვატულია და ადრეულ ფორმებს ხშირად გვიანამდის ინახავს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე გვიანდრინჯაო — ადრერკინის ხანაში გვხვდება კოლექტიური და ინდივიდუალური სამარხები, რომლებიც წარმოდგენილია ორი სახეობით - ორმოსამარხებით და ქვევრსამარხებით (ოსუარიუმები).

ორმოსამარხებში სხვადასხვა ფორმა—მოყვანილობის სამარხი ორმოები განირჩევა, რომლებშიც დაკრძალვის სამი წესი ფიქსირდება: ინჟუმაციური, კრემაციული და მეორადი დაკრძალვა. ჩვენი დაკვირვებით სამარხი ორმოს ფორმა მეტწილად შეესაბამება დაკრძალვის გარკვეულ წესს - მოგრძო და ოვალურ ორმოსამარხებში დაკრძალვა უმეტესად ინჟუმაციურია; ოთხკუთხა ორმოსამარხებში არის ნაწილობრივი კრემაცია, ხოლო მრგვალ ორმოსამარხებში სრული — ან მეორადი დაკრძალვა ნაწილობრივი კრემაციით. ეს უკანასკნელი წესი (მეორადი დაკრძალვა) დამახასიათებელია სამარხთა მეორე სახეობის ქვევრსამარხებისათვის.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ერთიანი კოლხური კულტურის ერთ-ერთი რეგიონია, სადაც აღმოჩენილი სამაროვნები მდიდარია არა მარტო საბრძოლო-სამეურნეო იარაღებით, არამედ სამკაულებითაც. სწორედ, სამკაულების მრავალფეროვნებაზე და სიუხვეზე დაყრდნობით ახლებურად მოხდა ამ სამაროვნების გააზრება. ზოგიერთი მათგანის გადათარიღებაც. შემუშავდა სამკაულის ზოგიერთი ტიპის ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური შკალა, დადგინდა გავრცელების არეალი, გაირკვა ურთიერთობების საკითხები მეზობელ არქეოლოგიურ კულტურებთან და ამ გზით გაცნობიერდა კოლხური კულტურისა და მასში შემავალი ლოკალური ვარიანტების განვითარების ზოგადი სურათი [2. გვ115].

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამაროვნების მასალების განხილვამ მნიშვნელოვანი არქეოლოგიურ-ისტორიული ხასიათის ინფორმაცია მოგვაწოდა, რამაც სამუალება მოგვცა გაგვეკეთებინა ზოგიერთი დასკვნა:

1. მიუხედავად სამარხთა და დაკრძალვის წესის მრავალფეროვნებისა (მიცვალებულის დაკრძალვა გაშოლტილ ან კიდურებ მოხრილ მდგომარეობაში, მეორადი დაკრძალვა ზოგჯერ ცეცხლის გამოყენებით) სამარხეული მასალა თითქმის ერთნაირია არა მარტო თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიისთვის, არამედ მთელი კოლხეთისათვის (კოლხური ცულები, მოხრილი დანები, თოხები, სეგმენტისებური იარაღი, თიხისა და ბრინჯაოს ჭურჭელი). სამაროვნების სამკაულის აღნერილობამ ცხადყო, რომ ამ ნივთების ფორმა, გეომეტრიული და გრაფიკული დეკორი, ზუსტად იმეორებს კოლხური კულტურის სხვა ნივთების საბრძოლო და სამეურნეო იარაღების ორნამენტაციას. სამაჯურების, ფიბულების, საკისრე რკალების თუ აბზინდა-ბალთების, წინვოვანი, თევზიფხური, სპირალური. ცხოველების და ჩიტების გრაფიკული გამოსახულება გვხვდება კოლხურ ცულებზე, შუბისპირებზე და სატევრებზე. ორნამენტაცია მეორდება ისეთ ნივთებზე, რომელთა თავდაპირველი სამშობლო კოლხეთი შეიძლება არც იყოს (პინცეტები, ფიბულები). ყოველივე ეს უნდა მეტყველებდეს იმაზე, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია კოლხური კულტურის განუყოფელი, ორგანული ნაწილია და დასახლებული უნდა ყოფილიყო კოლხური ტომებით. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ სამთავროს გრავირებული სარტყელების და კოლხური აბზინდების მოტივაცია იდენტურია. ჩარჩოში ჩასმული სხვადასხვა გეომეტრიული და გრაფიკული დეკორი, ჩვენი აზრით, მიუთითებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საერთო ეთნოკურ წარმომავლობაზე.

სამარხეული კომპლექსების ახლებურად გააზრებამ საშუალება მოგვცა თვალი გვედევნებინა ზოგიერთი ნივთის გამოჩენისთვის არა მარტო თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, არამედ მთელ კავკასიაშიც. ამ თვალსაზრისით სამკაულები პირობითად დავყავით სამ ჯგუფად: I - სამკაულები, რომლებიც გავრცელებულია მთლიანად კავკასიაში; II - სამკაულები,

რომლებიც დამახასიათებელია კოლხეთისათვის; III - სამკაულები, რომლებიც წარმოადგენებ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის ლოკალურ ნივთებს.

ჩვენ განვიხილავთ III ჯგუფის სამკაულებიდან სამაჯურებს, რადგანაც ისინი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე სამაროვნებში აღმოჩენილი ლითონის სამკაულებიდან მრავალ-ფეროვნად და დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. ყოველივე ეს თავის მხრივ მიუთითებს კოლხეთის არა მარტო მეტალურგიის, არამედ ხელოვნების მაღალ დონეზე. ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები ტიპოლოგიურად შეიძლება 5 სახეობად დაიყოს: ფირფიტოვანი, მრავალგანივევეთიანი, წახნაგვანრკალიანი, ოვალური და გრეხილრკალიანი სამაჯურები ქვესახეობებით. ამათგან 1 სახეობის ბრტყელ-ფირფიტოვანი ბრინჯაოსაგან დამზადებული დიდი ზომის ცილინდრული და ჭვირულფირფიტოვანი სამაჯური თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიისთვის დამახასიათებელს წარმოადგენს. დიდი ზომის ცილინდრული ფორმის სამაჯურები აღმოჩნდა ყულანურხვას, ეშერასა და მუგუძირხვას სამაროვნებზე.

ყულანურხვას № 1 სამარხში აღმოჩნდა ფირფიტოვანი სარტყელი აბზინდით, ბრინჯაოს ცილინდრული და ფიგურული სამაჯურები, ლოყაშემკული კოლხური ცული, გრაფიკული დეკორით შემკული და სკულპტურული გამოსახულებიანი 2 კოლხური ცული, კოლხური აბზინდები, სარდიონის გაპრიალებული, პასტის, მინისა და ქარვის მძივები, ბრინჯაოს ძენ-კვი, ბრინჯაოს ფრინველის ფიგურა.

გაპრიალებული სარდიონის სფერული მძივები და მსგავსია ნოსირისა და ფარცხანა-ყანების განძებში აღმოჩენილი მძივებისა, რომლებიც თარიღდებიან ძვ.წ. VII-VI სს. [6, გვ. 57]. ამავე პერიოდში იწყებს გამოჩენას ქარვის მძივები, სკულპტურული კოლხური ცული მსგავსია ოქორას № 5 სამარხში აღმოჩენილი ცულისა (ძვ.წ. VII ს.) [9, გვ. 204]. ამასთან ერთად ორივე ცულის სტილისტური მსგავსება თავს იჩენს ააგსტის სამაროვნის კონუსურ აბზინდაზე მოთავსებულ ცხოველთა გამოსახულებებთან (ძვ.წ. VII ს-ის . ნახ. II). ყოველივე ამაზე დაყრდნობით ლ. ფანცხავამ ეს სამარხი ძვ.წ. VI ს. დასასრულით დაათარიღა [6, გვ. 65].

ყულანურხვას №2 სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს სარტყელი ცხოველ-სახოვანი აბზინდით, ბოლოშეკრული და ცილინდრული ფორმის სამაჯური, ბრინჯაოს სავარცხელი, ბრინჯაოს ბიკონუსური მძივი, ცხოველის - ძალის სკულპტურული გამოსახულება, ბრინჯაოს სამკუთხა ფორმის ფირფიტა შავი პატინით დაფარული და კიდეებზე წერტილოვანი ორნამენტით შემკული, ნაცრისფერი ლითონის ნატეხები (სავარაუდო კირკალის) და თხელი ბრინჯაოს ფურცლის ფრაგმენტები (ჭურჭლის). ყულანურხვას №2 და №1 სამარხების მასალები იდენტურია, რაც შეეხება ბრინჯაოს ჭურჭელს, იგი დროის დიდ მონაკვეთზე არსებობდა. ზედა ქრონოლოგიური ზღვარი კარგად თარიღდება ძვ.წ. აღ. VII-IV სს. (ბრილის, ქობულეთის, კარმინ-ბლურის, იგდირას სამარხები). ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი გ. გობეჯიშვილის აზრით, ძვ.წ. აღ. X ს. იქით არ უნდა მიდიოდეს, რასაც ბრილის სამარხეული კომპლექსები ადასტურებს. გ. გობეჯიშვილის მიერ შემოთავაზებულ თარიღს ლითონის ჭურჭლის ქრონოლოგიური საზღვრების შესახებ (ძვ.წ. X-VI სს.) იზიარებს ლ. სახაროვაც [5, გვ. 36]. ლ. ფანცხავა აღნიშნავს, რომ ბრილის სამაროვანზე ლითონის ჭურჭელი ძვ.წ. II ათასწლეულის შუასანებიდან უნდა ყოფილიყო გავრცელებული. რაც შეეხება სხვა განძებს თუ სამაროვნებს, რომლებიც შეიცავენ ბრინჯაოს ჭურჭლებს, ლ. ფანცხავამ შემდეგნაირად დაათარიღა: ოყურების განძი, ბ. კუფტინის მიერ ვანის ეპოქის სინქრონულადაა მიჩნეული [12, გვ. 26], ხოლო დ. ქორიძის მიერ დათარიღებულია ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი პერიოდით (ძვ.წ. X-IX სს.) [7, გვ. 116]. ამ თარიღს იზიარებს ლ. სახაროვაც, ეს განძი ლ. ფანცხავამ სპირალურთავიანი სამაჯურისა და ლოყაშემკული ცულების მიხედვით დაათარიღა ძვ.წ. ნაღ VIII-VII სს [6, გვ. 58]. ჩაბარუხის განძი აღ. კალანდაძემ დაათარიღა ძვ.წ. აღ. IX-VIII სს. [3, გვ. 100]. ლ. ფანცხავამ კი ეს განძი ძვ.წ. აღ. VIII-VII სს. განსაზღვრა. ძვ.წ. ნაღ.. VIII-VII სს. დათარიღებულია ჩრდილოეთ კავკასიის ბრინჯაოს ჭურჭლის შემცველი ზოგიერთი ძეგლი (კელერმესის № 2 ყორლანი, ყაბოტინის ნასახლარი, უემტალინის განძი). ა. უვაროვას აზრით, ბრინჯაოს ჭურჭელი მოპოვებულია ყობანის სამაროვნის ზედა ფენებში, სავარაუდოდ რკინის გაჩენის ან ბრინჯაოს ხანის პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს [13, გვ. 60]. რაც შეეხება

ქვედა ფენას, მისი აზრით იგი ძვ.წ. VIII ს-ზე მოდის. ყოველივე ამაზე დაყრდნობით და იმის გათვალისწინებით, რომ ცილინდრული სამაჯური თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩნდება ძვ.წ. IX-VIII სს-დან №2 სამარხი ძვ.წ. VIII-VII სს-ით შეიძლება დათარიღდეს. ამავე პერიოდისაა ყულანურხვას №6 სამარხიც, სადაც აღმოჩნდა ფირფიტოვანი სადა სარტყლისა და ცილინდრული ფორმის სამაჯურის ნატეხები. ყულანურხვას №1 სამარხზე დაყრდნობით შეიძლება ამავე პერიოდით დავათარიღოთ №7 სამარხიც, რომელშიც აღმოჩნდა ბრინჯაოს ცილინდრული სამაჯური, ბრინჯაოს სპირალი, მინისა და სარდიონის მძივები.

ყულანურხვას № 11 სამარხში გამოვლინდა ცილინდრული სამაჯური, რკინის მოხრილი დანა, ბრინჯაოს მძივი, ბრინჯაოს ძენკვი, ბრინჯაოს ბეჭედი და პინცეტი მორკალური პირით. რკინის მოხრილი დანა აღმოსავლეთ საქართველოში (სამთავრო, ბეჭთაშენი, კასპი და სხვ.) გამოჩენას იწყებს ძვ.წ. VII ს-დან, თუმცა მისი გამოჩენა კოლხეთში რამდენადმე გვიან ხდება. აღნიშნული გარემოება შესაძლებლობას იძლევა კომპლექსი დავათარიღოთ ძვ.წ. VIII-VII სს-ებით.

1989 წ. გათხრილ ყულანურხვას № 1 ქვევრ-სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი ცილინდრული სამაჯური, ორი ბრინჯაოს ფირფიტოვანი სარტყელი, ცხოველსახოვანი საკინძი, ბიკონუსური მძივი, ბრინჯაოს ჯვრისებრი საკეტი, კონუსურ-ზარაკისებრი აბზინდა, ბრინჯაოს ორი ცილინდრული ხვია, რკინის პინცეტი, ანტენისებრ-სახელურიანი სატევარი. ი. ვორონოვმა სატევარზე დაყრდნობით, რომელიც თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე და ჩრდილოეთ კავკასიაში ძვ.წ. აღ VIII ს. ჩნდება, სამარხიც ამავე პერიოდით დაათარიღა [10, გვ. 20]. ქვევრსამარხში აღმოჩენილი ცილინდრული სამაჯურები და კონუსური აბზინდა ყულანურხვას № 1 და № 2 სამარხთა (ძვ.წ. VIII-VII სს.) ნივთების ანალოგიურია. რკინის პინცეტის არსებობა საშუალებას გვაძლევს ყოველივე ზემოთქმულზე დაყრდნობით ქვევრსამარხი დავათარიღოთ ძვ.წ. აღ VIII-VII სს.

მუგუძირხვას სამაროვანზე აღმოჩნდა ორი ცილინდრული სამაჯური, ორი ფირფიტოვანი სარტყელი ცხოველსახოვანი აბზინდით, ანტენისებრ-სახელურიანი სატევარი, ორი ბრინჯაოს რგოლი, კონუსური აბზინდა, თავხვია საკინძი, სპირალური ხვია, ჯვრისებრი საკეტი, ორი მრგვალგანიველეთიანი სამაჯური. ანტენისებრ-სახელურიანი სატევარი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე და ჩრდილო კავკასიაში ვრცელდება ძვ.წ. აღ VIII-VII სს. (ყულანურხვას ქვევრსამარხი ძვ.წ. აღ VIII-VII სს., აგუძურას სამარხი ძვ.წ. აღ VIII ს., ეშერის სამარხი ძვ.წ. აღ VIII ს., ყობანის სამაროვანი ძვ.წ. აღ VIII ს.). რაც შეეხება თავხვია საკინძებს, კონუსური აბზინდას და სპირალურ ხვიებს, ისინი უფრო არქაული იერის მატარებლები არიან. ანალოგიური აბზინდები გაგრის ქვევრსამარხში (ძვ.წ. აღ. X-IX სს.) აღმოჩნდა, ხოლო თავხვია საკინძი ზვანდრიფშის ქვევრსამარხში (ძვ.წ. აღ. X-IX სს.), ამიტომ მთლიანად სამაროვანი შეიძლება ძვ.წ. აღ. IX-VIII სს. დათარიღდეს [2, გვ. 14].

ქვემო ეშერის სამარხში აღმოჩნდა ცილინდრული სამაჯური, ფირფიტოვანი სარტყელი ცხოველსახოვანი აბზინდით, კონუსური აბზინდები წყვილი ცხოველის გამოსახულებით, ბრინჯაოს კოლხური ცული, სატევარი, შუბისპირის ნატეხები ფართო პირით, ბიკონუსური მძივები, ბრინჯაოს მასიური რგოლები, ბრინჯაოს ფირფიტები (სავარაუდოა მუზარადის ან საისრის ნაწილი), ბრინჯაოს გულსაკიდის ფრაგმენტი. მსგავსი გულსაკიდი აღმოჩნდა ჩრდილო კავკასიის ძვ.წ. აღ. VIII-VI სს. დასაწყისის კომპლექსებში (ბეჭთაუ, სულთანგორას სამაროვანი). ანალოგიური აბზინდა ჩანს ააქსტას სამაროვანში (ძვ.წ. VII-V სს. II ნახევარი), ყაზბეგის განძში (ძვ.წ. VII-V სს-ები). ცილინდრული სამაჯურები ყულანურხვას № 1 სამარხში (ძვ.წ. VII ს. დასასრული) და ქვევრსამარხშიც არის ნაპოვნი (ძვ.წ. VIII-VII სს). ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ქვემო ეშერის სამარხი შიძლება ძვ.წ. აღ. VIII-VII სს. დათარიღდეს.

ცილინდრული ფორმის დიდი ზომის სამაჯურები ჯერჯერობით მხოლოდ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე გვხდება და ამ რეგიონის ლოკალური კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენტია. ამ სამაჯურების ერთგვარ წინამორბედ ნივთად გვევლინება პატარა ზომის ცილინდრული ფორმის ამგვარი ნივთები, რომლებიც აღმოჩენილია როგორც ძვ.წ. აღ. X-IV სს. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე (გაგრა, ზვანდრიფში), ასევე ლეჩ-

ხუმში და ძველ ანაგაში. სავარაუდოა, რომ ისინი ამავე პერიოდში უნდა გამოჩენილიყვნენ ყობანში.

ცილინდრული სამაჯურის ერთგვარი განვითარება შეიძლება დავინახოთ სპირალურთავიან სამაჯურში, რომელიც აგრერიგად ახასიათებს კოლხურ-ყობანურ კულტურას. ამ სამაჯურმა განვითარების თავისი გზა ჰქოვა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ჭვირული სამაჯურის სახით, ხოლო ყობანურში ბოლოებ წაგრძელებული სამაჯურის მიხედვით.

ჭვირლფირფიტოვანი ფორმის სამაჯურები აღმოჩნდა ბომბორას ველზე (1 ცალი), აბგარხუკის ველზე (1 ცალი), ნითელი შუქურას № 2, 4, 5 სამარხებში (3 ცალი), კისტრიკის სამაროვანზე (1 ცალი), იაშთხვას № 1 (1 ცალი), სოხუმის მთის კრემაციულ სამარხში.

ბომბორას ველის განძში აღმოჩნდა ჭვირული ბრინჯაოს სამაჯური, ზარაკები, ლენტისებრი სამაჯური ზემოდან ირიბი შტრიხებით შემკული, ცხოველების სკულპტურული გამოსახულებით. ბ. კუფტინი აღნიშნავდა [12, გვ. 80] ბომბორის ველის სიახლოვეს ყაზბეგის განძთან. სკულპტურული გამოსახულებები კოლხეთში გამოჩენას იწყებს ძვ.წ. VIII ს-დან. ბომბორას ველის განძის ზარაკები კონუსური ფორმისაა, ამიტომ იგი განსხვავდება ყაზბეგის განძის ცილინდრული გვერდჩაჭრილი ზარაკებისაგან. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ზარაკების ორივე ფორმა (ცილინდრული და კონუსური) თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. VII-VI სას. ჩნდება. ლ. ნითლანაძემ ყაზბეგის განძის დიდი ზომის ზარაკები დაათარილა ძვ.წ. VII-VI სას. [8, გვ. 60]. ამავე საშუალო ზომის ძვ.წ. VII-III სს. ზარაკებზე და სკულპტურულ გამოსახულებებზე დაყრდნობით ბომბორას ველის განძი შეიძლება განისაზღვროს ძვ.წ. აღ. VII-VI სს.

ჭვირული სამაჯური, ექვსი-შვიდი სპირალისაგან შედგენილი კომპოზიციური ფორმის აღმოჩნდა ნითელი შუქურას № 4 სამარხში. აქვე იყო გველისთავიანი მრგვალგანივეთიანი სამაჯური, ბრინჯაოს რომბულრკალიანი ფიბულა, რკინის ორი მოხრილი დანა, რკინის ყუაკეტილი ცული, ორი რკინის შუბისპირი, სარდიონისა და ქარვის მძივები. გველისთავებიანი სამაჯურები ძვ.წ. VI სს. უადრეს კომპლექსებში არ არის აღმოჩენილი. ასევე მოგვიანებით ჩანს რკინის ყუაკერიანი ცულები, რომელთა გავრცელების ძირითადი დრო ძვ.წ. VII-VI სს. ბოლოდ არის მიჩნეული. ამავე პერიოდიდან ჩნდება ქარვის მძივებიც პალურის საძვალეზე (ძვ.წ. VII-VI სს), ნიგზიანის (ძვ.წ. აღ. VII-VI სს), ბრილის (ძვ.წ. აღ. VII-VI), დვინის, კასპის (ძვ.წ. აღ. II ათასწლეულის II ნახევარი - ძვ.წ. აღ. I ათასწლეულის I ნახევარი) სამაროვნებზე [1, გვ. 23]. კომპლექსის რამდენადმე მოგვიანო თარიღს ამაგრებს რკინის იარაღის სიმრავლე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სამარხი შეიძლება დაათარიღდეს ძვ.წ. აღ. VI-V სს.

როგორც ჩანს, ამავე პერიოდისა უნდა იყოს ნითელი შუქურას № 5 სამარხში სასაფეხულე რგოლთან ერთად აღმოჩენილი ანალოგიური სამაჯურიც, ხოლო მეორე იდენტური სამაჯური გამოვლინდა აბგარხუკის ველზე თანმხლები ინვენტარის გარეშე.

კისტრიკის სამაროვანზე აღმოჩნდა ჭვირული სამაჯური, ბრინჯაოს წურბლისებური ფიბულა, ბრინჯაოს საკიდი, ოქროს ბეჭედი, რომლის ბოლოები გაფორმებულია გველის თავებით, ოქროს სამყურა საკიდი, რკინის დანა, რკინის ცულის ნატეხები, საკისრე რგოლი, სარდიონისა და მინის მძივები. გველისთავიანი ფორმა სამკაულზე კოლხეთში ჩნდება ძვ.წ. აღ. VI-V სს. ოქროს ნივთების არსებობა მხარს უჭერს ამ თარიღს, რადგან წინარეკანტიკურ მასალებში ისინი საერთოდ არ ჩანან. ამიტომ ეს ბეჭედიც ამ პერიოდისა შეიძლება იყოს [10, გვ. 33]. რკინის ცული თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოჩენას იწყებს ძვ.წ. აღ. VII ს-დან, ამიტომ სამაროვანი შეიძლება დაათარიღდეს ძვ.წ. აღ. VII-V სს-ებით.

სოხუმის მთის № 1 კრემაციულ სამარხში აღმოჩნდა ჭვირული თავებგაფართოებული სამაჯური, ორივე ნაპირის გასწვრივ წვრილი ბურთებით შემკული (სამაჯური ოვალური მოვანილობის და მეტად თავისებური აღნაგობისაა, ცალი თავი ჩამოტეხილი აქვს). ამავე სამარხში იპოვეს მეორე ასეთი სამაჯურის ნატეხები და ბრინჯაოს ოთხნახნაგა ღერო თავნამახვილებული, ვერცხლის ერთნაწევრიანი რომბულთავიანი ფიბულა. რომბისებრ რკალს დიაგონალზე წინვოვანი შემკულობა გასდევს.

№ 2 კრემაციულ სამარხში აღმოჩნდა ანალოგიური მსხვილპურთულაკებიანი სამაჯურის ნატეხები, ვერცხლის პატარა ერთნაწევრიანი რომბულრკალიანი ფიბულა, მეორე ასეთივე ფიბულა, მოთეთრო, კაჟის ანატკეცი. ორივე კრემაციული სამარხი ერთგვაროვან ნივთებს შეიცავს. ბრინჯაოს, ვერცხლის ფიბულებისა და სამაჯურის დამუშავების ხერხები და სტილისტური თავისებურება, ახლოს დგას კოლხურ-ყობანურ და განსაკუთრებით სამთავროს ძვ.წ.აღ. VII-VI სს. ბრინჯაოს სამკაულების, ფირფიტოვანი საგნების, სარტყელების დამუშავებისა და შემკულობის სტილთან. ამიტომ ორივე ეს სამარხი ამავე ძვ.წ.აღ VII-VI სს. დათარილდა [3, 56].

იაშთხვას № 2 სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს თხელფირფიტოვანი სამაჯური, რომელსაც შუაზე დაბალი ქედი გასდევს, ხოლო კიდეებზე ბურთულების რიგებია (ერთ გვერდზე 9 ბურთულაა, ხოლო მეორეზე 11-ია შემორჩენილი). ასევე ბრინჯაოს (სავარაუდოდ ფირფიტოვანის) სამაჯურების ფრაგმენტები, საპარადო მხარეს გაურკვეველი ხასიათის რელიფიური გამოსახულებებით, ბრინჯაოს აბზინდა ბაყაყის გამოსახულებით, ბრინჯაოს ზარაკი, ბრინჯაოს საკინძი ირმის რქის სკულპტურული გამოსახულებებით, ბრინჯაოს ძენკვი, ბრინჯაოს რომბული ფორმის აბზინდა, ბრტყელი ფირფიტა უკანა მხარეს ყურით, ზემოდან ორ-ორი სპირალით შემკული, რომლებიც ვოლუტისებურადაა დახვეული. გ. კვირკველიამ სამარხი სავსებით სამართლაინად ძვ.წ.აღ. VI-V სს. დაათარილა [4, გვ. 77].

ამგვარად, წარმოდგენილი პარალელური მასალების გათვალისწინებით ჭვირული სამაჯური თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ვრცელდება ძვ.წ.აღ. VII-VI სს. და ამ რეგიონის ერთ-ერთ დამახასიათებელ ლოკალურ თავისებურებას წარმოადგენს.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის ლოკალური კულტურის დამახასიათებელი ორი ნივთი ბრტყელფირფიტოვანი და ჭვირული სამაჯური გვხვდება ტერიტორიაზე: გაგრიდან -სოხუმამდე, რომელიც თავის მხრივ ერთიანი კოლხური კულტურის შემადგენელი ნაწილია.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარამიძე მ. მერხეულის სამაროვანი, თბ., 1977
2. დოლიძე ნ. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის მხატვრული ნაწარმი (ლითონის სამკაული), საკანდიდატო დისერტაცია, ელნაწერი.
3. კალანდაძე ალ. სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1953.
4. კვირკველია გ. იაშთხვას ადრეანტიკური ხანის სამარხები, კრ. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, თბ., 1978, გვ. 74-80.
5. სახაროვა ლ. ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან თბ., 1976.
6. ფანცხავა ლ. კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბ., 1988.
7. ქორიძე დ. კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.
8. ნითლანაძე ლ. ხევის არქეოლოგიური ძეგლები; თბ., 1976
9. ჯაფარიძე ო. არქეოლოგიური გათხრები სოფ. ოქორაში, თსუ შრომები, ტ. 65, თბ., 1957.
10. Воронов Ю. Н. О хронологических связях киммерийско-скифской и колхидской культур, Сб. Скифия и Кавказ Киев, 1980 ст. 200-218.
11. Квирквелия Г. Т. Материальная культура Северо-Западной Колхиды в VIII–V вв. до н. э. Автотефера дис. ист. наук. Тб., 1981.
12. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, I. Тб., 1949.
13. Уварова п.с. могильники северного кавказа МАК, вып. VIII М., 1900

## COLHIAN CULTURE IN THE TERRITORY OF MODERN ABKHAZIA

### Summary


The burial sites found in the territory of modern Abkhazia – one of the most important regions of the entire Colchian culture – are rich not only tools, but with adornments as well. That has given us the opportunity to redate some burial complexes and to give them typological and chronological scale, to establish the area of spread of each type of adornment, to examine the peculiarities of local region.

In spite of the variety of burial sites and burial traditions the burial implement are almost the same not only for the territory of modern Abkhazia, but for the entire Colchis (Colchian axes, bent knives, hoes, segment-like tools, ceramic and bronze items).

The description of the burial adornment made clear that geometric and graphic ornaments of those items repeat exactly the ornaments of other items of Colchian culture. That means that Colchian culture on the territory of modern Abkhazia is inseparable part and it was settled by Colchian tribes.

New comprehension of the burial complex enabled us to identify the items among adornments that were spread in entire Caucasus, Colchis and the territory of modern Abkhazia. To the last belong the big size cylindrical and lamellar bracelets. The region of their spread is from Gagra to Sukhumi.







8.1




8.2




8.3



8.4



8.5



8.6



8.7

### **ტაბულებისაღწერილობა**

ტაბ. I ზვანდრიფშის ქვევრსამარხი. მუგუძირხვას სამაროვანი. ბეჭყარდაშის სამაროვანი.ბარმიშის სამარხი. პრიმორსკოეს დანგრეული სამარხი.

ტაბ.II ყულანურხვას სამარხები/

ტაბ. III წითელი შუქურას 62,64,58 სამარხები

ტაბ.IV ყულანურხვას ქვევრსამარხები

ტაბ.V ბომბორას ველის სამარხები. სოხუმის მთის კრემაციული სამარხი

ტაბ.VI ზემო ეშერის სამაროვანი. წითელი შუქურას 30 ,30ა სამარხები.

ტაბ.VII ააგსტის სამარხი. ბომბორას ველის სამარხები.

Description of plantes

PL.I The ossuary of Zvandripshi, the Mugudzirxva,cemetery,the Bashkardashi cemetery,the burials of Barmishi. The destroyed burial of Primorskoe

Pl.III The burials of Kulanurxva,

Pl. III The graves #62 64 58 Tsitelin Shukura.

Pl.IV The ossuary if Kulanurxva.

Pl.V The burials of bombores Valley, the cremated burial of the Sokhymi Mountain.

Pl.VI Zemo Eshera cemetery.Tsiteli Shukura # 30 33

## კულტურული მემკვიდრეობა და ტურისტული ინდუსტრია

თუკი ავიღებთ ეროვნებას თავისი კულტურით, თავისი ისტორიული წარსულითა და არ-სებული კულტურის განვითარების პერსპექტივებით, წარმოსახვაში გაჩნდება დროის ხაზი, რომელსაც შესაბამისი თანმიმდევრობით ებმება კონკრეტული ერის ისტორიული განვითა-რების მნიშვნელოვანი ეტაპები, მათ შორის განსაკუთრებულ ადგილს კულტურული კუთხით შექმნილი საგანძურო დაიკავებს და განთავსდება შესაბამისი ეპოქის გასწვრივ. ხოლო კვლავ წარმოსახვაში, თუ ამ ხაზს ერის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან მონაპოვარს ჩამოვაშორებთ დაგვირჩება დასახლებული ტერიტორია და არა ერი. კულტურა ეროვნულობის ერთ - ერთი უმთავრესი განმსაზღვრელია და ამიტომაც დღეს სწორედ კულტურა შემოიჭრა ქვეყნებს შორის ურთიერთობების ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ.

UNESCO-ს 2004 წლის გენერალურ კონფერენციაზე, მიღებულ იქნა “კონვენცია კულ-ტურულ თვითმყოფადობის მრავალფეროვანი ფორმების დაცვისა და წახალისების” შესახებ. ეს კონვენცია იძლევა საფუძველს, რომ არსებული რეალობის პირობებში არ განადგურდეს სხვადასხვა კულტურის უნიკალური ფორმები. მსოფლიოს ყველა ხალხს უნდა მიეცეს არსე-ბობის შესაძლებლობა და შანსი იმისა, რომ გამოავლინონ თავისი შემოქმედებითი შესაძლებ-ლობები, შედეგად საუკუნეებს გადასცენ თავიანთი ისტორიის კვალი. კულტურული მემკვიდ-რეობა ესაა ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ამ მიზნის მიღწევას, აერთიანებს რა წარსულს, აწმყოსა და მომავალს. კულტურა, კულტურული მემკვიდრეობა ეს არის ხალხთა შორის ურთიერთობის გასაღები და გამუდმებული დიალოგის შესაძლებლობა სხვადასხვა ცივილიზაციებსა და კულტურებს შორის.<sup>34</sup>

კულტურულ მემკვდრეობაში მოიაზრება არა მხოლოდ ძეგლები, არამედ - ფესტივალები, მუზეუმები, ხელოვნების შემოქმედებითი დარგები, კულტურული მოვლენები, კუსტარული მრეწველობის ნაკეთობები, კულინარია და სხვა. კულტურული მემკვიდრეობის და ზოგადად კულტურის შესახებ ხალხთა შორის დიალოგის უნიკალური ფორმაა ტურიზმი, ხოლო მისი გააქტიურება ითხოვს ისეთ აუცილებელ ქმედებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ კულტურუ-ლი მრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენახვა-განვითარებას, ნაციო-ნალური და ადგილობრივი თვითშეგნების ამაღლებას. კულტურათა შორის დიალოგი მათი განსხვავებულობის პირობებში, „ადამიანებისთვის, ერთად ცხოვრების ხელოვნების სწავლე-ბაა“ და შეგნებაა, რომ კულტურათა შორის განსხვავება სიმდიდრეა, რომელიც შეიძლება გაუნაწილო სხვა ხალხებს.<sup>35</sup> როგორც აღვნიშნეთ, ტურიზმი - ეს არის სხვადასხვა ხალხებს შორის დიალოგის პირობების შექმნის საშუალება.

კულტურა ყოველთვის იყო მოგზაურობის მთავარი მიზანი, XX საუკუნიდან თვითონ ტურიზმი გახდა კულტურის ნაწილი, რომლის მიზანია ტურისტული ცენტრების, კულტურუ-ლი მემკვიდრეობის ძეგლების მონახულება შემეცნებითი მიზნით.<sup>36</sup> ტურისტული ინტერე-სის ობიექტებს კი წარმოადგენენ მუზეუმები, ბუნებრივი ძეგლები, ლამაზი ლანდშაფტები, ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობები და სხვა.

ტურიზმი წარმოადგენს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტის და ორი საკონსულტაციო ორგანოს “IUCN” და “ICOMOS”-ის მზრუნველობის საგანს. ეს ორგა-ნიზაციები აძლევენ რეკომენდაციებს სახელმწიფოებს მსოფლიო კულტურული მემკვიდ-

34 ნიკო კვარაცხელია., კულტურული ტურიზმი, თბ. 2009. გვ. 32. (სადოქტორო დისერტაცია).

35 ნიკო კვარაცხელია., კულტურული ტურიზმი, თბ. 2009. გვ. 36. (სადოქტორო დისერტაცია).

36 ეკა დევიძე., კულტურული მემკვიდრეობა და იმერეთის ტურიზმის განვითარების პრობლემები, თბ 2012. გვ. 17. (სადოქტორო დისერტაცია).

რეობის ობიექტებზე ტურიზმის მიერ მიყენებული უარყოფითი ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით. მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტებისთვის ტურიზმის მნიშვნელობა თანდათან იზრდება, რომელიც თავისითვად მოიცავს როგორც შესაძლებლობებს, ასევე საფრთხეებს.

საქართველოში, 2001 წლიდან მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტებზე ტურიზმის განვითარების პროგრამა საფუძვლად დაედო ტურიზმის განვითარების სხვადასხვა პროექტებს. ბოლო წლების განმავლობაში ჩატარებული სამუშაოებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი ტურიზმის განვითარებისა და მსოფლიოს მემკვიდრეობის ობიექტების შენაცვის საქმეში. საქართველოს სახელმწიფო აღიარებს ტურიზმისა და კურორტების დარგს, როგორც ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას და ქმნის ტურისტული და საკურორტო საქმიანობისათვის ხელსაყრელ პირობებს.<sup>37</sup>

კულტურული მემკვიდრეობა ეს იქნება მატერიალური თუ არამატერიალური, ხალხის, მთელი საზოგადოების საკუთრებაა და მათი ზრუნვის საგანია, ამიტომ, მისი დაცვა-პოპულარიზაცია არ არის ერთი რომელიმე დარგის, უწყების ან საზოგადოების ნაწილის ვალდებულება, არამედ თითოეული მოქალაქის პასუხიმგებლობის საგანს უნდა წარმოადგენდეს. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-პოპულარიზაციის საქმეში ზოგიერთი სახელმწიფო სტრუქტურის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებულია. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში, ძალის მნიშვნელოვანია უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს როლი, რაც ამ მიმართულებით საკანონმდებლო ბაზის განმტკიცებასა და მიღებული კანონებისა თუ მის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო დოკუმენტებში ასახული მოთხოვნების პრაქტიკაში დანერგვის პროცესის ეფექტიან მონიტორინგში მდგომარეობს.<sup>38</sup> საქართველოს სახელმწიფო ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას ტურიზმისა და კურორტების დარგში.<sup>39</sup>

განვითარებულ ქვეყნებში კულტურული მემკვიდრეობა როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ერთის მხრივ საფრთხის ქვეშაა, მეორეს მხრივ, ისე როგორც არასდროს ის ინვესტიციების მუნიციპალურ, ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე. მსოფლიოს ხალხების კულტურული მრავალფეროვნება კაცობრიობისათვის არის უდიდესი მნიშვნელობის საპასუხისმგებლო საკითხი. გავლენიანი პოლიტიკური ინსტიტუტები და ტურიზმის განვითარებით დაინტერესებული კომპანიები, სულ უფრო მეტად რწმუნდებიან, თუ რა უაღრესად დადებითი როლი შეიძლება ითამაშოს ტურიზმა ადამიანთა შორის ურთიერთგაგებაში. ტურიზმის როლი ხომ მდგომარეობს იმაში, რომ წარმოაჩინოს ყველა ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნება და ამ მრავალფეროვნების მნიშვნელობა. ყოველივე ზემოთ თქმული განსაზღვრავს კულტურული ტურიზმის დიდ მნიშვნელობას, წარმართავს რა საზოგადოების ინტერესებს, კულტურული მრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად. გამოკვლევები ასევე გვიჩვენებენ, რომ ევროპაში ტურისტთა უმრავლესობა კულტურულ ძეგლებს ნახულობს შემდეგი მიზნით: 1. შეიცნოს ახალი. 2. მეტი გაიგოს ადგილობრივ კულტურაზე. 3. შეიგრძნოს რეგიონის ატმოსფერო. 4. გართობის მიზნით.<sup>40</sup>

ჩვენი აზრით, ტურიზმის პოტენციალი სრულად შეიძლება გამოვლინდეს, თუ შესრულებული იქნება შემდეგი პირობები: კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სრულფასოვანი დაცვა, კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით მრავალმხრივი კამპანიის წარმოება, სახელმწიფო და კერძო სექტორის მჭიდრო პარტნიორული თანამშრომლობა - განსაკუთრებით კულტურისა და ტურიზმის წარმომადგენლებს შორის. მარკეტინგის მოწერიება, იმფორმაციისა და კომუნიკაციების უზრუნველყოფა, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა ტურისტულ პროექტებში და შედეგად მიღებული შემოსავლების გაყიფა. ექსკურსიების ხარისხიანი ჩატარება, ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვა შეზღუდული ტერი-

37 საქართველოს კანონი ტურუზმისა და კურორტების შესახებ, თავი II, მუხლი 4, პუნქტი 2.

38 მაია ლვინჯილია,, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის ასპექტები ტურიზმში (ქართული ხალხური ტრადიციების მაგალითზე), თბ. 2012. გვ. 129 (სადოქტორო დისერტაცია).

39 საქართველოს კანონი ტურუზმისა და კურორტების შესახებ, თავი VI, მუხლი 15, პუნქტი 1.

40 ნიკო კვარაცხელია,, კულტურული ტურიზმი, თბ. 2009. გვ. 37. (სადოქტორო დისერტაცია).

ტორიების ან ბუფერული ზონების არსებობისას, პროფესიული მომსახურეობა, თანამედროვე სასტუმროების განთავსება და განვითარებული ინფრასტრუქტურა, ხარისხიანი და მაღალმხატვრული სუვენირები.

რეალობიდან გამომდინარე, საქართველოში ტურიზმზე მოთხოვნა-მიწოდების რიცხოვნობა განუხრელად იზრდება. ამიტომ ტურიზმი უნდა განვითარდეს, როგორც წარმოების, მოხმარების, ასევე სოციალურ სფეროში. ტურისტს აინტერესებს არა მარტო ღირშესანიშნაობები არამედ ყოველდღიურობა, ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა. ტურისტი ხვდება ადგილობრივ მაცხოვრებლებს, სურს შეიცნოს მათი ცხოვრების წესი, ადგილები სადაც ახალგაზრდობა ისვენებს, ერთობა და ა.შ. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ დღევანდელი ტურისტები კარგად ინფორმირებულები არიან.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული მასალის ანალიზის საფუძველზე ვასკვნით, რომ აუცილებელია განისაზღვროს ტურიზმის განვითარების დაგეგმვის პროცესი, კონკრეტულ ობიექტებზე ტურიზმის განვითარების კონცეფცია და მისი მართვის შესაძლებლობები. ტურისტული მოღვაწეობიდან მოგების მიღების მიზნით ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ტურიზმთან დაკავშირებული დარგების შესწავლა. თუ ტურიზმი ქმნის მოთხოვნების ფართო სპექტრს, რითაც განაპირობებს მოსახლეობის განვითარების შესაძლებლობას, ადგილობრივები მზად უნდა იყვნენ ამ სასარგებლო გამოწვევებისათვის, მაგალითად, გიდების მომზადება და მცირე საწარმოების შექმნა და ა. შ. ასევე მომსახურების სფეროს განვითარება. ტურისტული ზონის ირგვლივ მოსახლეობის დახმარება, მათი პროდუქციის გასაღება, რადგან ტურიზმი ადგილობრივ მოსახლეობას სთავაზობს შემოსავლების ალტერნატიულ წყაროს. ვფიქრობთ, რომ ტურიზმი იმავდროულად ქმნის კონკრეტული ობიექტის მართვისა და შენარჩუნებისათვის ხელსაყრელ პირობებს. დადასტურებულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტურიზმს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს მშვიდობის შენარჩუნებისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების განხორციელების საქმეში.

**Elik Akubardia**

Professor of Georgian Technical University

## Cultural heritage and tourism industry

### Summary

Cultural heritage is an instrument connecting our past, present and future. Culture, Cultural heritage is a bridge and an opportunity of dialogue between civilizations and cultures.

Culture, heritage and the arts have long contributed to appeal of tourist destination. So tourism is an important and unique form of communicating between people. In order to encourage and stimulate tourism, there are several actions to be taken, such as maintenance and improvement of heritage sites, increasing national and local identity etc.

As some researches carried out recently in Georgia, solid progress has been made in terms of boosting tourism and maintaining world heritage sites. Georgian government recognizes tourism industry as a strategic sector and one of the important factors in economic growth and increasing global awareness of Georgian national culture. Several projects have been subsidized in order to boost tourism in the country, because it is an opportunity for local people to seek additional income. In our opinion, besides the economic benefits, tourism is an important tool in peace building and reconciliation efforts, which is still a challenge for Georgia and for the region as well.

## ეკონომიკისა და განათლების საკითხები რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში

საბჭოთა შერიცოდში, აფხაზეთში ჩამოყალიბდა აგრარულ-სამრეწველო, რესპუბლიკის შესაბამისი, შრომის ტერიტორიული დანაწილების სისტემა. იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირი დაიშალა და აფხაზეთის ტერიტორიის რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ დაიწყო ე. წ. „აფხაზეთის სახელმწიფოს“ ფორმირების პროცესი, ნარმოიქმნა მწვავე აუცილებლობა, რათა შექმნილიყო, საკუთარი ეკონომიკური განვითარების მოდელი. პოსტ-საბჭოთა პერიოდში შეზღუდული შიდა ბაზრის არსებობის პირობებში, ეფექტური შეიძლებოდა გამდარიყო მხოლოდ ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა, რომელიც გაიწერა დე-ფაქტო აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების (2006) კონცეფციაში. რომელშიც თავის მხრივ აისახა ეკონომიკის განვითარების განსაზღვრული პრიორიტეტული დარგები: სოფლის მეურნეობა, კურორტები, ტურიზმი, ენერგეტიკა და განიხილებიან, ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, როგორც საიმედო და სტაბილური შემოსავლის მიღების წყაროები, ამასთან რეკრეაციულ სფეროს უნდა შეეტანა თავისი მნიშვნელოვანი წვლილი ეკონომიკის სექტორების განვითარებაში. თუმცა ვერცერთმა ამ დარგმა ვერ მისცა აფხაზეთის ეკონომიკას მოსალოდნელი გამაჯანსალებელი ეფექტი.

- [5]. Ignatius D. An upbeat ending to Obama's Gulf summit [Electronic resource]// The Washington Post. 2015. 14 May. URL: <http://www.washingtonpost.com/blogs/post-partisan/wp/2015/05/14/an-upbeat-ending-to-obamas-gulf-summit/>. 453 In a Treasonous Act, Iranian Regime Sells Out Parts of the Country to China! [Electronic resource]// CNN iReport, 2011. 19 December. URL: <http://ireport.cnn.com/docs/DOC-719390>.
- [6]. Zarif M. Our neighbors are our priority [Electronic resource]// al-Sharq al-Awsat. 2013. 21 November. URL: <http://english.aawsat.com/2013/11/article55323055>.
- [7]. Saudi Arabia forms Muslim 'anti-terrorism' coalition [Electronic resource]// AlJazeera.com. 2015. 15 December. URL: <http://www.aljazeera.com/news/2015/12/saudi-arabia-forms-muslim-anti-terrorism-coalition-151215035914865.html>.
- [8]. Diplomat dismisses claim of Iran interference in Yemen [Electronic resource]// PressTV Iran. 2015. 17 April. URL: <http://www.presstv.ir/Detail/2015/04/17/406657/Iran-denies-claims-of-meddling-in-Yemen>.
- [9]. Yemen joins The Axis of Resistance [Electronic resource]// IRNA.ir. 2015. 26 March. URL: <http://www.irna.ir/en/News/81551459>
- [10]. Groll E. Video Shows the Beginning of Saudi-Led Coalition's Ground War in Yemen [Electronic resource]// The Foreign Policy. 2015. 4 August. URL: <https://foreignpolicy.com/2015/08/04/video-shows-the-beginning-of-saudi-ledcoalitions-ground-war-in-yemen/>.

მარინა იზორია  
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი  
დავით აღმაშენებლის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
**გეოპოლიტიკური სიტუაცია ახლო აღმოსავლეთის ირგვლივ  
რეზიუმე**

XX- XXI საუკუნის მიჯნა ხასიათდება მსოფლიო წესრიგის შეცვლის მცდელობად, რომელიც დაწესდა || მსოფლიო ომის შემდეგ. მსოფლიო და საზღვარგარეთის ავტორები გადმოვცემდნენ სხვადასხვა ჰიპოტეზებს როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები მომავალში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს ტერიტორია მოექცა მსოფლიო რელიგიური ლიდერების გავლენის არეალად, რომლებიც ცდილობდნენ შეევსოთ ის ეკონომიკური და პოლიტიკური ვაკუუმი, რომელიც შეიქმნა პოსტსაბჭოთა კავშირის ქვეყნებში და თავისი გეოპოლიტიკური ზეგავლენა მოეხდინათ მათზე. აქტიური მონაწილე ყოველივე ამ პაექრობისა იყო აშშ, ჩინეთი, თურქეთი, ირანი და საუდის არაბეთი.

**Marina Izoria**

Doctor of Social Sciences, Associate Professor  
of Tbilisi University David Agmashenebeli (Georgia)

## **Geopolitical Collisions Around Middle East**

### **Summary**

The last decade of the 20th century - the beginning of the 21st century is customarily characterized as an era of a change in the world order, when the bipolar system that developed after the Second World War broke. Domestic and foreign authors have put forward various hypotheses for understanding the events that were happening at that moment, which are located throughout the spectrum of the science of international relations, from realism and idealism to postmodernism and structuralism.

After the collapse of the Soviet Union, the territories of the countries of the post-Soviet space turned into zones of rivalry between world and regional powers, seeking to fill the emerging economic and political vacuum with zones of their geopolitical influence. Active participants in this rivalry include the United States, China, Turkey, Saudi Arabia, and Iran.

The geopolitical position of Turkey, located at the junction of the European and Asian continents and their respective cultural and civilizational platforms, provides this country with favorable opportunities for developing relations with different states and peoples. Throughout its history, the Turkish ruling elite changed its foreign policy preferences, giving priority to either the eastern or the western directions, which did not mean, however, the rejection of the idea of a "middle state" and a "bridge between Europe and Asia" inherent in the Turkish establishment. The beginning of the XXI century became a period of growing diplomatic activity of Turkey in the Middle East, caused by reasons of domestic and international character.

However, the question remains how the development of relations between the United States and Iran will affect the situation in Syria and Yemen, as well as what conclusions will be drawn from it in Riyadh, Abu Dhabi, Doha and other Arab capitals. Washington regularly reaffirms its commitment to protect the latter from armed threats<sup>452</sup>, however, there are reports in the media that China offered his defense to Iran in exchange for access to the latter's energy resources<sup>453</sup>. In these circumstances, members of the GCCP can conclude that it is necessary to carry out a similar "diversification" and expand contacts with Beijing. On the other hand, Iran is making attempts to establish relations with the Arab monarchies, including offering them to overcome the "zero-sum game" mentality and abandon the region imposed from outside the device, based on hostility and the formation of competing blocs, and create a new exclusive regional structure from 8 littoral states of the Persian Gulf. At the same time, a maximum restriction on the participation of external players in regional affairs is supposed, since for the latter it is only "an important theater for expanding its control in the international political arena and in the international economic confrontation". The geopolitical struggle in the Middle East region today is far from over, therefore the region expects new challenges

## უნივერსალური გზავნილები პეტრინონისა და გელათის მემკვიდრეობიდან

პეტრინონისა (1083) და გელათის (1106-1110 წ.წ.) მონასტრები და მათი საგანმანათლებლო საქმიანობის საკითხის კვლევა ქართული ისტორიოგრაფიის გამორჩეული ინტერესის საგანია. პეტრინონის მონასტრის ისტორიის მეცნიერულ შესწავლას XIX საუკუნის მიწურულს ჩაეყარა საფუძველი. ამ მოვლენის სათავეებთან აღმოჩნდნენ ჯერ უცხოელი (გ. მუსეოსი, ლ. პეტტი, დ. ლასკოვი) მოგვიანებით კი, ქართველი მეცნიერები (წმიდა გრიგოლ ფერაძე, ნ. მარი, შ. ნუცუბიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და სხვ.).

პეტრინონის მონასტრის ისტორიის კვალდაკვალ გამოიკვეთა თვალსაზრისი, რომ ბიზანტიის იმპერიის დიდი მხედართმთავრის გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ 1083 წელს ბულგარეთში აგებულ ქართველთა ამ სავანეში მოღვაწეობდა დიდი ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსი და თეოლოგი იოანე პეტრინი. გასული საუკუნის მეორე ნახევრისათვის ფილოსოფოსი ქართველმა სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს მის სამეცნიერო მემკვიდრეობას. ძველი საბერძნეთის ისტორიის ცნობილი მკვლევარი რუსი აკადემიკოსი ა. ლოსევი კი მიიჩნევდა, რომ იოანე პეტრინის დონის მოაზროვნე არ ჰყოლია თვით, იმხანად სახელგანთქმულ საფრანგეთის შარტრის აკადემიასაც (Лосев 1986: 105).

პეტრინონის ქართველთა მონასტრის ირგვლივ, ჩვენი ცოდნა შემოიფარგლება მხოლოდ მონასტრის ტიპიკონით, ძალიან მნირია ცნობები იოანე პეტრინის ბიოგრაფიის შესახებაც. რაც შეეხება მონასტერთან არსებულ საგანმანათლებლო ცენტრს, ერთ-ერთი შეფასებით, ის იყო ევროპაში პირველი „სემინარიის ტიპის“ (ლუი პეტტი) სასწავლებელი. ჩვენ მიერ განხორციელებულმა კვლევამ კი უჩვენა, რომ რეალურად, მესაძლოა, „უნივერული ყრმებისათვის“ დაარსებული სასწავლებელი, იოანე პეტრინის ღვაწლით, იქცა მძლავრ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ტრადიციების სკოლად, რომელმაც, თავის მხრივ, ორიოდე ათწლეულის შემდეგ იმემკვიდრევა გელათის აკადემია. რა გვაძლევს ამგვარი შეფასების საფუძველს? ამისათვის უკვე მოგვიპოვება ორი ახალი არგუმენტი, რომელთა განხილვამდე მოკლედ შევეხოთ გელათის აკადემიასთან დაკავშირებულ სიახლეს.

ქართველ მეცნიერთა კვლევების, წყაროთა შეჯერების, პარალელებისა და ანალოგიების საფუძველზე ჩამოყალიბდა მტკიცე თეორიულად არგუმენტირებული და პრაქტიკულად დასაბუთებული ისტორიული შეფასება, რომ XII ს. დასაწყისში გელათში შეიქმნა „იმდროინდელი უნივერსიტეტების ბადალი“ მძლავრი კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო—სამეცნიერო სკოლა (მეტრეველი 2011: 160). თუმცა, თვალთახედვას „მიეფარა“ ისეთი უმნიშვნელოვანესი დეტალი, რომელიც ზედმინევნით გვიმხელს ჩვენი დიდი წინაპრების საგანმანათლებლო იდეის რეალურ ბუნებას. ეს არის გელათის სასწავლებლის შესასვლელში გამოსახული სიმბოლო (დანართი N1-2), რომელიც უკანასკნელ დრომდე „აკადემიის კარიბჭის მორთულობის დეტალად“ მოიხსენიებოდა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში პროფ. რევაზ სირაძემ გელათის კარიბჭის ფასადზე მანამდე ჩუქურთმად მიჩნეულ გამოსახულებაში ამოიცნო წიგნისა და მზის სიმბოლოები. მანვე, ამ მოვლენის პირველადი ახსნით, წიგნი დაუკავშირა ქრისტოლოგიაში ცნობილ ღვთისმშობლის ერთ-ერთ სახეს, ხოლო მზე მიიჩნია განკაცებული სიტყვის - ლოგოსის ანუ იესო ქრისტეს ასევე საყოველთაოდ გავრცელებულ სიმბოლოდ (სირაძე 2003: 642).

ქართული საგანმანათლებლო საქმის ისტორიის მემკვიდრეობითმა ბუნებამ, მის შემოქმედთა მხრივ წარსულის მუდმივმა თანაგანცდამ, თაობათა შორის უწყვეტი სულიერი ნათესაობის წიშნით გააზრებამ მიგვიყვანა იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ გელათის ემბლემის წარმომავლობას შესაძლებელია ჰერონდა გარკვეული წინაპირობები. მართლაც, საკითხის გალრმავებული შესწავლით აღმოჩნდა, რომ მსგავსი ემბლემა პეტრინონის (ბაჩკოვო) აკადემიასაც (ფარჩუკიძე 2018: 232). ეს სიმბოლო, გელათურის მსგავსად, შედგება გადაშლილი წიგნისა და მზის პიქტოგრამებისაგან (დანართი N3. ვფიქრობთ, გელათის ემბლემა

პეტრიწონის სემინარიის მოდიფიცირებული ვარიანტია, რომელიც შემადგენელ ნიშანთა ფორმის შენარჩუნებით, უცვლელს ტოვებს სიმბოლოს იდეას - დედააზრს განათლების ჭეშმარიტი არსის შესახებ.

მაშასადამე, XI საუკუნიდან ქართულ სამონასტრო სივრცეში ჩნდება არქიტექტურული ფორმით გამოხატული ქრისტოლოგიური შინაარსის საგანმანათლებლო პერალდიკური სიმბოლიკა. ეს სიახლე საფუძველს გვაძლევს ახალი რაკურსით ვიმსჯელოთ შუა საუკუნეების ევროპის ამ უძველესი ქართული საგანმანათლებლო ცენტრების შესახებ. ხსენებული მონასტრების საქმიანობის სპეციფიკაში წვდომისა და ისტორიული ჭეშმარიტების დადგენის გზაზე ჩვენს მოსაზრებებს ამყარებს კვლევისას წარმოჩენილი სხვა დეტალებიც, რომელთაგან, ამჯერად, შევეხებით მხოლოდ მონასტრერთა სიმბოლოებს.

სიმბოლოთა ენა უძველეს ხალხთა კულტურიდან მომდინარეობს. X საუკუნიდან, ისე, როგორც საზღვარგარეთ, ჩვენშიც ჩნდება ინდივიდუალური საქალაქო, კორპორაციული და საეკლესიო პერალდიკური ნიშნები. ჩვენი მოკვლევით, ევროპული საუნივერსიტეტო ცხოვრების გარიურაჟზე, მსგავსი ნიშანი, მით უფრო, სასწავლებლის შენობაზე გამოსახული, არსად გვხვდება. ყველაზე უადრესი არქიტექტურული სიმბოლო წიგნის გამოსახულებით, ალინიშნება XIV საუკუნიდან იტალიის საგანმანათლებლო სივრცეში (მილანსა და ბოლონიაში).

როგორც აღვნიშნეთ, განსახილველი ემბლემების ძირითადი თემაა გეომეტრიზებული ფორმების გადაშლილი წიგნისა და მზის პიქტოგრამები (გელათის შემთხვევში გვაქვს ვარდულისგულიანი ბორჯლალი, როგორც მზის მოდიფიცირებული ვარიანტი). ქართულ სატაძრო ნაგებობებზე წიგნისა და მზის გამოსახულებები უცხო არ არის, მაგრამ პეტრიწონისა და გელათის ემბლემების სახით, საქმე გვაქვს არქიტექტურულ-ტექნოლოგიური და ფუნქციური თვალსაზრისით, სრულიად განსხვავებულ მოვლენასთან, ეს არის ახალი სიტყვა თანადროულ რეალობაში. ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი ემბლემები სამი საუკუნით უსწრებს ევროპულ მონათესავე სიმბოლოებს.

მიგვაჩნია, რომ საღვთისმეტყველო ახსნის გარდა, ემბლემებს გააჩნია მეორე, მსოფლიხედველობრივ-ფილოსოფიური კონცეფციაც. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, გელათის აკადემია დაარსდა მაღალი მისით: „მეორედ იერუსალემად“ და „სხუად ათინად.“ აღნიშნული კონცეპტი მონასტრის სააზროვნო ინტერესებისა და ფუნქციის გამომხატველ პარადიგმად იქცა. სემანტიკურად, ეს არის ფორმულა ცოდნისა და რწმენის ერთიანობის შესახებ, რაც გულისხმობდა იერუსალიმიდან მომდინარე საღვთისმეტყველო ბიბლიური სიბრძნისა და ანტიკური ეპოქის ათენის განსწავლულობის ჰარმონიზაციას.

სწორედ, ამ ორბუნებოვან ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივ კონცეფციაზე მეტყველებენ ემბლემის ნიშნები: წიგნი - ცოდნა - ათინა, მზე - რწმენა - იერუსალიმი. განათლების არსის ამგვარი ახლებური გააზრებითა და სიმბოლური გაცხადებით მინიშნებულია საერო და საღვთო, - ცოდნით სარწმუნო და რწმენით საცოდნელ სიბრძნეთა განუყოფლობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ აკადემიებში უძველესი საკაცობრიო სიბრძნისა და საღვთისმეტყველო ცოდნის ჰარმონიზაცია მოხდა მაშინ, როდესაც შუა საუკუნეების დასავლეთის ქრისტიანობას ჯერ კიდევ კანონგარეშედ ჰქონდა გამოცხადებული ანტიკური სიბრძნე. აი, ასეთი პროგრესული, იმხანად ორიგინალური, შემდგომში რენესანსული, დღემდე აქტუალური იდეა და მისი განსხეულება შესთავაზია საქართველომ შუა საუკუნეების ევროპას.

ხსენებული ემბლემები ავტორთა შორსმეტვრეტებური, სახელმწიფოებრივი და საგანმანათლებლო პოლიტიკის ნიშანია. ქტიტორებმა ზედმინევნით შეძლეს წარმოეჩინათ ცოდნის საყოველთაო, საერთაშორისო, ზოგადსაკაცობრიო, ზერელიგიური და ზედროული მნიშვნელობა. ერთი შეხედვით, ქრისტიანულ სიმბოლიკას მოკლებულ სიმბოლოებში ცხადად იყითხება იმუამინდელი საქართველოს ინტერკულტურული ნიშნით აღბეჭდილი რელიგიურ—მსოფლმხედველობრივი პრიორიტეტები: ქვეყნის სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის რანგში გააზრებული საგანმანათლებლო პოლიტიკა, რჯულშემწყნარებლობა, უმაღლეს სასწავლებელთა საერთობის, საყოველთაობის და საერთაშორისობის ნიშნები. სიმბოლოთა

ავტორები მიგვანიშნებენ, რომ ნებისმიერი ეროვნების რელიგიური ადამიანისათვის ახლო-ბელია საყოველთაოდ აღიარებული კოსმოსური კატეგორიები და მათთან დაკავშირებული კულტები (მზე, მთვარე, მსოფლიო ხე და ა.შ.). ამ ცოდნის გათვალისწინებითაა შერჩეული სასწავლების ემბლემაც, რომელიც დამშვენებულია ყველა სარწმუნოების ადამიანისათვის გასაგები და მისაღები, მარადიული ფენომენების სიმბოლოებით.

როგორც ვხედავთ, თანადროული ეპოქის უპრეცედენტო ამ მოვლენით, შუა საუკუნეების ქრისტიანული სასწავლებლების შენობათა არქიტექტურაში ჩნდება პირველი დარგობრივი, საგანმანათლებლო ჰერალდიკური სიმბოლო. პეტრიწონის ემბლემის კომპოზიცამ დასაპამი დაუდო სწავლების პროცესთან ასოცირებული წიგნისა და მზის გამოსახულებათა დამკვიდრებას. ამის შემდეგ, ეს ნიშნები ყველაზე გავრცელებულ სახეობებად იქცა განათლებისა და მეცნიერების სფეროთა ჰერალდიკურ გამოსახულებებში.

სსენებული სიმბოლოები დამატებითი არგუმენტია იმის დასტურად, რომ ანტიკური აკადემიების ხანიდან ევროპული საუნივერსიტეტო ცხოვრების გარიურაუზე, პეტრიწონისა და გელათის აკადემიები წარმოადგენენ თვისებრივად ახალ, გარდამავალი ეტაპის უმაღლეს სკოლებს. მათ გააჩნდათ თანადროული ევროპული საუნივერსიტეტო განათლებისათვის დამახასიათებელი რეალური ნიშნები, ხოლო ემბლემების სახით, - წინმსწრები, იურიდიული გაფორმებისათვის სავალდებულო და იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი ელემენტები.

ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ საეტაპო მნიშვნელობის მოვლენათა ავტორი? არის თუ არა თანადროული ევროპისათვის ინვაციური ეს სიმბოლიკა ასევე პირველი ქართული საგანმანათლებლო სივრცისათვისაც თუ არსებობს კიდევ უფრო უძველესი ნიშანი?

ორი ქართული მონასტრის სიმბოლოთა კომპოზიციურ—არსობრივი ერთიანობა და ქვითმეტყველებითი ნათესაობა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ორივე შემთხვევაში ავტორი შესაძლებელია იყოს ერთი და იგივე პიროვნება - იოანე პეტრიწი. ამგვარი დაშვება განპირობებულია ნათლის ესთეტიკის პეტრიწისეული ფენომენით, რომელიც არაერთი ასპექტით ვლინდება მის შემოქმედებაში. თვალსაჩინო ნეოპლატონიკოსისა და ლვთისმეტყველის იოანე პეტრიწის პროგრესულ აზრებში, გამოხატულია თეოლოგიისა და ფილოსოფიის ერთიანობის დღემდე აქტუალური იდეა, რის განსხეულებასაც უნდა წარმოადგენდეს განხილული სიმბოლოები.

პეტრიწონისა და გელათის სიმბოლოებით შესაძლებელი ხდება ახლებურად გავიაზროთ ხსენებულ აკადემიებში მიმდინარე პროცესები. რეალურად, ეს არის ფილოსოფიურ-საგანმანათლებლო კულტურის ის დონე, რომელიც ახასიათებდა რამდენიმე საუკუნის შემდეგ ევროპაში დაწყებულ რენესანსს (Лосев 1989:). ამ ყოველივეს სულისჩამდგმელი იყო „ლვთაებრივი იოანედ“ (თეოფილაქტე ბულგარელი) წოდებული იოანე პეტრიწი, რომლის ზეწოდებისა და ბიოგრაფიული ცნობების საკითხს, ემბლემათა ფონზე, სულ სხვაგვარი შუქი მოეფინა (ფარჩუკიძე 2019: 141-154).

ჩვენს ამ ვარაუდს განამტკიცებს გელათის მეტყვიდრეობითობის შესახებ დასაწყიში ხსენებული მეორე არგუმენტი. ეს გახლავთ ახლახანს აღმოჩენილი წმიდა ექვთიმე თაყაიშვილისეული პარიზული წერილი, რომელშიც იგი გელათის მონასტრის აკადემიას „პეტრიწის მოდელით“ შექმნილად მოიხსენიებს (ლაბაძე 2014: 512).

რაც შეეხება ორივე ემბლემის შესაძლო წარმომავლობის საკითხს, მოვიყვანთ კვლევის შედეგად მიგნებულ კიდევ ერთი სიმბოლოს მაგალითს. ეს არის დროისა და სივრცის ცნებებითი აზროვნების მხატვრული მოდელების საინტერესო ნიმუში - ათონელ ბერთა დუმილის მოძვრების ემბლემა, რომლის სქემა ეპისკოპოსმა პორფირი უნსპენსკიმ ჩამოიტანა ივერთა მონასტრიდან („История Афона“ Лосев. ч. III. Отд. II. СПБ 1892 г). მასში მზის, წრის (დისკო) და სხივთა სიმბოლოები განხილულია, როგორც სიყვარული, სინათლე, იმედი და რწმენა. ვგარაუდობთ, რომ ათონის ბერთა მისტიკური აზროვნების სიმბოლურ გამოხატულებასა და ჩვენს ემბლემებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი, რაც ჩვენი მომავალი კვლევის საგანს წარმოადგენს.

რომ არ ყოფილიყო არცერთი სხვა სახის დოკუმენტი და მინიშნებაც კი, პეტრიწონისა და გელათის უმაღლესი სკოლების შესახებ, ვფიქრობთ, მათი არსებობის მტკიცებულებად სრულიად იქმარებდა ისეთი უტყუარი ნიშნები, როგორებიცაა განხილული ემბლემები. პეტრიწონისა და გელათის აკადემიებში მოღვაწე იოანე პეტრიწის იმსანად უპრეცედენტო, პროგრესული იდეები და მის მიერ ჩამოყალიბებული შეხედულებები სამი საუკუნის მერე საფუძვლად დაედო ევროპულ რენესანსს, ქართულ მონასტერთა ემბლემების მზისა და წიგნის ნიშნები კი დღემდე აქტუალურია მსოფლიო საუნივერსიტეტო სიმბოლიკაში.

ამრიგად, პეტრიწონისა და გელათის სიმბოლოები წარმოადგენს საეტაპო მნიშვნელობის, უნიკალურ მოვლენას მეცნიერული აზროვნების განვითარების გზაზე, რომელიც საჭიროებს შემდგომ კვლევას, ელის სათანადო შეფასებასა და ადგილის მიკუთვნებას მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ისტორიაში.

#### დამოწმებული ლიტერატურა:

ლაპაძე 2014: ლაპაძე რ. „ექვთიმე თაყაიშვილის პუბლიკაციები უცხოურ სამეცნიერო გამოცემებში 1927-1938.“ წიგნში „დიდი ექვთიმე“ 2014.

მეტრეველი 2011: მეტრეველი რ., დიდი საქმენი, თბილისი, 2011.

სირაძე 2003: სირაძე რ. წიგნში „ნათელი ქრისტესი საქართველო“ 2003.

ფარჩუკიძე 2018: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, 2018, N1


ფარჩუკიძე 2019: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, 2019, N1

ლოსევ 1986: ლოსევ, „Литературная Грузия,“ 1986.

დანართი N1-2



დანართი



## **Universal messages from the heritage of Petritsoni and Gelati**

### **Summary**

Petritsoni (1083) and Gelati (1106-1110) Monasteries and their academies are an important event in the history of medieval European education. Our research shows that these academies had similar emblems made up of open book and sun icons. In Christology, it embodies one of the faces of the virgin Mary, and the sun is a common symbol of the word-logos, the symbol of Jesus Christ.

In the form of emblems, the authors have expressed the universal and international importance of knowledge. They show ideological priorities of Georgia of that time: educational policy as ideology of the state, religious tolerance, secularism of higher education institutions, signs of universality and internationality. Authors point out that belief and education are eternal, understandable, and acceptable phenomena for religious people of any nationality.

These symbols can be used as arguments to prove that since the time of the antique academies to the dawn of European university life, the academies of Petritsoni and Gelati have been qualitatively new, transitional high schools. They had real features characteristic of modern European university education, and in the form of emblems - educational heraldic symbols - elements necessary for identification.

With the new understanding of the essence of education, symbols express the inseparability of knowledge and belief.

Кушниренко Владимир Александрович  
кандидат политических наук, директор Центра междисциплинарных исследований мировой  
политики Национального университета «Киево-Могилянская Академия»

**Специфика этнорелигиозного и культурного фактора в формировании  
современной политической реальности в республиках западного региона  
Северного Кавказа**

Западный Кавказ населяют представители двух крупных коренных этнолингвистических общинностей, традиционно исповедующих Ислам: адыгов (кабардинцы, черкесы, адыгейцы), карачаево-балкарцев. Кроме того, следует упомянуть ряд этнических групп играющих немаловажную роль в этнополитических процессах в этом регионе: абазин и ногайцев. Социальная структура, роль в исторических процессах, степень и характер исламизации вышеназванных групп иногда отличаются. Однако важной общей характерной чертой для этнических групп в исследуемом регионе является факт доминирования этнической идентичности по отношению к религиозной идентичности.

Существует достаточно большое количество исследований посвященных теме этнополитических процессов на Северном Кавказе. Отметим работы таких ученых как Р.А. Ханаху, Д.А. Нечитайло, Х.М Думанова, В.О. Бобровникова, А.А. Ярлыкапова, А.Ю. Чирга, И.Л. Бабич, Д.В. Макарова, З.Х. Мисрокова. Однако, несмотря на относительную многочисленность работ, следует отметить небольшое количество исследований направленных на развитие новой методологии в изучении социополитической реальности северокавказского региона, дающей возможность дистанцироваться научным исследованиям от влияния политической конъюнктуры и тенденциозности.

Исторически сложилось так, что распространение Ислама на Северном Кавказе, особенно в западной его части, во-первых, не было завершённым процессом. Во-вторых, сам Ислам для коренных этнических групп был скорее мобилизирующей идеологией, принятой в период противостояния с Российской империей, и поэтому не смог серьёзно трансформировать традиционные структуры организации местных обществ. В-третьих, мощный и эффективный традиционный социокультурный пласт в виде морально-этических кодексов, таких, например, как адыгские «адыгъэ», «адыгэ хабзэ» (подобные феномены с меньшей выраженностью существовали и у других этнолингвистических групп) снимал потребность внедрения в кавказские общества большого числа исламских этико-моральных норм. Следует также указать на факт определённой комплементарности северокавказских азов и норм шариата.

Немаловажен тот факт, что Ислам в западно-кавказских обществах слабо проявлял себя в исторических внутрисистемных конфликтах, выражавшихся в попытках структурных изменений социальной системы, как, например во время противостояния представителей «демократической» и «аристократической» частей адыгских обществ, или в противостоянии карачаево-балкарских народных масс и кабардинской аристократической верхушки, которые наблюдались в XVIII-XIX веках [13, с.48]. В эти исторические моменты срабатывали иные, традиционные механизмы решения конфликтных ситуаций, что объясняется важным местом этих механизмов в традиционной структуре общества и их функциональной эффективностью. Фактически можно констатировать тот факт, что принятие Ислама коренными народами исследуемого региона было не следствием социокультурного кризиса традиционного общества, а, скорее всего, носило социополитический характер, мобилизующее коренные народы в определённый период их истории.

Однако, несмотря на общие характерные черты процесса распространения Ислама, существуют и некоторые различия между этногруппами. Анализ фактического материала полевых и социологических исследований приводит к выводу, что главное различие проявляется в разных

формах взаимоотношений исламской и традиционной составляющих идентичности. Если в случае с идентичностью адыгской этнолингвистической группы можно наблюдать достаточно выраженный дуализм исламской и традиционной составляющих, который иногда приводит к серьезным конфликтам, то у карачаево-балкарской этнолингвистической группы этот дуализм не так четко выражен, что кроме внутренних факторов (например менее актуализированного традиционного морально-этического комплекса в сравнении с адыгской группой и социальными особенностями карачаево-балкарской культурной традиции), объясняется также влиянием более исламизированных родственных тюркских народов Средней и Малой Азии [5].

Немаловажную роль в контексте проблемы соотношения идентичностей сыграл фактор Кавказских войн и последующей «махаджиры» (насильственного выселения северокавказских народов с исторической родины) в XIX веке. В результате этих исторических событий, оставшиеся на Кавказе представители коренных этнических групп (прежде всего это касается адыгской группы) были вынуждены обращаться к своей этнической самобытности для фактического сохранения себя как народов. Как следствие, на долгое время исламская идентичность как бы оставалась на периферии и играла, скорее всего, роль вспомогательной, дополняющей по отношению к этнической идентичности. И это, следует отметить, характерно для всех этнолингвистических групп исследуемого региона Северного Кавказа, несмотря на различия их исторических судеб.

Как свидетельствует мировая история, именно государственная воля часто стимулировала процессы исламизации общества, поэтому государственные образования, основанные на принципах Ислама, могли серьёзным образом социально укоренить Ислам. Однако, хотя попытки создания исламских государств совершились на Северном Кавказе (шейх Мансур, имам Шамиль) в XVIII-XIX веках, на Западном Кавказе исламская государственная традиция не прижилась, даже не смотря на титаническую работу в этом направлении соратника имама Шамиля, Мухаммеда Амина [13, с.100]. Причиной этого, для представителей западно-кавказских обществ, было не только наличие государственной традиции в доисламский период, которая даже в исламский период не потеряла своих основополагающих характеристик, резко контрастирующих с исламской политической доктриной. Сложная сословная структура адыгов очень тяжело соотносилась с демократическими эгалитарными принципами исламской религии. Кроме того, даже демократические тенденции в адыгских обществах, хотя и стимулировались исламских фактором, имели традиционную адыгскую социокультурную природу, ярким примером этого служит социально-политическая организация абадзеев, шапсугов и натухайцев [13, с.63].

Что касается карачаевцев и балкарцев, то в данном случае трудно говорить про их политические процессы отдельно от адыгов, так как карачаевцы и балкарцы находились долгое время в вассальной зависимости от кабардинских правителей, поэтому ситуация в карачаево-балкарском обществе в рассматриваемом вопросе не слишком отличается от адыгской, хотя имеет свою специфику. Главным образом специфика заключается в том, что недовольство властью иноэтнических правителей, хоть и единоверцев, способствовало процессам этнической консолидации [3, с.247].

Обращаясь к имперскому периоду на Северном Кавказе, следует отметить, что политика российских властей в дореволюционный период на Западном Кавказе шла в русле большего обострения и без того сложной ситуации взаимоотношений двух идентичностей: стимулировалось создание наряду с шариатскими традиционных правовых институтций (горских судов), иногда делались попытки христианизировать коренные кавказские народы. Часто это делалось с помощью акцентирования на факте христианского периода их истории, представляя христианство как традиционный культурный феномен на Западном Кавказе. Хотя существенной деисламизации не произошло (иногда это даже приводило к противоположным результатам), определённые конкретные проблемы такой вектор политики породил.

Не менее показательным примером актуализации этнического характера социополитических процессов в регионе было создание национальных республик в советский период, где этническая

идентичность оказалась основой социополитической идентичности на фоне дерелигиозации северокавказского общества.

Республика Адыгея показывает собой тип политической организации социума, где титульная этническая группа (адыгейцы) составляет около одно пятой населения республики при большинстве славянского населения. Причём для адыгейцев созданы достаточно неплохие условия их современного культурно-политического развития, но не всех сфер. Так, например, несмотря на то, что у власти находится президент адыгеец, экономическая власть находится в руках представителей славянской и частично армянской групп. По сути, основываясь на полевых и социологических исследованиях в данном регионе, можно констатировать тот факт, что исламская проблематика не достаточно актуальна для политического дискурса в Адыгее. На первый план здесь выходят проблемы экономического и частично этнического характера. Исламский фактор проявляется в этой республике или в контексте общероссийских процессов, или как элемент внутриадыгейских процессов [8]. К тому же можно добавить и тот факт, что формирование Республики Адыгея на территории, входившей в Краснодарский край, не могло не повлечь за собой объективную связанность республики с политическими процессами в этом относительно славянском субъекте Российской Федерации, которые отличаются своим содержанием от процессов в северокавказских республиках.

Карачаево-Черкесская республика показывает нам другой пример социально-политической ситуации. У Карачаево-Черкесской спецификой есть факт наличия двух неоднородных конкурирующих групп этнического характера (карачаевцев, ногайцев с одной стороны и черкесов и абазин с другой), при наличии славянского населения, которое также является негомогенным (русские, украинцы, казаки). Кроме того, дополнительную сложность привносит тот факт, что в республике не наблюдается абсолютного доминирования одной из групп. Тут можно лишь констатировать относительно большее число, а отсюда и большую роль, в органах власти представителей карабаевского этноса. Подтверждением этому может служить политический кризис середины 90-х прошлого века, связанный с итогами президентских выборов. Основной причиной вышеупомянутого кризиса был факт неадекватного представительства конкурирующих групп в органах власти, и как следствие этого, невозможность власти эффективно решать наиболее болезненные проблемы социально-политической жизни. Что касается исламской проблематики, то она эпизодично проявляет себя в этой республике, однако действия как федеральных властей, так и местных, фактически помешали исламской проблематике занять существенное место в карабаево-черкесском политическом дискурсе [6]. Хотя с другой стороны, исламская проблематика не лишена определённой актуальности в данной республике. Однако она выступает скорее как составляющая общекавказских политических процессов и имеет больше социальную природу.

Кабардино-Балкарская специфика социально-политической организации общества связана с этнической ситуацией в республике, где можно констатировать наличие этнической группы-гегемона при сохранении определённых прав для других этнических групп. В Кабардино-Балкарской республике кабардинцы составляют больше чем половину населения, а другая коренная этническая группа (балкарцы) лишь десять процентов. Такое количественное соотношение отображается в реальном доминантном представительстве кабардинцев во власти и отсутствие реального группового конкурента. Кроме того, бывший президент Кабардино-Балкарской республики В.М. Коков, являясь представителем традиционной элиты республики, причём даже не классической этнической, а скорее элиты советского типа, имел высокий уровень легитимности, как среди кабардинцев, так и в иноэтнической среде балкарцев и других населяющих республику народов. Но и новое руководство республики, в лице президента Кабардино-Балкарии Арсена Канкова, существенным образом не изменило ситуации, которая сложилась в республике. Такое положение вещей в республике указывает на определённую стабильность как кабардино-балкарского общества, так и властной организации, на высокий уровень контроля властью социальных и политических процессов [4]. Но следует отметить, что

полностью не снимает традиционную для Кавказа проблематику межэтнических отношений, трения между кабардинцами и балкарцами всё-таки в некоторой степени наблюдаются. В кабардино-балкарском контексте исламская проблематика может иметь в основном социальный характер, не оказывая серьёзного влияния на относительно стабильную политическую структуру, хотя, с другой стороны, может использоваться в качестве инструмента в политических процессах [7]. Фактически следует отметить, что в кабардино-балкарском политическом дискурсе актуальными являются социально-экономические проблемы, проблемы отношений с федеральными властями, проблема казачества в контексте перераспределения земельного фонда, некоторые аспекты этнической проблематики, а также общекавказские проблемы связанные с вопросами безопасности и стабильности в регионе.

Подводя итог анализа западно-кавказских республик в современный период, следует отметить следующее: во-первых, светский характер государственных образований, ярко выраженную доминанту этнической идентичности над исламской, отсутствие прямого как формального, так и неформального влияния исламских организаций на республиканскую власть. Во-вторых, муфтияты как органы организации мусульман, так и неофициальные объединения верующих не выступают реальными автономными субъектами политических процессов. В-третьих, сама организация власти продолжает сохранять те принципы, на основе которых эти республики были созданы и функционировали в советский период, со своей структурой и особенностями функционирования, где уже заложены конфликты, касающиеся межэтнического взаимодействия, приводящие к обострению этнического самосознания проживающих в республиках народов. Не исчезли и традиционные элитные группы в регионе, которые часто продолжают находиться у власти.

#### **Список використаних джерел:**

1. Бабич И.Л. Ислам и право в Кабардино-Балкарии.// Ислам и право в России: Материалы научно-практического семинара «Проблемы реализации законодательства о свободе совести и религиозных объединениях в отношении российских мусульман (Северный Кавказ, Поволжье)»/ Под ред. Бабич И.Л., Соловьевой Л.Т. – М.: Российский университет Дружбы народов, 2004. – Вып. 1. – С. 103-114.
2. Бобровников В.О. Мусульмане Северного Кавказа: обычай, право, насилие. – М.: Восточная литература, 2002. – 368 с.
3. Гугов Р.Х. Кабарда и Балкарья в XVII веке и их взаимоотношения с Россией. – Нальчик: Издательский центр «ЭЛЬ-ФА», 1999. – 684 с.
4. Интервью с директором КБИГИ д.и.н. Думановым Х.М., г. Нальчик, Кабардино-Балкарская республика, РФ, 29 сентября 2004 г. Материалы полевых исследований по Северному Кавказу, проведённых автором в сентябре-октябре 2004 г.
5. Интервью с доцентом ДГУ Гусейнов Г.-Р. Л.-К., г. Махачкала, Республика Дагестан, РФ, 28 сентября 2004 г. Материалы полевых исследований по Северному Кавказу, проведённых автором в сентябре-октябре 2004 г.
6. Интервью с Кратовым Е.В, к.и.н, уполномоченным президента КЧР по религии, г. Черкесск, Карачаево-Черкесская республика, РФ, 13 октября 2004 г. Материалы полевых исследований по Северному Кавказу, проведённых автором в сентябре-октябре 2004 г.
7. Интервью с сотрудником КНИГИ А. Мухожевым, г. Нальчик, Кабардино-Балкарская республика, РФ, 29 сентября 2004 г. Материалы полевых исследований по Северному Кавказу, проведённых автором в сентябре-октябре 2004 г.
8. Интервью с Ханаху Р.А., д.ф.н, заведующим отделом философии и социологии АРИГИ, г. Майкоп, Республика Адыгея, РФ, 10 октября 2004 г. Материалы полевых исследований по Северному Кавказу, проведённых автором в сентябре-октябре 2004 г.
9. Макаров Д.В. Опыт введения шариата на микро-уровне: пример дагестанского селения

Кироваул.// Ислам и право в России: Материалы научно-практического семинара «Мусульманское право в мире и России (Северный Кавказ, Поволжье)»// Под ред. Бабич И.Л., Соловьевой Л.Т. – М.: Российский университет Дружбы народов, 2004. – Вып. 2.– С. 165-178.

10. Мисроков З.Х. Исторические судьбы мусульманского права на Северном Кавказе в процессах динамики российских правовых систем (XIX – XXI вв.)// Ислам и право в России: Материалы научно-практического семинара «Мусульманское право в мире и России (Северный Кавказ, Поволжье)»// Под ред. Бабич И.Л., Соловьевой Л.Т. – М.: Российский университет Дружбы народов, 2004. – Вып. 2.– С. 53-62.

11. Нечитайло Д.А. Международный исламизм на Северном Кавказе. – М.: Институт Ближнего Востока, 2006. – 294 с.

12. Ханаху Р.А. Традиционная культура Северного Кавказа: вызовы времени. – Ростов-на-Дону: АРИГИ, 2001.– 192 с.

13. Чирг А.Ю. Развитие общественно-политического строя адыгов Северо-Западного Кавказа. – Майкоп: ООО «Качество», 2002. – 203 с.

14. Ярлыкапов А.А. Мазхабы (Религиозно-правовые толки) и этническая идентификация мусульман: пример Ногайской степи.// Ислам и право в России: Материалы научно-практического семинара «Мусульманское право в мире и России (Северный Кавказ, Поволжье)»// Под ред. Бабич И.Л., Соловьевой Л.Т. – М.: Российский университет Дружбы народов, 2004. – Вып. 2. – С. 120-127.

## 3ლადიმერ კუშნირენკო

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
“კიევ-მოჰილას” ეროვნული აკადემიის მსოფლიო პოლიტიკის  
ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრის დირექტორი.

**ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ რეგიონის რესპუბლიკებში ეთნო-რელიგიური  
ფაქტორის სპეციფიკური ხასიათი თანამედროვე პოლიტიკური რეალობის  
ფორმირებაში**

## რეზიუმე

სტატიაში განხილულია ეთნო-რელიგიური დამოკიდებულების მნიშვნელობა ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, სადაც სოციალურ-პოლიტიკური რეალობის ტრადიციული ეთნო-კულტურული კომპონენტი ყოველთვის ფუნდამენტურ ადგილს იკავებდა. ავტორი მოცემულ სტატიაში განხილავს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებს, მაგალითად: ადიღეს რესპუბლიკა, ყარაჩაი-ჩერქეზეთი და ყაბარდო-ბალყარეთი. კვლევა ტარდება ინტეგრირებული მიდგომის გამოყენებით ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესში რელიგიური და ეთნო-რელიგიური ფასეულობების ადგილისა და როლის შესასწავლად, ურთიერთობებში პრობლემის ეთნიკურ-რელიგიური და სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით.

**Vladimir Kushnirenko**

Doctor of political sciences,

Director of the world politics interdisciplinary research centre  
of the national academy of "Kiev-Mohila"

**Specific nature of ethno-religious factor in the formation of modern political reality in  
the republics of the western region of the North Caucasus**

**Summary**

The article deals with the value of ethno-religious attitudes in the political process in the western region of the North Caucasus, where the traditional ethno-cultural component of the socio-political reality has been always a fundamental place. The author examines social and political process in the North Caucasus republics, such as: the Republic of Adygea, Karachay-Cherkessia and Kabardino-Balkaria Republic of the Russian Federation in this article. The research is done with the help of integrated approach to the study of the place and the role of religious and ethical values in the political process in the North Caucasus, considering the ethnic religious and socio-political context of the problem in the relationship.

Key words: Circassians, Karachay, Balkar, traditional Islam, the Hanafi madhhab, "adyge", "Adyge habze", North Caucasian Imamate, Republic of the North Caucasus, Shari'a.

**რუსეთის გეოპოლიტიკის რამდენიმე ასპექტი  
XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე**

სამეცნიერო პოლიტიკურ წრებში დღეს ბევრს მსჯელობენ იმის შესახებ, თუ როგორ შევა ისტორიაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის მმართველობის პერიოდი. ერთი რამ აშკარაა, უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილმა რუსეთის ფედერაციამ ამ პერიოდიდან მოყოლებული თავი დააღწია კრიზისს და კვლავ მსოფლიოს ზესახელმწიფოდ იქცა.

საქართველოსთვის ამას არავითარი სიკეთე არ მოუტანია და არც მოაქვს, მაგრამ ჩვენი აზრით ეს მხოლოდ რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგი კი არ არის, არამედ ქართული პოლიტიკური კლასის უდიდესი შეცდომების შედეგიცაა. კონკრეტულად ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ ის რეალობა, თუ როგორ ვითარდებოდა რუსეთში მოვლენები XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე.

ბორის ელცინის მმართველობის პერიოდში ხასავიურტის სამშვიდობო შეთანხმების შედეგად ჩეჩინეთის შეიარაღებულმა ძალებმა კვლავ აღადგინეს საკუთარი ძალოვანი სტრუქტურები და გააძლიერეს საკუთარი ხელისუფლება. თანდათანობით მათ შორის სამი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა:

1. ეროვნულ დემოკრატიული მიმართულების, რომელსაც პროდასავლური ორიენტაცია ეკავა (ა.მასხადოვი, ა. ზაკავი);

2. ისლამის ეროვნულ-ტრადიციონალისტური ორიენტაციის (ა.კადიროვი, ხ. ნუსაევი);

3. რადიკალური ვაჟაპიტების, რომლებიც თავიანთ თავს მოიაზრებდნენ, როგორც ისლამური ფუნდამენტალიზმის წარმომადგენლებსაც, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ჰქონდა ფესვები გადგმული (შ.ბასაევი, მ. ულუგოვი, „შავი ხატაბი“).

სამივე მიმართულება ორიენტირებული იყო, ცხადია, რუსეთის წინააღმდეგ და ებრძოდა მას, მაგრამ მათ შორის, როგორც აღვნიშნეთ იყო განსხვავება. [1:318]

დღეს რუსეთის როგორც სამეცნიერო, ისე პოლიტიკურ წრებში უმთავრესად ფიგურირებს აზრი, რომლის თანახმადაც ვაჟაპიტები, რომელიც XX საუკუნის 80-90-იან წლებში გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიაში, თავიდან ბოლომდე ემსახურებოდა საზღვაო სახელმწიფოების ინტერესებს, რომლის მიზნებშიც შედიოდა სახმელეთო ცივილიზაციის შესუსტება და რუსეთის დანაწევრება. ამიტომ ზემოხსენებული სამივე ჩეჩინური მიმართულება ემსახურებოდა ატლანტიზმის ინტერესებს.

რუსეთის გეოპოლიტიკურ აზრში თითქმის არ არსებობს „დამოუკიდებლობის“ ცნება, ის რომ ჩეჩინი ხალხი იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის, ის რომ XIX საუკუნეში რუსეთმა დაიპყრო ჩრდილოეთ კავკასია და ა.შ. ყველაფერი გადის დიდი სახელმწიფოების გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაზე და იმაზე, რომ ატლანტიზმი დღეს რუსეთის მთავარი მოწინააღმდეგებები. [2:145] აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩეჩინეთის შეიარაღებულ ძალებში მართლაც იყვნენ ვაჟაპიტები და ის ძალებიც, რომლებიც აფხაზეთში იბრძოდნენ საქართველოს წინააღმდეგ. ამის ნათელი მაგალითია შამილ ბასაევის დაჯგუფება, ისინი მხარს უჭერდნენ აფხაზ სეპარატისტებს და ამით ფაქტიურად რუსეთს. შემდეგ კი ჩეჩინეთში რუსეთის არმიის წინააღმდეგ იბრძოდნენ. მეცნიერთა ნაწილი ამას სხვადასხვანაირად ხსნის. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ბასაევი რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი იყო, ზოგიერთის აზრით თავიდან ერთად იყვნენ, მაგრამ შემდეგ მოხდა მათ შორის განხეთქილება, ზოგიერთის აზრით, ის უბრალოდ ვაჟაპიტური ისლამის მიმდევარი იყო და ყველგან ისლამის ინტერესებს იცავდა და ა.შ. ფაქტი კი ერთია, ამ დაჯგუფებამ აფხაზეთში რუსეთის მხარდამხარ იომა, შემდეგ რუსეთს ებრძოდა და მასთან დაპირისპირებაში განადგურდა. [3:56]

რუსეთთან ომის დროს ვაჰაბისტური დაჯგუფების მთავარ მიზანს წარმოადგენდა „მუსლიმანური კავკასიის“ გათავისუფლება რუსეთის იმპერიის უღლისაგან. დუგინის აზრით, ეს თავიდან ბილომდე „ატლანტისური ლოზუნგია“. წარსულთან მიმართებაში, თუნდაც ეს უახლესი წარსული იყოს, მნიშვნელოვანი მხოლოდ მომხდარი ფაქტებია და ალტერნატიული ისტორიას აზრი არა აქვს, მაგრამ ჩვენ იქითკენ ვიხერებით, რომ ბასაევის დაჯგუფება რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა, რადგან რუსეთის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ჩეჩენეთის ეროვნულ-განმათავისულებელი მოძრაობა ტერორიზმად მოენათლა და ამას მსოფლიოს თვალში გარკვეულნილად მიაღწია კიდეც სწორედ ამ დაჯგუფებების მოქმედების შედეგად. ჩეჩენეთის დემოკრატიულ ძალებს კი (დუდაევი, მასხადოვი, ზაკაევი და ა.შ.) უბრალოდ ძალა არ შესწევდათ ამ ძალებს აღდგომოდნენ წინ, რადგან ეს უკვე შიდა დაპირისპირებას გამოიწვევდა. [4:43]

1999 წლის 7 აგვისტოს, „ისლამის სამშვიდობო ბრიგადა“ ბასაევისა და ხატაბის მეთაურობით დაახლოებით 400-500 მებრძოლით დაუბრკოლებლად შევიდა დაღესტანში ბოტლიხის რაიონში და დაიკავა მთელი რიგი სოფლები: (ანსელტი, რახატა, ტანდო, შოდროდა, გოდობერი). ოპერაციას მათ დაარქვეს „იმამ ყაზი მალომა“. აგვისტოს ბოლოსთვის რუსეთის ფედერალურმა ძალებმა დიდი გაჭირვებით შეძლეს მოწინააღმდეგის უკუგდება. მასში ადგილობრივი მილიციაც მონაწილეობდა.

ამის შემდეგ 4-16 სექტემბერს იმავე 1999 წელს საცხოვრებელი სახლები აფეთქდა მოსკოვში, ბურუნაკსკა და ვოლგადონსკში. ეს საშინელი ტერაქტების იყო, რასაც მნიშვნელოვანი მსხვერპლი მოყვა. ოფიციალური ვერსიით ტერაქტები განახორციელა უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებამ, ისლამურმა ინსტიტუტმა „კავკასიამ“ შამილ ბასაევის, ემირ ალ ხატაბისა და აბუ უმარის ხელმძღვანელობით. [5:259]

1999 წლის 5 სექტემბერს ჩეჩენ მებრძოლთა რაზმი ბასაევისა და ხატაბის მეთაურობით კვლავ შეიჭრა დაღესტანში. დაღესტანს რუსეთის წინააღმდეგ კავკასიელთა ბრძოლაში საკრარული მნიშვნელობა ჰქონდა, ისტორია ამას ადასტურებს, მაგრამ შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ბასაევისა და ხატაბის შეიარაღებული ფორმირებები თავიდან ბოლომდე რუსეთის სპეცსამსახურების მერ კონტროლდებოდა და მას არაფერი ჰქონდა საერთო ლეგენდარული შამილის მებრძოლებთან, რომელთაც სწორედ დაღესტანში განირეს თავი სამშობლის თავისუფლებისათვის. ბასაევმა და ხატაბმა ოპერაციას ამჯერად „იმამ ჰამზათ ბეგი“ უწოდეს. აი რას წერს ამის თაობაზე დუგინი: „ეს იყო გარდამტეხი მომენტი რუსეთის უახლეს ისტორიაში. სეპარატისტულმა ჩეჩენეთმა მიიღო რა ამოსუნთქვის საშუალება ხასავიურტის შეთანხმების შემდეგ, იქცა კავკასიაში და კერძოდ დაღესტანში აქტიური სეპარატიზმის გავრცელების წყაროდ ვაჰაბიტური დროშის ქვეშ“. [1:483] ამას რა თქმა უნდა ვერ იტყოდა ვერც დუდაევის, ვერც მასხადოვის და ვერც იანდარბიევის შემთხვევაში, მაგრამ ბასაევსა და ხატაბზე რუსულ გეოპოლიტიკას მნიშვნელოვანი იდეოლოგიური საფუძველი ექნებოდა და ამ იდეოლოგიამ წარმატებით იმუშავა კიდეც. ასეთი ძალების წინააღმდეგ ყველანაირი საშუალების გამოყენებისათვისაც კი ვერავინ დაგძრახავს, თუ ატომურ იარაღს არ ჩავთვლით.

რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორქოფულმა და გაურკვეველმა პოზიციამ ბორის ელცინის მეთაურობით, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო, ისედაც რთული ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ტერორისტებმა ჩეჩენეთის გარეთ დაიწყეს მოქმედება: შევიდნენ დაღესტანში, ტერაქტები მოაწყვეს რუსეთის დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში. ეს იყო უკვე წითელი ხაზი, რომლის გადაკვეთის იქით რუსეთის ნეგრება დაიწყებოდა. რუსულ „გეოპოლიტიკურ მთელს“ საფრთხე შეექმნა. ვაჰაბიტებს რომ წარმატებისათვის მიეღწიათ, ჩრდილო კავკასიას, მოპყვებოდა რუსეთის სხვა ისლამური რეგიონები ერთი მეორის მიყოლებით.

ამ რთულ ვითარებაში ელცინი მიხვდა, რომ ის ურთულეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, კორუმპირებული ოლიგარქებით გარემოცული, რომელთაც გარეგნულად მაინც პროდასავლური ორიენტაცია ეკავათ და ლიბერალი რეფორმატორების სახელს ატარებდნენ. ელცინი

იმასაც მიხვდა, რომ პრემიერ მინისტრი სერგეი სტეპაშინი, რომელიც მან ამ პოსტზე 1999 წლის მაისში დანიშნა, ამ პრობლემას თავს ვერ გაართმევდა და არჩევანი სანკტ-პეტერბურგის მერის, ანატოლი სობჩაკის ყოფილ მოადგილეზე, რუსეთის ფედერაციის ფედერალური უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელზე, ვლადიმერ პუტინზე შეაჩერა. რუსული და მსოფლიო საზოგადოებისათვის პუტინი სრულიად უცნობი პიროვნება იყო. ელცინმა იგი მოულოდნელად დანიშნა პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად 1999 წლის აგვისტოში და თან საკუთარ მემკვიდრედ გამოაცხადა რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე. ამ არჩევანმა კარდინალურად შეცვალა რუსეთის გეოპოლიტიკური პედი და იგი იქცა ზოგადად რუსული პოლიტიკური და მნიშვნელოვანი ინდიკატორი კურსის ცვლილების ეტაპადაც. პუტინი ხელისუფლების სათავეში მოვიდა იმ დროს, როცა იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ რუსეთის უფსკრულში გადაჩევას უკვე ველარაფერი ველარ შეაჩერებდა. [6:182]

პუტინმა თავის პოსტზე უპირველესი ყურადღება გაამახვილა ჩეჩენეთზე და დაღესანში გაჩაღებულ ომზე. ამას მოჰყვა ჩეჩენეთის მეორე ომი.

რუსეთის ახალმა პრემიერმინისტრმა სიტუაციის კარდინალურ შეცვლაზე გააკეთა არჩევანი და დაიწყო ბრძოლა რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, თანაც ისე, რომ არავითარი ორქოფობა მას არ დაუწყია.

სექტემბრის შუა რიცხვებში პუტინმა მიიღო გადაწყვეტილება ჩეჩენეთში სამხედრო ოპერაციის წარმოების შესახებ. 18 სექტემბერს რუსეთის არმიამ მოახდინა ჩეჩენეთის საზღვრების ბლოკირება. 23 სექტემბერს პუტინის მითითებით ბორის ელცინმა ხელი მოაწერა ბრძანებას „რუსეთის ფედერაციის ჩრდილოკავკასიურ რეგიონებში ეფექტური კონტრტერორისტული ოპერაციის ეფექტური ზომების გაძლიერების შესახებ“. 23 სექტემბერს რუსეთის არმიამ დაიწყო გროზნოს და მისი შემოგარენის მასობრივი დაბომბვა, ხოლო 30 სექტემბერს იგი ჩეჩენეთის ტერიტორიაზე შევიდა.

კრემლი ოპერაციის დროს ეყრდნობოდა ორ ძირითად პრინციპს: პირველი ეს იყო სრული განადგურება წინააღმდეგობის ყველა კერისა ჩეჩენეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მისი დაბრუნება რუსეთის ფედერალური მმართველობის ზონაში. მეორე, კონფლიქტის ე.წ. „ჩეჩენიზაცია“, რაც გულისხმობდა, თავის მხარეზე გადაბირებას იმ ძალებისა, რომლებიც მოსკოვის აზრით, ყველაზე ნაკლებად იყვნენ დაკავშირებული ე.წ. ატლანტიკურ ძალებთან. ჩეჩენეთში ასეთ ძალად რუსეთი მოიაზრებდა ახმად კადიროვს, რომელიც ლოიალურად იყო განწყობილი რუსეთისადმი, თუმცა მანამდე რუსეთს ებრძოდა.

ამგვარ სტრატეგიას ჩეჩენეთის წინააღმდეგობის ძალებმა უპასუხეს გარე ძალების, მათ შორის დაქირავებული მებრძოლებისადმი თხოვნით, რათა არ დაეშვათ ჩეჩენი ხალხის გენოციდი. ამან როგორც ზოგიერთი რუსი პოლიტიკური ექსპერტი ფიქრობს, განხეთქილება შეიტანა ჩეჩენეთის მოსახლეობის უმრავლესობაში, რომელთათვის უცხო იყო როგორც „გაჲჲაბიტური იდეოლოგია, ისე ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობები“.

როგორც რუსი გეოპოლიტიკოსი ა. დუგინი ფიქრობს, „ჩეჩენების მეორე კამპანია ატარებდა წმინდა ევრაზიულ სახმელეთო გეოპოლიტიკურ ხასიათს და თანმიმდევრულად ეწინააღმდეგებოდა იმ ძალებს, რომლებიც ცდილობდნენ შეესუსტებინათ ცენტრიდანული ტენდენციები და დაენანევრებინათ რუსეთი“. [1:249] აქ მართლაც გამოიკვეთა პუტინის ვექტორი. ესაა კარდინალური განსხვავება ელცინისა და პუტინის კურსს შორის. ამან რუსეთის ლიდერის პოპულარობა ერთი-ორად გაზარდა.

ვლადიმერ პუტინმა კატეგორიული უარი განაცხადა ჩეჩენეთის ლიდერთან შეხვედრაზე და მიუთითა, რომ „არავითარი შეხვედრა იმისათვის, რომ „ბოევიკებს“ შესაძლებლობა მიეცეს მოიშუმონ ჭრილობები“. [7:357]

რუსეთის ლიდერი არ ისმენს ჩეჩენეთის საკითხთან დაკავშირებით არცერთ პროდასავლურ პოზიციას. ამგვარ პოზიციას მოჰყვა თავისი შედეგი. რუსეთის შეარაღებული ძალები ჩეჩენეთში შევიზნენ, როგორც ჩრდილოეთის, ისე ინგუშეთის მხრიდან და ერთი-მეორის მიყოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები. 11 ნოემბერს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ცენტრი გუდერმესი საველე მეთაურებმა ძმებმა იამადაევებმა და ჩეჩენეთის მუფტმა ახმატ კადიროვმა რუსეთის ფედერაციის ძალებს უბრძოლველად ჩააბარეს.

26 დეკემბერს დაიწყო ბრძოლა გროზნოსათვის. 2000 წლის თებერვალში რუსეთის არმიამ ჩეჩენეთის დედაქალაქი აიღო. იგი შეიძლება ითქვას, რომ მიწასთან იყო გასწორებული. ამის შემდეგ კრემლმა დაიწყო ჩეჩენეთის სხვა ტეროტორიის დაკავება, შემდეგ კი მთიან რაიონებს შეუტია. 2000 წლის 29 თებერვალს ფედერალური ძალების გაერთიანებული დაჯგუფების უფროსის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა გენადი ტროშევმა გამოაცხადა ჩეჩენეთში სრულმაშტაბიანი სამხედრო ოპერაციის დასრულების შესახებ, თუმცა ეს უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებდა, რადგან ბრძოლები ჩეჩენეთში კიდევ დიდხანს გრძელდებოდა.

2000 წლის 20 მარტს საპრეზიდენტო არჩევნების წინ ვლადიმერ პუტინი ჩეჩენეთს ეწვია, ხოლო 20 აპრილს გენტაბის მეთაურის მოადგილემ გენერალ-პოლკოვნიკმა ვალერი მანილოვმა განაცხადა კონტრტერორისტული ოპერაციის სამხედრო ნაწილის დასრულებისა და მისი სპეციალური გადასვლის შესახებ.

9 მაისს გროზნოში „დინამოს“ სტადიონზე მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების აღსანიშნავ აღლუმზე აფეთქების ხმა გაისმა, სადაც დაიღუპა ჩეჩენეთის პრორუსი პრეზიდენტი ახმად კადიროვი. ამის შემდეგ ჩეჩენეთის ცალკეული პარტიზანული ჯგუფები აწყობდნენ თავდასხმებს რუსეთის ფედერალურ ნაწილებზე, მაგრამ მათ რაიმე სერიოზული შედეგი არ მოსდევდა. ამგვარი შეტაკებები ჩეჩენეთის საზღვრებს გარეთაც ხდებოდა.

2005 წლის 8 მარტს ფედერალური უშიშრების სამსახურის სპეციალური დროს დაიღუპა ჩეჩენეთის (იჩქერია) კანონიერი პრეზიდენტი ასლან მასხადოვი, ხოლო 2006 წლის 10 ივნისს ინგუშეთში, მოკლეს ტერორისტების ერთ-ერთი ლიდერი შამილ ბასაევი.

2007 წელს ჩეჩენეთის ლიდერი გახდა 30 წლის რამზან კადიროვი, ახმად კადიროვის შვილი, რომელმაც მამის გზა განაგრძო, იგი დღესაც ჩეჩენეთის პრეზიდენტია. მიგვაჩინა, რომ შექმნილ სიტუაციაში მამა-შვილის პოლიტიკა წარმოადგენდა კომპრომისს რუსეთის ფედერაციასთან და მოსაზრებას, რომ ისინი ჩეჩენი ხალხის მოღალატეები არიან, ვერ გავიზიარებთ. კადიროვმა შეძლო ჩეჩენეთში რეფორმების გატარება. დღეს გროზნო, რომელიც მიწასთან იყო გასწორებული, ერთ-ერთი ულამაზესი და განვითარებული ქალაქია. ჩეჩენეთი კი ტრადიციულ კავკასიურ ფასეულობებზე დაფუძვებული ავტონომიური რესპუბლიკაა. სხვადასხვა მონაცემებით ჩეჩენეთის არმია 50 ათას კაცს მოითვლის, რომელიც საკმაოდ კარგადაა შეიარაღებული, იგი ფედერალურ ცენტრს ემორჩილება, მაგრამ შესაძლო გეოპოლიტიკური რყევების შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ იგი ჩეჩენი ხალხის სამსახურში იდგება. აქვე ვიტყვით იმასაც, რომ ვლადიმერ პუტინმა ახალი ფურცელი გადაშალა რუსეთის გეოპოლიტიკური სწორედ მან შეაჩერა რუსეთის სრული გეოპოლიტიკური კატასტროფა. რუსული გადასახედიდან იგი ძლიერ და ჭკვიან პოლიტიკოსად გამოიყურებოდა. [8:182]

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პუტინის სხვა ნაბიჯები ევრაზიული პოლიტიკის გაგრძელება იყო. როგორც პოლიტიკოსი, იგი სულით ევრაზიელი იყო. 2000 და 2004 წლების არჩევნების შემდეგაც მას ეს კურსი არ შეუცვლია. ეს მიმართულება განვითარებულ და განმტკიცებულ იქნა მისი რეფორმებით, რომელიც არსებითად ცვლიდა გორბაჩივის და ელცინის პერიოდიდან დაწყებულ საგარეო პოლიტიკურ-იდეოლოგიურ და გეოპოლიტიკურ კურსს. ვფიქრობთ პუტინის რეფორმებს დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. თანამედროვე რუსულ და ნაწილობრივ დასავლურ გეოპოლიტიკურ წრეში ძირითადად თანხმდებიან იმაზე, რომ პუტინის დროს მოხდა:

1. 90-იანი წლების კურსის, რომელიც რუსი პოლიტიკური ექსპერტების მიერ განიხილება, როგორც რუსეთის დესუვერენიზაციისა და გარედან ფაქტობრივი მმართველობის შემოღების, კრიტიკა და თანამედროვე რუსეთის სუვერენიტეტის, როგორც უმაღლესი ლირებულების თანამედროვე გამოხატულების დამკვიდრება.

2. რუსეთის შერყეული ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცება და დაცვა მთელი რიგი, მათ შორის, მეაცრი სამხედრო საშუალებებით ჩეჩენეთში და მთელ ჩრდილო კავკასიაში მისი პოზიციების გაძლიერება, 7 ფედერალურ ოლქში გაგება „სუვერენიტეტის“ ლიკვიდაცია საკანონმდებლო აქტებში, სეპარატიზმის აღკვეთის მიზნით, გადასვლა ფედერაციის სუბიექტების მეთაურების დანიშვნის სისტემაზე, არჩევითობის ნაცვლად (ეს ზომა მიღებულ იქნა

ბესლანში ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, როცა ტერორისტების ხელში მძვლები სკოლის ბავშვები აღმოჩნდნენ) აქვე ვიტყვით იმასაც, რომ ანტიტერორისტულ ოპერაციას აქ მრავალი ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა.

3. განდევნა შედარებით ოლიგარქებისა საზღვარგარეთ, რომელთაც მთელი ძალაუფლება ეპყრათ ხელში 90-იან წლებში (ბ. ბერეზოვსკი, ვ. გუსინსკი, ლ. ნევზლინი და ა.შ.) დევნა ჩადენილი დანაშაულებისათვის მ. ხოდორკოვსკი, პ. ლებედევი და ა.შ. ნაციონალიზაცია შედარებით მსხვილი ნედლეულის მონოპოლისტების და იძულება დანარჩენი ოლიგარქების, რომელთაც უნდა ეცნოთ ახლადარჩეული კურსის ლეგიტიმურობა სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესებით რუსეთის სუვერენიტეტის განმტკიცებაზე.

4. ლია და დაუფარავი დიალოგის ნარმოება აშშ-სა და დასავლეთთან აშშ-ს ჰეგემონიისა და ერთპოლარული მსოფლიოს ორმაგი სტანდარტების მიუღებლობა, მრავალპოლარულობისა და ყველა ძალასთან თანამშრომლობის სასარგებლოდ (ძირითადად კონტინენტურ ევროპასთან), რომლებიც დაინტერესებული იქნებოდნენ ამერიკული ჰეგემონიის დაუშვებლობით. ეს ცხადია, რუსული ტრადიციული ფორმულა იყო, რომელიც ითვალისწინებდა ატლანტისტურ ბლოკში განხეთქილების შეტანას.

5. ინფორმაციული პოლიტიკის შეცვლა ძირითად ნაციონალურ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, რომლებიც ადრე აშუქებდნენ თავიანთი ოლიგარქი მმართველების შეხედულებებს, ხოლო ამიერიდან თავიანთი საქმიანობა სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის უნდა შეეხამებინათ.

6. რუსეთის ისტორიისადმი ნიპილისტური დამოკიდებულებიდან შემობრუნება, რაც ითვალისწინებდა დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული მიდგომების უკრიტიკოდ მიღების დაუშვებლობას და პატივისცემას რუსეთისათვის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ფიგურების მიმართ. (კერძოდ დაფუძნდა ეროვნული ერთიანობის დღე 4 ნოემბერს, ლიტველი და პოლონელი ოკუპანტებისაგან სახალხო ლაშქრის მიერ მოსკოვის განთავისუფლების პატივსაცემად).

7. ინტეგრაციული პროცესების მხარდაჭერა პოსტსაბჭოთა სივრცეში და დსთ-ს ქვეყნებში რუსეთის მოქმედების გააქტიურება, ასევე ჩამოყალიბება თუ გამოცოცხლება ინტეგრაციული სტრუქტურებისა - ისეთი როგორიცაა „ევრაზიის ეკონომიკური თანამშრომლობა“, „ერთიანი ეკონომიკური სივრცე“ და ა.შ.

8. პარტიული ცხოვრების ნორმალიზაცია ოლიგარქიული სტრუქტურებისათვის პოლიტიკური ლობირების აკრძალვის ხარჯზე, რომლითაც ისინი თავიანთი კერძო და კორპორაციულ ინტერესებს იცავდნენ და ამაში იყენებდნენ საპარლამენტო პარტიებს.

9. კონსოლიდირებული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავება ენერგორესურსებით ვაჭრობის სფეროში, რომელმაც რუსეთი მძლავრ ენერგეტიკულ სახელმწიფოდ აქცია, რომელსაც საშუალება აქვს გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ პროცესებზე ევროპისა და აზიის მეზობელ რეგიონებზე. გაზისა და ნავთობის მილსადანებზე დაფუძნებული სქემები, რომელიც დასავლეთისა და აღმოსავლეთისაკენ მიემართება ნათელ გამოხატულებად იქცა ახალი რუსეთის ენერგეტიკულ პოლიტიკაში. ამგვარი გეოპოლიტიკა კლასიკური გეოპოლიტიკის ძირითად ძალოვან ხაზს იმეორებს ახალ დონეზე.

ყოველივე ეს არათუ ქართულმა პოლიტიკურმა აზრმა ვერ გაიაზრა სათანადო დონეზე, არამედ მისგან ჩვენი აზრით გაკვეთილი ვერ გამოიტანა ვერც დასავლურმა პოლიტიკურმა ელიტამ, რასაც შემდეგ მოჰყვა მიუნხენში 2007 წლის 10 თებერვალს ვლადიმერ პუტინის გამოსვლა, სადაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა მკაცრად გააკრიტიკა ერთპოლარული მსოფლიოს არსებობა და განაცხადა ახალი გლობალური პოლიტიკური ამბიციების შესახებ. ერთ წელიწადში კი მან მოქმედება დაიწყო, რისი შედეგიც იყო 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოში, რომლის შედეგებიც უმძიმესია ჩვენი ქვეყნისათვის.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Дугин А.Г., Геополитика России, М., 2014, ст.521.
2. აბესაძეალ., როგორ უნდა გავიაზროთ „რუსული სამყარო“? 2016.
3. ჩხილაძე ალ., საქართველო და ახლო აღმოსავლეთის პროცესები - 2015.
4. ტოროშველიძე ი., პუტინის საგარეო პოლიტიკა, თბ., 2008, გვ. 86.
5. Дугин А.Г. Основы евразийства. М.: Евразийское движение, 2002. 800 ст.
6. Баталов Э.Я. Русская идея и американская мечта. М.: Российская академия наук; Институт Соединенных Штатов Америки и Канады, 2001. 384 ст.
7. Дугин А.Г. Геополитика. М.: Академический Проект, 2011, 432 ст.
8. Бжезинский З. Выбор. Мировое господство или глобальное лидерство (თვე ჩატოცე: გლობალ მომინატიონ თუ გლობალ გეადერსპინ). М.: Международные отношения, 2007. 285 ст.
9. კვეტენაძე ზ., რუსეთის როლი და ადგილი გლობალურ გეოპოლიტიკაში, კრებ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, N 2(9)2009, თბ., 2009.225-230 გვერდი.
10. Villareal M. Exploiting VKontakte to Better Understand the Caucasus Emirate's Tactics, Techniques, and Procedures / El Paso: National Security Studies Institute, University of Texas. 2015.
11. Winter C. Media Jihad: The Islamic State's Doctrine for Information Warfare / London: 2017.
12. Winter C. Inside the Collapse of the Islamic State's Propaganda Machine /Wired 2017.

**Zurab Kvenetadze**

Professor of Georgian Technical University

## **Several aspects of Russia's geopolitics at the edge of the 20 th-21 st centuries**

### **Summary**

There is much debate in the scientific political circles today about how governance period of Russian President Vladimir Putin will be reflected in the history. One thing is clear, that the Russian Federation, which has fallen into a difficult situation, emerged from the crisis and regained the status of a world power again.

This is not beneficial to Georgia, but in our opinion it is not conditioned only by Russian imperialist policy, but it is also the result of the big mistakes made by the Georgian political class. In particular, we failed to take into consideration the events developing in Russia at the edge of the 20th- 21st centuries.

## ნინო კაკუბავა

სასიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
იურიდიული სამსახურის უფროსი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

### აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის ენობრივი პოლიტიკა და საერთაშორისო თანამეგობრობა

1993 წლის სექტემბრიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად დაახლოებით 300 ათასამდე ადგილობრივმა მკვიდრმა ქართველმა და ასევე სხვა ეროვნების ადამიანებმა დატოვეს თავიანთი ისტორიული საცხოვრისი, რის შემდეგაც საოკუპაციო და სეპარატისტული ძალების ერთობლიობით დაიწყო მხარის სრული გარუსებისა და საბოლოო ანექსისაკენ მიმართული გეგმების განხორციელება, რომელთა შორის „თვალსაჩინო“ ადგილი უკავია ქართული ენის დევნის მიმართულებით განხორციელებულ სადამსჯელო ღონისძიებებს.

სეპარატისტულმა ძალებმა კარგად იცოდნენ, რომ შესაძლოა ხალხს წაართვა ყველაფერი, თუმცა შესაძლებელია ამ ყველაფორის დაბრუნება - აღდგენა, მაგრამ თუ ხალხს წაართმევენ ენას მას ველარასდროს შექმნის ხელახლა. მოკვდა ენა - მოკვდა ხალხიც, ენის სიკვდილი ერის სიკვდილია. სწორედ ამიტომ, შექმნილ ვითარებაში, საოკუპაციო გეგმების განსახორციელებლად საჭირო იყო ისეთი ენობრივი პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფდა რუსეთის სახელმწიფოსთან მხარის საბოლოო ასიმილაციას. ამ მიზნის მიღწევაში, მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდა ქართველი მოსახლეობა, რომელიც 1993 წლის სექტემბრის შემდეგ ნელ-ნელა დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებლებს, ძირითადად ეს შეეხება გალის რაიონში მცხოვრებ ქართველებს. უნდა აღვნიშნო, რომ ომამდე გალის რაიონის თითქმის 100% იყო ქართველი მოსახლეობა. რა პოლიტიკა უნდა დაეპიროსპირებინა საოკუპაციო რეჟიმის ქართველი მოსახლეებისადმი, თუ არა ენის დაკარგვისა და ეროვნული გადაგვარების უზრუნველსაყოფი პოლიტიკა.

აღსანიშნავია, რომ საომარი მოქმედებების დაწყებამდე გალის რაიონში, რომლის მოსახლეობაც როგორც აღვნიშნეთ, ეთნიკურად ქართველი იყო, 58 სკოლა ფუნქციონირებდა, საიდანაც მხოლოდ ორში მიმდინარეობდა რუსულენოვანი სწავლება, დანარჩენი სკოლები კი სასწავლო პროცესს წარმართავდნენ ქართულ ენაზე. 1992-93 წლების შეიარაღებული დაპირისპირებისას სკოლების ნაწილის დაწვის შედეგად, მხოლოდ 31 სკოლაში აღსდგა სასწავლო პროცესი,<sup>46</sup> თუმცა ამ სკოლების უმრავლესობაში ქართული ენა და ლიტერატურა ამჟამად აღარ ისწავლება.<sup>47</sup> საოკუპაციო რეჟიმის განწყობას ენობრივი პოლიტიკის მიმართ, თვალნათლივ წარმოგვიდგენს მიმდინარე წლის ნოემბერში გალის დე-ფაქტო იმდროინდელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, თემურ ნადარაიას მიერ გაკეთებული განცხადება, სადაც ის საუბრობს, რომ აფხაზეთის კონსტიტუციით არ არის სავალდებულო ქართულ ენაზე ზრუნვა, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ქართული ენის ნაცვლად მეგრული ენის სწავლების შემოღება, ხოლო, ის ვინც განათლების მისაღებად აირჩევს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს, მათ ექვსი თვის შემდეგ გაუუქმდებათ ბინადრობის მოწმობა და აფხაზეთში შესვლა მათთვის შესაძლებელი გახდება, არა როგორც მკვიდრი მოსახლეობის, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეების სტატუსით. აღსანიშნავია, რომ თემურ ნადარაიას ახლო წინაპრები იყვნენ სამეგრელოს რეგიონიდან და თვითონ ნადარაია კი არის პირველი

46 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი პრობლემები, თბ., 2015, ოქტომბერი.

47 გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურცენტრის მონაცემები

თაობის აფხაზი, რომელიც განსაკუთრებულად ცდილობს სეპარატისტებს და საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებს მოაწონოს თავი, დაუმტკიცოს რა თავისი ერთგულება მხოლოდ და მხოლოდ ქართველი მოსახლეობის დევნა - შევიწროებით, მათი ადამიანური უფლებების, ღირსების შეღახვით.

ასევე, წადარაიას აზრის საპირისპიროდ მიუთითებს დე-ფაქტო აფხაზეთის ე. წ. კონსტიტუცია, რომელშიც საუბარია, რომ „სახელმწიფო - აფხაზეთში მცხოვრებ ყველა ეთნიკურ ჯგუფს აძლევს მშობლიური ენის თავისუფლად გამოყენების გარანტიას”, შესაბამისად, ცხადია, რომ ზემოაღნიშნული განცხადებით მისი ავტორი უკვე არღვევს ე. წ. კონსტიტუციას. თუმცა მრავლისმთქმელია ის, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა სხვა ეთნიკურ ჯგუფებს აქვთ საშუალება მიიღონ განათლება მათ მშობლიურ ენაზე და სკოლის დამამთავრებელ ატესტატებში მშობლიურ ენად მათვის შესაბამისი ენა მიუთითონ, ხოლო, ეთნიკურად ქართველებს კი, როგორც აღვნიშნეთ, იგივე უფლება შეზღუდული აქვთ, რაც უნდა შეფასდეს, როგორც ქართველების ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია.

სამნუხაროდ ავიწყდებათ, რომ უფლებები ყველა ადამიანს გააჩნია თანაბრად უნივერსალურად და სამუდამოდ. ადამიანის უფლებები არის განუყოფელი და მათი დაკარგვა გამორიცხულია ადამიანის არსებობის შეწყვეტამდე. თუმცა მიუხედავად ყოველივე თქმულისა უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიოშიც არის შემთხვევები, როდესაც პრაქტიკულად შეუძლებელია განხორციელდეს ადამიანის უფლებების დაცვა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, აღიარებს განათლების უფლებას და განმარტავს, რომ „ნებისმიერი ფუნქციის განხორციელებისას, რომელსაც სახელმწიფო კისრულობს განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებით, ის პატივს სცემს მშობელთა უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება“.<sup>48</sup>

მშობლიურ ენაზე განათლების მიღება განმტკიცებულია ასევე ბავშვთა უფლებების კონვენციით, რომელშიც მითითებულია, რომ ბავშვის განათლება მიმართული უნდა იყოს: ბავშვისათვის თავისი მშობლებისადმი, საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის, ენის და ფასეულობების პატივისცემის ჩანერგვისაკენ; ბავშვის აღზრდისაკენ იმ ქვეყნის ეროვნული ფასეულობებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, რომელშიც ის ცხოვრობს; ასევე იმ ქვეყნისა, საიდანაც იგი არის წარმოშობით; ბავშვის პატივისცემის გაღვივებისაკენ მისი საკუთარი ცივილიზაციისაგან განსხვავებული ცივილიზაციისადმი. აგრეთვე, ამავე კონვენციაში გვხვდება ჩანაწერი დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ, სადაც მითითებულია, რომ სახელმწიფოები ვალდებული არიან, პატივი სცენ და უზრუნველყონ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა ბავშვის კონვენციით გათვალისწინებული უფლება, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე - რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დაბადების, მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების, ანდა რაიმე სხვა გარემოებების მიუხედავად.<sup>49</sup> ოკუპაციის პირობებში ადამიანის დაცვის საერთაშორისო მექანიზმების მოქმედება შეჩერებულია, გამომდინარე აქედან, ამ კუთხით ვითარება უმართავია.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხი მუდმივად დგას საერთაშორისო ორგანიზაციების - გაეროს, წატოს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ეუთოს დღის წესრიგში. ასე მაგალითად, 2018 წლის 23 მარტს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 37-ე სესიამ კიდევ ერთხელ განიხილა და რეზოლუციაში „თანამშრომლობა საქართველოსთან“ დაგმო საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული უმძიმესი ვითარება. იგივე გააკეთა, თანაც უკვე მერამდენედ, ეუთოს მუდმივმა საბჭომაც. ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტი რეგულარულად, ყოველ წახასა წელიწადში ერთხელ იხილავს ევრო-

48 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი №1 მუხლი 2

49 ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხ.2, 29.

საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებულ ანგარიშს „კონფლიქტი საქართველოში“, გენერალური მდივნის ანგარიშებში მთავარი ყურადღება ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადა-მიანის უფლებების დარღვევებზეა გამახვილებული. ევროსაბჭოს გენერალური მდივნის მოხ-სენების განხილვისას მკაცრი განცხადება გააკეთა ევროპის საბჭოში ევროკავშირის დელე-გაციამ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირი „განსაკუთრებით შეშფოთებულია“ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში თავისუფალი გადაადგილებისთვის დაბრკოლე-ბების შექმნის, თვითნებური დაკავებების, ეთნიკური დისკრიმინაციის, აფხაზეთში ეთნიკური ქართველებისთვის დოკუმენტების გაცემაში შეფერხებების, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვის და დევნილთა საკუთრების უფლებების შელახვის გამო. ასევე, შეგახ-სენებთ, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებში მუდმივად არის საუბარი აფ-ხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ.

მიგვაჩნია, რომ ყოველივე ზემოთქმული არის ქართული ენის და ქართველების წინააღ-მდეგ მიზანმიმართული ბრძოლის კიდევ ერთი გამოხატულება რუსეთის მხრიდან აფხაზების გამოყენებით. გალის რაიონის მკვიდრთა განათლების უფლებების დაცვასა და რეალიზებაზე ყველა პასუხისმგებელ პირსა თუ მხარეს, მათ შორის რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას ეკისრებათ პასუხისმგებლობა გალის რაიონის მკვიდრთა განათ-ლების უფლების დაცვაზე.

ჩვენ შევისწავლეთ რა გალის რაიონში განათლების მიღებასთან დაკავშირებული პრობ-ლემები, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია აღმოიფხვრას ის ბარიერები, რომლებიც სკოლის მოს-წავლებს გამყოფ ხაზზე გადაადგილების დროს ექმნებათ, აუცილებლად უნდა იყოს გარან-ტირებული გალის რაიონში მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება, უნდა შეწყდეს დისკრიმინაციული და ასიმილაციური პოლიტიკა და გალის რაიონის მკვიდრთა ინტეგრაციის მიზნით, უნდა აღდგეს სკოლებში ქართულ ენაზე სწავლება. ამასთან, უნდა გაძლიერდეს აფხაზური ენისა და კულტურის სწავლება. რისთვისაც ვთვლით, რომ აუცილებელია საერ-თაშორისო თანამეგობრობის სათანადოდ ინფორმირება და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება გალის რაიონის მკვიდრთა განათლების უფლების დასაცავად.

**Nino Kakubava**

Head of the Legal Department of

The Georgian National Academy of Sciences LEPL

Doctoral Candidate of Georgian Technical University

## **Language Policy of the Occupation Regime of Abkhazia and the International Community**

### **Summary**

As a result of the ethnic cleansing carried out in the Autonomous Republic of Abkhazia in September 1993, approximately 300,000 local Georgians and people of other nationalities have fled their historic home, after which the implementation of the plans for russification and final annexation of the region have launched by the occupation and separatist forces, among which the “notable” place is taken by the punitive measures implemented to persecute the Georgian language.

Before the 1992-93 War in Abkhazia almost 100% of population of the Gali Region was Georgians. It was the policy aimed at the loss of Georgian language and national degeneration which was applied against the Georgian population. As a result of the 1992-93 War, some schools were burnt down, that's why the learning process was resumed only in 31 schools, though most of these schools do not currently teach Georgian language and literature.

It should also be noted that the issue of human rights abuses in the occupied territories of Georgia is always on the agenda of international organizations - UN, NATO, EU, Council of Europe, OSCE.

We believe that all of the above is one more expression of the struggle aimed against the Georgian language and Georgians for the Russia's part by using the Abkhazians. All persons and parties responsible for the protection and enjoyment of the right to education of the population of the Gali Region, including the authorities of the Russian Federation and de-facto government of Abkhazia, shall be responsible for the protection of the right to education of the population of the Gali Region.

## კავკასიის როლი და ადგილი რუსეთის ახლო აღმოსავლურ პოლიტიკში

კავკასიაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ რეგიონში მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს, განსაკუთრებით რუსეთის ზოგად როლთან მიმართებაში. 2016 წლიდან რეგიონში რუსეთმა უფრო და უფრო დაინტენსიული რბილი ძალის გამოყენება, რაც მოიცავს საქართველოში ბუნებრივი გაზის ექსპორტზე შეთანხმებას, სომხეთისთვის იარაღის მიყიდვას, ასევე აზერბაიჯანთან ფართო პოლიტიკური და უსაფრთხოების კავშირების დამყარებას. მსგავსი დაჩქარებული დიპლომატიური მოქმედებები ძირითადად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ რეგიონში სხვა მოთამაშებებმა, როგორიცაა თურქეთი და დასავლეთი, უფრო აქტიურად დაინტენსიურ რუსეთის გამოწვევა. რუსეთისთვის და მისი საგარეო პოლიტიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კავკასიაში კონტროლის შენარჩუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მცდელობას დაიბრუნოს საბჭოთა დროინდელი გავლენა და ძალაუფლება წერტილი დაესმება. უფრო მეტიც, კავკასიაში რუსეთის პოზიცია პირდაპირ გავლენას ახდენს უკრაინასა და სირიასთან მიმართებაში რუსეთის სამომავლო გეგმებზე. [1] შესაბამისად, თუ რუსეთი დაკარგავს პოზიციებს კავკასიაში ეს პირდაპირ გამოიწვევს მისი როლისა და გავლენის შემცირებას სხვა რეგიონებში.

რუსეთი ყოველთვის კარგად აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის, მათ შორის ახლო აღმოსავლური სტრატეგიის, განხორციელება შეუძლებელია კავკასიის რეგიონის კონტროლის გარეშე. შესაბამისად 90-იანების დასაწყისიდან რუსეთმა დაინტენსიურ თავისი იმპერიალისტური პოლიტიკის გატარება რეგიონთან მიმართებაში, რამაც უფრო გააძლიერა კავკასიის მიმართ გარე აქტორების, როგორიცაა ამერიკა, თურქეთი და ირანი, ინტერესების ზრდა.

რუსეთისთვის რეგიონში ფეხის მოკიდებისა და შედეგად კონტროლის დამყარების ერთ-ერთ ძირითად გზას ადგილობრივ კონფლიქტებში ჩართვა და მათი რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ ახლო აღმოსავლეთში კონტროლის დამყარების პოლიტიკაც მსგავს ქმედებებს ეფუძნება. რუსეთი აღმოსავლეთში გავლენის დამკიდრებას სირიაში მიმდინარე კრიზისში აქტიური მონაწილეობით ცდილობს. კავკასიის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებში ჩარევამ რუსეთს საშუალება მისცა ამიერკავკასიაში განეთავსებინა თავისი სამხედრო ბაზები, რაც ეხმარება მოსკოვს კონტროლი შეინარჩუნოს რეგიონის ქვეყნებზე. მსგავსი ქმედება ასევე არის გარანტი იმისა, რომ რეგიონში მიმდინარე პროცესებში გარე აქტორების ჩართულობა მინიმუმადე იქნება დაყვანილი. [2]

კავკასიის რეგიონი, ევროპასა და აზიას შორის მაკავშირებელი ზონა, დიდი ხანია გეოპოლიტიკური დაძაბულობის კერას წარმოადგენს. რეგიონი გარშემორტყმულია ისეთი დიდი აქტორებით, როგორიცაა რუსეთი, თურქეთი და ირანი, რაც მდგომარეობას ხდის საკმაოდ კომპლექსურს და შესაბამისად ქვეყნებს შორის ურთიერთობები და კავშირები მუდმივად ცვლილების საგანია. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ მისი ადგილმდებარეობითა და ენერგორესურსებით რეგიონი ასევე სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს დასავლეთისთვის. მარტივად, რომ შევხდოთ ძალა განაწილებას რეგიონში, შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი კავშირები - საქართველო ორიენტირებულია დასავლეთისკენ, სომხეთი უფრო რუსეთისკენ იხრება, ხოლო აზერბაიჯანს მჭიდრო კავშირი აქვს თურქეთთან. რეალურად, თითოეული ეს კავშირი ძალიან ჩახლართულია და კომპლექსურ ტაქტიკურ ძვრებს ექვემდებარება, შესაბამისად ცვლილებები შესაძლებელია მოხდეს ნებისმიერ მომენტში. [1]

იყო ეს საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა პერიოდი, რუსეთი რეგიონში ყოველთვის წარმოადგენდა ყველაზე ძლიერ გარე ძალას. რეგიონის მიმართ რუსეთის დიდი ინტერესი ძირითადად განპირობებულია პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ინტერესებით.

კავკასიის რეგიონთან მიმართებაში რუსეთის ყველაზე დომინანტი ეროვნული ინტერესი დაკავშირებულია უსაფრთხოების საკითხთან. სტაბილური უსაფრთხოების გარემოს შექმნისთვის აუცილებელია რეგიონი იყოს ერთიანი. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ეროვნულ ინტერესებს უსაფრთხოების კუთხით, რუსი ანალიტიკოსებისა და მაღალჩინოსნების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და რუსეთის სამხრეთში მოსახლეობათა შორის მიგრაციულმა პროცესებმა შესაძლოა საფრთხის ქვეშ დააყენოს ჩრდილოეთ კავკასიაში ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული გამოწვევები. [3] საფუძვლიანია იმის აღნიშვნა, რომ ნებისმიერი დაბაბული ურთიერთობა გამოიწვევს ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც რუსეთის ფედერაციის ნაწილია, უკანონო იარაღის გადატანასა და შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბებას. ვინაიდან ჩრდილოეთ კავკასია და სამხრეთ კავკასია მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მიმდინარე თუნდაც უმნიშვნელო პროცესმა თავისიუფლად შეიძლება შეუწყოს ხელი ჩრდილოეთ კავკასიაში კონფლიქტის პროვოკირებას და შესაბამისად საფრთხე შეუქმნას რუსეთის ფედერაციის მთლიანობას. [4]

სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები ასევე განპირობებულია ეკონომიკური ფაქტორებით. რეგიონში რუსეთის ეკონომიკური ინტერესები მჭიდროდაა დაკავშირებული კასპიის აუზის ნავთობისა და გაზის რეზიუმებთან. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ რუსეთის შემოსავლის 43-45 პროცენტი ნავთობისა და გაზის ექსპორტზე მოდის, კასპიის ქვეყნების როლის, როგორც ენერგეტიკის მსხვილი ექსპორტიორების ზრდამ შესაძლოა სერიოზული ზიანი მიაყენოს რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებს. ამ თვალსაზრისით, მსოფლიოს მსხვილი ნავთობკომპანიების მონაწილეობა კასპიის რეგიონის ენერგორესურსების განვითარებაში, აშშ-ს, ჩინეთისა და ევროპის ქვეყნების მზარდი პოლიტიკური ინტერესი, ასევე რეგიონის ქვეყნების ბრძოლა რუსეთისგან დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის, მოსკოვში აღიქმება, როგორც რუსეთის ეკონომიკური და ეროვნული ინტერესებისადმი საფრთხედ. [5]

რაც შეეხება რეგიონში გარე აქტორების როლს, რუსეთი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა კავკასიაში ნებისმიერი აქტორის - თურქეთი, ირანი, ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები თუ სხვა გავლენის ზრდას. შესაბამისად, რუსეთი ყველანაირად ცდილობს შეამციროს ზემოხსენებული აქტორებისგან მომავალი ნებისმიერ სამხედრო თუ ეკონომიკური დახმარება. 2008 წლის ომიც სწორედ ამის გამოძახილი იყო. რუსეთმა დაინახა, რომ საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირისკენ მტკიცედ ჰქონდა გეზი აღებული, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს. შესაბამისად, რუსეთმა ყველანაირად სცადა შეეფერხებინა ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. მსგავსი პოლიტიკა გაატარა რუსეთმა უკრაინასთან მიმართებაშიც. რუსეთის ამ ქმედებებით თუ ვიმსჯელებთ, თავისიუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ რუსეთი არაფერს დაიშურებს თავისი მიზნების მისაღწევად. განსაკუთრებით კავკასიაში, რადგან სწორედ რეგიონზე კონტროლის მოპოვება არის პირველი და უმთავრესი ნაბიჯი რუსული ჰეგემონისკენ.

2008 წლის აგვისტოს ომით რუსეთმა შეძლო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში თავისი სამხედრო ძალების განთავსება. ამას გარდა, რუსეთი სომხეთში დამატებით 5 000 ჯარისკაცს ინარჩუნებს, მართალია აზერბაიჯანში არ აქვს სამხედრო ბაზები, თუმცა ქვეყნის ჩრდილოეთითა და დასავლეთით რუსეთის ერთგული ძალების ყოფნა ბაქოს აიდულებს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს რუსეთის სტრატეგიული ინტერესები. [6]

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ამჟამად დაკავებული არის ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებით და თავისი საგარეო პოლიტიკის „ნოლი პრობლემა მეზობლებთან“ არასახარბიერო შედეგების კოორდინირებით, რუსეთს კარგად ესმის კავკასიაში თურქეთის დაბრუნებისა და შესაბამისად კონტროლის გაზრდის საფრთხე. თუმცა, ამჟამად თურქეთი თავს იკავებს მოსკოვთან კონფრონტაციისგან ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით რუსეთ-თურქეთის ურთიერთობიდან გამომდინარე. ასევე ის ფაქტი, რომ

თურქეთი დამოკიდებულია რუსეთის გაზისა და ნავთობის იმპორტზე დიდ გავლენას ახდენს ანკარას გადაწყვეტილებებზე. თუმცა ეს სიტუაცია შეიძლება საკმაოდ მაღლე შეიცვალოს, რადგან რეგიონული გაზის ბაზარი დიდ ცვლილებებს განიცდის და თურქეთი ცდილობს ენერგიის იმპორტის დივერსიფიკაციას. [7] რა თქმა უნდა ეს ყველაფერი საფრთხეს უქმნის რუსეთის საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, არამარტო კავკასიის რეგიონში, არამედ ახლო აღმოსავლეთშიც.

რუსეთის ინტერესები რეგიონთან მიმართებაში ასევე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ კავკასია, განსაკუთრებით კი სამხრეთ კავკასია წარმოადგენს „ბუფერულ ზონას“ მართლ-მადიდებელ ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის. უნდა აღინიშნოს ის, რომ რუსი ექსპერტების შეფასებით სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მთავრობაში ყოფნა თურქეთს უფრო იზოლირებულს ხდის და ანკარა აღარ არის სეკულარიზმის ეფექტური დამცველი. ზოგიერთი კი ასევე შიშობს, რომ კავკასიაში, ყირიმსა და ცენტრალურ აზიაში ჩერქეზულ და სხვა მუსლიმურ თემებში თურქეთის კულტურული, რელიგიური და საგანმანათლებლო საქმიანობა, დროთა განმავლობაში, რუსეთში და მეზობელ ქვეყნებში რადიკალური ისლამის-ტური მოძრაობების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. [8]

ამას გარდა, კავკასიის „ბუფერულ ზონას“ სხვა დატვირთვაც აქვს რუსეთისათვის. სამხრეთ კავკასია არის „ხიდი“ არა მარტო კავკასიაში, არამედ რუსეთის ახლო აღმოსავლეთ-თან ურთიერთობაშიც. დასავლეთისთვის კი სამხრეთ კავკასია ცენტრალურ აზიასთან მაკავ-შირებელ გზას წარმოადგენს. [9] დასავლეთისა და თურქეთისთვის რეგიონი მნიშვნელოვანია არა მარტო კასპიის რესურსების გამო, არამედ რეგიონის გავლით შესაძლებელია კასპიის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება მსოფლიო ბაზრებზე. შესაბამისად თუ რეგიონი იქნება რუსეთის კონტროლის ქვეშ, ეს მოსკოვს საშუალებას მისცემს მისთვის გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან რეგიონებში გააკონტროლოს დასავლეთის გავლენა. [10]

საბჭოთა მემკვიდრეობა დღემდე ქმნის სტრატეგიულ ლანდშაფტს რეგიონში და შესაბა-მისად რუსეთს საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს დომინანტური როლი. სამხრეთ კავკა-სიის მნიშვნელობიდან გამომდინარე გასაკვირი არ არის, რომ გარე აქტორები აქტიურად ცდილობენ შეამცირონ რუსეთის გავლენა. თურქეთის მიზანია რეგიონის ქვეყნებს შორის დაამყაროს ურთიერთდამოკიდებული კავშირი, რათა გაძლიერდეს მათი სუვერენიტეტი და შესაბამისად გაიზარდოს კომერციული და ენერგეტიკული კავშირები თურქეთთან. რეგიონში ფეხის მოკიდებას ასევე ცდილობს ირანი. თეირანი მჭიდროდ თანამშრომლობს სომხეთთან, ხოლო აზერბაიჯანზე გარკვეული სახის ზენოლების გატარებით ცდილობს ბაქოს მართვას. 2008 წლის ომის შემდეგ ირანმა აქტიური დიპლომატიური ურთიერთობა წამოიწყო საქარ-თველოსთან, რათა მოახდინოს ეკონომიკურ კავშირებსა და ენერგეტიკულ მარშრუტებთან მიმართებაში საკუთარი ინტერესების დაცვა. მიუხედავად ამისა, ირანი მაინც სიფრთხილეს იჩენს რეგიონში მოქმედებისას, რადგან არ სურს მოსკოვთან დაპირისპირება, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ რუსეთ-ირანის ურთიერთობას სირიაში მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში. რაც შეეხება დასავლეთის ინტერესებს რეგიონში, ისინი ძირითადად განპირობებულია რუსეთის გავლენის შეზღუდვით. სწორედ ამ მიზნით დასავლეთი აქტიურად უჭერს მხარს რეგიონში სტაბილურობის დამყარებასა და რეგიონალური ქვეყნების სუვერენიტეტის გაძლიერებას. [11]

უსაფუძვლო არ არის იმის აღნიშვნა, რომ კავკასიაში რუსეთის გავლენის შესუსტების დიდი შანსია, რის გამოყენებასაც გარე აქტორები აქტიურად ცდილობენ. მართალია უახ-ლოეს მომავალში რუსეთი რეგიონის დომინანტურ სამხედრო ძალად რჩება, მაგრამ ქვეყანაში არსებულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ და უკრაინასა და სირიაში მიმდინარე პროცესებში ჩართულობამ საკმაოდ შეიძლება გაართულოს კავკასიის რეგიონში რუსეთის ინტერესების განხორციელება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვითარება შეიძლება არ შეიცვალოს, მითუ-მეტეს ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე, როცა აშშ-ს ტრამპის ადმინისტრა-ციას განსხვავებული ხედვები გააჩნია მსოფლიოს გლობალურ განვითარებასთან მიმართებაში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Russia's Evolving Role in the Caucasus – 2016 <https://worldview.stratfor.com/article/russia-s-evolving-role-caucasus>
2. Manucharyan, A. Russia's Policy in the Southern Caucasus – 2015 [http://www.kas.de/wf/doc/kas\\_11160-544-2-30.pdf?070710130317](http://www.kas.de/wf/doc/kas_11160-544-2-30.pdf?070710130317)
3. Шмулевич А., Почему Москва уйдет с Северного Кавказа - 29.12.2016. <http://afterempire.info/2016/12/09/kavkaz/>
4. Kocaman, O. Russia's relations with Georgia within the context of the Russian national interests towards the south Caucasus in the post-soviet era: 1992-2005 – 2007 <http://www.acarindex.com/dosyalar/makale/acarindex-1423910583.pdf>
5. Zubarevich, N. V., & Federov, Y. E. Russian-Southern Economic Interaction: Partner Partner and Competitors – 1999
6. Russia's Evolving Role in the Caucasus – 2016 <https://worldview.stratfor.com/article/russia-s-evolving-role-caucasus>
7. Kucera, J. Russia, Iran, Turkey, and the Caucasus – 2013 <http://www.eurasianet.org/node/66732>
8. Trenin, D. Russia's Security Interests and Policies in the Caucasus Region - <http://poli.vub.ac.be/publi/ContBorders/eng/ch0301.htm>
9. Чичкин А., В обход Босфора - 14.02.2016. <http://www.warandpeace.ru/ru/analysis/view/109241/>
10. Kocaman, O. Russia's relations with Georgia within the context of the Russian national interests towards the south Caucasus in the post-soviet era: 1992-2005 – 2007 <http://www.acarindex.com/dosyalar/makale/acarindex-1423910583.pdf>
11. Kucera, J. Russia, Iran, Turkey, and the Caucasus – 2013 <http://www.eurasianet.org/node/66732>
12. Wintour, P. Saudi king's visit to Russia heralds shift in global power structures - 2017 <https://www.theguardian.com/world/2017/oct/05/saudi-russia-visit-putin-oil-middle-east>
13. Yavuz, M. H., & Khan, M. R., Turkey Asserts Its Role in the Middle East - 2015 <https://www.nytimes.com/2015/02/12/opinion/turkey-asserts-its-role-in-the-middle-east.html>

**Lili Kharchilava**

Doctorant of Georgian Technical University

### **The role and place of the Caucasus in Russia's Middle East policy**

#### **Summary**

Russia has always been well aware of the fact that the country's foreign policy, including its Middle East strategy, cannot be implemented without control of the Caucasus region. Consequently, since the early 1990s, Russia has begun to pursue its imperialist policy towards the region, which was intensified by the interests of external actors in the Caucasus, such as the United States, Turkey and Iran. Unlike the Baltic countries , where it had to give up its positions after the end of the Cold War and the collapse of the Soviet Union, Russia views the Caucasus as a sphere of its vital interests, and we think it is too early to talk about concessions, because the Caucasus has a special place in the Middle East political vector.

## რიმა გელენავა

ააიპ „განიარაღება და არაძალადობა“-ს თავმჯდომარე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

### კულტურული დიპლომატიის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში

XXI საუკუნის დასაწყისისათვის, საერთაშორისო ურთიერთობებში აშკარად გამოიკვეთა „ტრადიციული“ დიპლომატიური მეთოდოლოგიის მთელი რიგი მიმართულებების მოძველება. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა დიპლომატების წინაშე არაერთი ახალი მოთხოვნები წარმოშვა. აშკარა გახდა რომ, დიპლომატიური ურთიერთობების ადრე არსებული მეთოდები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ პოლიტიკურ სფეროს მოიცავდა ხშირად არ აღმოჩნდა საკმარისი დასახული დიპლომატიური მიზნების მისაღწევად.

ყოველივე აქედან გამომდინარე, წინა პლანზე წამოინა დიპლომატიურ ურთიერთობებში კულტურის სფეროს ჩართულობის აუცილებლობამ. აღსანიშნავია, რომ კაცობრიობის ისტორიისათვის დიპლომატიის აღნიშნული ფორმა არ არის ახალი, მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „კულტურული დიპლომატია“ არის ახალგაზრდა, მისი გამოყენების მტკიცებულებები მრავლადაა ისტორიაში და საუკუნეების განმავლობაში არსებობდა. არაერთი მკვლევარის აზრით, რომელთაც ჩვენც ვეთანხმებით, „კულტურულ დიპლომატებად - „არაოფიციალურ ელჩებად“ შეიძლება განვიხილოთ ნებისმიერი ეპოქის მკვლევარები, მოგზაურები, ვაჭრები, მასნავლებლები, მხატვრები და სხვა. ანუ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ურთიერთქმედებს სხვადასხვა კულტურასთან და ხელს უწყობს კულტურათა გაცვლას, ძირითადად კულტურის ისეთ მიმართულებებში როგორებიცაა: ხელოვნება, სპორტი, ლიტერატურა, მუსიკა, მეცნიერება, ბიზნესი, ეკონომიკა და სხვა.<sup>50</sup>

კულტურული დიპლომატია არის დიპლომატიის ის სფერო, რომელიც უკავშირდება უცხო ქვეყნებთან ურთიერთობის დამყარებას, განვითარებასა და შენარჩუნებას კულტურის, ხელოვნებისა და განათლების საშუალებით, რადგან კულტურა არის ადამიანის საქმიანობის ყველაზე მრავალფეროვანი გამოვლინების ერთობლიობა, რომელიც შეიცავს მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ცივილიზაციის შედეგად დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას. მას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ადამიანურ ურთიერთობებში შექმნას პოზიტიური და კონსტრუქციული დამოკიდებულებები. სწორედ კულტურულ დიპლომატიას შეუძლია იყოს კაცობრიობის აგრესიული ინსტინქტების, ფიზიკური ძალადობის და პოლიტიკური ძალაუფლებისადმი დამოკიდებულების შეცვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება.<sup>51</sup>

სახელმწიფოს უნარი, აქტიურად მოახდინოს თავისი კულტურული მიღწევებისა და ფასეულობების პოპულარიზაცია, მნიშვნელოვნად მოქმედებს ამ სახელმწიფოს ადგილის დასამკიდრებლად თანამედროვე მსოფლიოში. კულტურა აყალიბებს სახელმწიფოს შესაძლებლობას, რომ განაწყოს და მოიზიდოს სხვა ქვეყნებიდან ადამიანი, ხსნის ახალ შესაძლებლობებს "რბილი გავლენისთვის" და ხელს უწყობს მის საგარეო პოლიტიკურ კონკურენტუნარიანობას. ეს მიდგომა მართებულია კულტურის სპეციფიკური როლის მიმართ, როდესაც იგი საერთაშორისო ურთიერთობებში ფასეულ არამატერიალურ საშუალებად მიიჩნევს და მისი წარმოშობა განაპირობა საგარეო პოლიტიკის განსაკუთრებული მიმართულების ჩამოყალიბებამ, რომელმაც მიიღო საგარეო კულტურული პოლიტიკის სახელი.

50 Institute for Cultural Diplomacy inc. (USA) -ის ვებ-გვერდი, [http://www.culturaldiplomacy.org/index.php?en\\_cultural-diplomacy](http://www.culturaldiplomacy.org/index.php?en_cultural-diplomacy)

51 Cultural Diplomacy and The National Interest: In Search of a 21st-Century Perspective. <http://www.interarts.net/descargas/interarts673.pdf>

საერთაშორისო კულტურული ურთიერთობებისა და „რბილი ძალის“<sup>52</sup> განვითარება პრიორიტეტულ ადგილს იკავებს სახელმწიფოებსა და რეგიონალურ ორგანიზაციათა სტრატეგიებში. სწორედ კულტურული დიპლომატიის მნიშვნელობიდან გამომდინარე, 2016 წელს ევროკავშირმა დაამტკიცა საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების განვითარების ახალი სტრატეგია, რომელშიც განსაკუთრებული როლი მიენიჭა კულტურას. სადაც თავის მხრივ, ევროკავშირს ევალებოდა კულტურული დიპლომატიის ინიციური მეთოდების შემუშავება განათლებისა და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობისთვის, კულტურათა-შორისი დიალოგის განვითარებისათვის.

მიღებული სტრატეგიის შესწავლის შედეგად, შეგვიძლია განვასხვავოთ შემდეგი საერთა-შორისო ურთიერთობების წარმატებულად წარმართვისათვის ძირითადი ამოცანები:

- გაფართოვდეს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში შემოქმედებითი ინდუსტრიის სექტორის ეკონომიკური პოტენციალის გამოყენება, კერძოდ მდგრადი განვითარების მოდელის შემუშავების სტიმულირებისთვის და შეიქმნას ხელსაყრელი პირობები კულტურის სფეროში ინვესტიციებისა და ახალი სამუშაოებისთვის;

- ხელი შეეწყოს კულტურული პოლიტიკის შემუშავებას, როგორც მესამე ქვეყნებში მშვიდობისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფაქტორს, აგრეთვე მრავალფეროვნებისა და კულტურული პლურალიზმის შენარჩუნების ინსტრუმენტს;

- ევროკავშირი გახდეს საერთაშორისო ასპარეზზე უფრო ძლიერი გლობალური მოთამაშე, უფრო ეფექტურად გამოიყენოს ევროპული „რბილი ძალის“ ისტორიული ბერკეტები. რადგან ადამიანის ფუნდამენტური უფლებების აქტიური პოპულარიზაცია, კანონის უზენაესობა, დემოკრატიზაციის პროცესები, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და მდგრადი ეკონომიკური განვითარება არის მთავარი პირობა ევროპული პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად.<sup>53</sup>

საქართველომ, როგორც სახელმწიფომ, რომელიც აქტიურად მიისწრაფვის ევროპული ოჯახისაკენ, ამ მიმართულებით აქტიური სამუშაოები განახორციელა. კერძოდ 2017 წელს დაიწყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და კულტურის სამინისტროს ერთობლივი სამუშაოები კულტურული დიპლომატიის კონცეფციის შესამუშავებლად.<sup>54</sup> რომლის მიზანი იყო ქვეყნის პოზიტიური იმიჯის პოპულარიზაცია და საქართველოს, როგორც მდიდარი კულტურის მქონე ქვეყნის და ევროპული კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილის წარმოჩენა.

2015 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით, შეიქმნა სამთავრობოთაშორისის სამუშაო ჯგუფი კულტურის „სტარატეგია 2025“ შესაქმნელად, რომელშიც ჩართული იყვნენ კულტურის სფეროს წარმომადგენლები საქართველოს ყველა რეგიონებიდან, მათ შორის აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებიდან. ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად დოკუმენტში გათვალისწინებული იქნა თითოეული კუთხის რეალობა და კულტურული პოტენციალი. დოკუმენტზე მუშაობა საბოლოოდ 2016 წელს დასრულდა,<sup>55</sup> თუმცა თავიდანვე სამუშაო ჯგუფის წევრები შეთანხმებული იყვნენ, რომ

52 ცნობილმა ამერიკელმა ჯოზეფ ნაიმ 80 -იანი წლების ბოლოს მსოფლიოს გააცნო ახალი ტერმინი „რბილი ძალა“ მისი განმარტებით „რბილი ძალა“ სახელმწიფოს უნარია ხისტი ძალის გამოყენების გარეშე დადგებითი განწყობებისა და დამოკიდებულებების შექმნით გავლენა მოახდინოსა საერთაშორისო სისტემების და დამოკიდებულებების შექმნით გავლენა მოახდინოს საერთაშორისო სისტემის სხვა აქტორებზე. ეს არის კულტურული ძალა, რონლის მეშეობით სახელმწიფოები ახდენენ საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების რეალიზებას. იგი ეფუძნება სამ ძიერთად წყაროს: კულტურა, პოლიტიკური ღირებულებები და საგარეო პოლიტიკა. პრინციპული და მნიშვნელოვანი ის არის, რომ რბილი ძალა იმიტომაც არის კულტურის ძალა, რომ მისი გამოყენება მხარეთა ორმხრივი ნების შედეგად ხდება და არა ძალადობრივი და თავსმოხვეულია. Book by Joseph S. Nye Jr. “Soft power – The Means To Success In World Politics. <https://www.kobo.com/us/en/ebook/soft-power-4>

53 სტატია. კ. მ. ტაბარინცევა-რომანოვა. „კულტურა საერთაშორისო ურთიერთობებში: დიპლომატია, უსაფრთხოება, კონფლიქტი“. <http://elar.urfu.ru/bitstream/10995/62855/1/iuro-2018-179-06.pdf>

54 ინტერპრესნიუს. 18.07.2017 - <https://www.interpressnews.ge/ka/article/443738-xatuna-totlaze-sagareo-sakmeta-saministro-kulturuli-diplomatiis-koncepcii-shekmnaze-mushaobs/>

55 იხ. კულტურის სტრატეგია 2025. საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. <http://mes.gov.ge/publicInfo/wp-content/uploads/2013/12/2025.pdf>

დოკუმენტმა, როგორც „ცოცხალმა ორგანიზმა“ დროის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება განიცადოს გარკვეული ცვლილებები. უდავოა, რომ მსგავსი მიდგომა დოკუმენტს უფრო მოქნილს ქმნის და იძლევა შესაძლებლობას ქმედითად მოერგოს ქვეყანაში კულტურის კუთხით არსებულ ვითარებას.

გვინდა ხაზგასმით ავლნიშნოთ, რომ კულტურული დიპლომატიის გამოყენება ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სხვა მიზნების მიღწევის საკითხებში არ არის მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების ვალდებულება. ამ პროცესში ალბათ გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც სამოქალაქო საზოგადოებას ენიჭება.

არასამთავრობო ორგანიზაციები, მნიშვნელოვანი რგოლია დასავლეთის ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების საქმეში და ასევეა საქართველოშიც, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის პოზიტიური იმიჯის შექმნის, აგრეთვე, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა ამოცანების შესრულებაში.

კულტურული დიპლომატია, ხომ თავისი არსით, პირველ რიგში, სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობაა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. სწორედ სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია ცხოვრების წესის, პროდუქტების, წიგნების, ტელევიზიის, ფილმების და სხვა პოპულარული მედიის საშუალებით შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი ხალხთა შორის დაახლოებისა და თანამშრომლობის საქმეში. არ შეიძლება უგულებელყოფილი იქნეს ხალხთა შორის დაახლოებას და თანამშრომლობის საქმეში ბიზნესის როლი, რადგან ბიზნესმა ასევე უზარმაზარი როლი შეიძლება ითამაშოს სხვა კულტურებისა და საერთო გლობალურ სოციალური კულტურის, ღირებულებების, ცხოვრების წესის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში.

აშკარად, რომ გლობალური სამოქალაქო საზოგადოება სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს მშვიდობის შენარჩუნებაში და ეს მაშინ, როდესაც ეროვნული მთავრობები სერიოზულად არიან შეზღუდული თავიანთ საქმიანობაში. ხოლო ამ შეზღუდვების საპირზონედ სამოქალაქო საზოგადოება და კულტურული დიპლომატია ეფექტური გზაა.

ჩვენს მიერ განხილული საკითხები თვალით გვაჩვენებს, რომ კულტურის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში, კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში დღითიდლე უფრო მეტ მნიშნელობას იძენს საქართველოში. ქვეყანაში, რომლის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ, კულტურულ დიპლომატიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მიუხედავად იმისა, რომ სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებთან ამ კუთხით არაერთი მცდელობა იყო თანამშრომლობისთვის, რამაც არაერთგზის გაიჟღერა უენევის შეხვედრების ფორმატის ფარგლებში, თუმცა დღემდე სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ საოკუპაციო რეჟიმი ტერიტორიის ოკუპაციის შემდეგ აქტიურ ღონისძიებებს ატარებს სწორედ ისტორიული კულტურის ნაშთების გასანადგურებლად. გვაქვს ათობით მაგალითი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის „მოძრავი თუ უძრავი“ ძეგლების მიმართ განხორცილებული ვანდალური აქტების შესახებ. მიზეზი ამისა არის მხოლოდ ერთი - ოკუპანტი ცდილობს შექმნას ყველანაირი წინაპირობა ოკუპირებული ტერიტორიების ისტორიის გასაყალბებლად, რაშიც უდაოდ იქ შემორჩენილი ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობები მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. სწორედ მათი ისტორიული იერსახის შეცვლით, ან მათი სრული განადგურებით გაქრება ის ისტორიული კვალი, რომელიც მეტყველებს მხოლოდ და მხოლოდ ჭეშამრიტებას. აქ ჩვენ კიდევ ერთხელ გავიაზრეთ თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურულ მემკვიდრეობას ეროვნულობის სახელმწიფოებრიობის და ხალხთა შორის კეთილი ურთერთდამოკიდებულების შენარჩუნების საკითხებში და როგორც ზემოთ ავლნიშნეთ ამ პროცესში არა მხოლოდ სამთავრობო უწყებების, არამედ სამოქალაქო საზოგადოების როლი სწორედ რომ გადამწყვეტია, რათა კულტურული მემკვიდრეობის მიმართ საოკუპაციო რეჟიმის მიერ განხორციელებული ვანდალიზმის ფაქტების შესახებ საერთაშორისო თანამეგობრობას დროულად მიეწოდოს სწორი და ობიექტური ინფორმაცია. ამჟამად საფრთხეშია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისტორიულად დაპირისპირებული მხარეების, წინაპრების მიერ ერთობლივად შექმნილი კულტურული მემკვიდრეობა.

ჩვენი აზრით, აუცილებელია გაგრძელდეს საერთაშორისო სხვადასხვა კულტურულ, სა-განმანათლებლო და სპორტულ თანამშრომლობაში საქართველოს მონაწილეობა და გა-ძლიერდეს მუშაობა ამ ღონისძიებებში ოკუპირებული ტერიტორიიდან მოქალაქეების ჩარ-თულობის უზრუნველყოფის მიზნით. საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე<sup>56</sup> მნიშვნელოვნად მიგვაჩინია კულტურული დიპლომატიის სეგმენტში სპორტის კომპონენტის გათვალისწინება, რადგან თუ კულტურული დიპლომატია ემყარება კულტურული ფასეულო-ბის გაცვლას ამ პროცესში სპორტმა უდაოდ მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს.

სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი სექტორის მიერ ერთობლივად უნდა შემუშავდეს სპეციალური კონცეფცია, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგა-დოების მონაწილეობას კულტურული დიპლომატიის განხორცილებაში. ასევე მნიშვნელოვანია ქართველ ემიგრანტებთან და დიასპორასთან ინტენსიური ურთიერთობა ერთიანი სტრატე-გის შესამუშავებლად და მის ეფექტურად განსახორციელებლად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა საერთაშორისო ურთიერთობების ახალი შემად-გენელი ნაწილის, კულტურული დიპლომატიის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო სივრცეში. ასევე გვქონდა მცდელობა ხაზი გაგვესვა ამ კუთხით ჩვენს ქვეყანაში განხორ-ციელებული სამუშაოებისა და არსებული რესურსის მნიშვნელობაზე.

აშკარაა, რომ კულტურული დიპლომატიის როლი დღითიდლე იზრდება საერთაშორისო ურთიერთობებში და ჩვენ როგორც სახელმწიფო, რომელსაც არაერთი პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი, ამ კუთხით მაქისმალურად უნდა ვიყოთ მზად.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Institute for Cultural Diplomacy inc. (USA) -is veb-gverdi, [http://www.culturaldiplomacy.org/index.php?en\\_culturaldiplomacy](http://www.culturaldiplomacy.org/index.php?en_culturaldiplomacy).
